

საქართველოს მშენებარებათა აკადემია

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

---

ვალერი სილოგავა

**ბოლნისის  
უკველესი ქართული  
წარწერები**

«მშენებარება»  
თბილისი 1994

წიგნში შეჯამებულია ბოლნისის სიონის უძველესი ქართული წარწერების საუკუნეგანაკერის შესწავლის შედეგები: წარმოდგენილია ამ წარწერების პუბლიკაცია. გადმოცემულია მათ შესახებ მეცნიერებაში არსებული თეატლსაზრისები. ზოგ საკითხზე გამოთქმულია ახალი თეატლსაზრისიც. წარწერების ტექსტის დადგენასთან ერთად, მოცემულია მათი პალეოგრაფიული აღწერილობა და ენობრივი მიმოხილვა. ნაშრომის უძველეს ბოლნისის სიონის, რიკორც სურთომისძვერული ძეგლის და არქეოლოგიური თბიექტის დახასიათება.

ნაშრომი მიძხადდა და ქვეყნდება ბოლნისის წარწერების 1500 წლისთავთან დაკავშირებით.

В книге подведены итоги полутораветковой истории изучения древнейших грузинских надписей Болнисского свята; предпринята новая публикация текстов надписей, изложены соображения о них, имеющиеся в научной литературе, представлены и некоторые новые соображения. Вместе с установлением текстов надписей, дано их палеографическое описание и языковая характеристика. Здесь же представлено описание Болнисского свята, как архитектурного памятника и археологического объекта.

Работа выполнена и издается в связи 1500-летием Болнисского свята и его надписей.

The book sums up the one-and-a-half century history of study of the oldest Georgian inscriptions of Bolnisi Sioni. A new publication of the text of the inscriptions is undertaken; the views on these inscriptions found in scholarship are presented, and some new ideas are advanced. The established texts of the inscriptions are supplemented with a palaeographic description and linguistic review. The work is prefaced with a description of Bolnisi Sioni as an archaeological monument and archaeological site.

The work is dedicated to the 1500<sup>th</sup> anniversary of the Bolnisi inscriptions.

რედაქტორი აკად. ღაბუნი მუსხელიშვილი

0502000000

ს — ბრძ./94

607(06) — 94

ISBN 5-520-01556-2

## შესავალი

ბოლნისის სიონი – დიდი ზომის ბაზილიკური ტაძარი, მდებარეობს ქვემო ქართლში, თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 70 კმ-ზე, ადრექრისტიანული ხანის ისტორიული ძეგლებით – ეკლესიებით, ქვა-ჯვრებით, სტელებით და წარწერებით გამორჩეულად მდიდარ მხარეში. აკად. კ. კეკელიძის დასკვნით, „ამ რაიონში ყველაზე ადრე შემოვიდა ქრისტიანული კულტურა, ამიტომ აქ ნაყვარა საფუძველი ნვენს მწერლობას... ამ რაიონმა ნაიგდო ხელში კულტურული ძეგემონია მეოთხე საუკუნის ნახევრიდან გაერთიანებულის აღმოსავლეთ საქართველოსი (გუგარქი-იბერია). ეს ძეგემონია გრძელდებოდა საბოლოოდ ქრისტიანიზაციამდე, რომელიც არც ისე მალე დამთავრებულა“ [42, გვ. 264].\*



სურ. I

ბოლნისის სიონი, როგორც ქართული ხელოვნების, ისე მთლიანად ქართული კულტურის ისტორიაში მრავალმხრივი მნიშვნელობის ძეგლია. როგორც ხუროთმოძღვრული ნაწარმოები, იგი მისწეულია საეტიკო მნიშვნელობის ნაგებობად, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები-

\* პირველი ცოფრი, აქ და შემდეგშიც, აღნიშნავს ნაშრომის ნომერს წიგნის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში.

სა; ქართული კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტაძრის კედლებზე შემორჩენილი ასომთავრული დამწერლობის უძველესი ეპიგრაფიკული ნიმუშები, ძველი ქართული წარწერები, რომელთაგან ერთი 493 წლითაც თარიღდება და მთელს კავკასიაში უძველესი თარიღიანი ქრისტიანული წერილობითი ძეგლია.

ეს წარწერა 1937 წ. აღმოჩნდა და მას შემდეგ მეცნიერ-ისტორიკოსთა, ხელოვნებათმცოდნეთა, ენათმეცნიერთა შეუწავლელი შესწავლის საგნად გადაიქცა; თუმცა, ბოლნისის სიონის ადრეც ცნობილი სხვა წარწერები არც მანამდე ყოფილა ყურადღებისა და შესწავლის გარეშე. პირიქით, მათი შესწავლის ისტორია საუკუნენახევარზე მეტს მოიცავს და მეცნიერული ქართველოლოგიის დაწყების პირველ საფეხურებს უკავშირდება.

პირველი ცნობები ბოლნისის შესახებ, თუ უძველესი დროის საისტორიო წყაროთა მონაცემებს არ ჩათვლით [82, გვ. 138: 3, 198: 16], XVIII ს-ის გამოჩენილ ქართველ სწაველულს ვახუშტი ბატონიშვილს მოეპოვება. მართალია, ვახუშტის ცნობა, როგორც სხვაგან, აქაც მოკლეა და ლაკონიური, მაგრამ ზუსტია და კარგად გადმოსცემს ტაძრის ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოს: „საბრკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იპოების მცირედ ლაჟვარდითა. ამის დასავლით დის ფოლადაური, გამოსდის ლელვარს და მოერთვის მდინარე მაშავერს. ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი. მის ზემორ ეკლესია დიდი, უგუმბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა კო მეფემან ფარსმან, და გორგასალ დასუა ეპისკოპოსი“, — აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი შრომის — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იმ ნაწილში, რომელსაც „აღწერა აწინდელისა ქართლისა“ ეწოდება [30, გვ. 314: 4-10].

ვახუშტის ცნობების შესანიშნავ დამოწმებას ადგილი ჰქონდა უკვე ჩვენს დროში, როდესაც მდინარეების ფოლადაურისა და მაშავერის ხეობაში ლ. მუსხელიშვილმა გამოაგლინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ადრე შუა საუკუნეების (V-VI სს.) შესანიშნავი ნაშთები — მატერიალური კულტურისა და დამწერლობის ძეგლები — ეკლესიები, სტელები, ქვა-ჯვრები, მათი ბაზისები, ჩუქურთმიანი დეტალები და წარწერები [58; 61].

30-იანი წლების ბოლოს ბოლნისში ჩატარებულმა გათხრებმა (ლ. მუსხელიშვილი) და ძეგლის ყოველმხრივმა ხუროთმოძღვრულმა შესწავლამ (გ. ჩუბინაშვილი), ხოლო უფრო მოგვიანებით მთელი რეგიონის სიძველეთა კომპლექსურმა გამოკვლევებმა, გაამდიდრა ქართული მეცნიერება ახალი მასალებით.

მიმდინარე წელს ბოლნისის სიონს და მის წარწერებს — ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებს, 1500 წლისთავი უსრულდება. ამიტომ საჭირო იყო ბოლნისის სიონის წარწერების შესწავლის საუკუნენახევრის შედეგების შესახებ შემაჯამებელი ნაშრომის შექმნა, რასაც ისახავს მიზნად წინამდებარე წიგნი.\*

\* მადლობას მოვახსენებ ჩემთვის მანამდე უცნობ ორ ახალგაზრდას — დავით პაიჭაძეს და დიმიტრი ბენაშვილს, ფილოლოგ-ასპირანტებს, რომლებმაც ბოლნისის სიონის და მისი წარწერების 1500 წლისთავის საიუბილეოდ იკისრეს ამ წიგნის გამოცემის ორგანიზაცია. განსაკუთრებული მადლობა კორპორაცია „მაღლას“ ხელმძღვანელობას, რომელმაც დასახელებულმა ახალგაზრდების მეოხებით გაიღო ამ წიგნის მომზადების და გამოცემის ხარჯები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონ ლევან ბერძენიშვილის შრომა, რომელმაც დიდი გულისყურით მოამზადა კომპიუტერზე წარმოებისათვის ეს მეტად რთული წიგნი.

გრაფიკული მონახაზები დაამზადა ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა მამუკა ახალაშვილმა, ხოლო ფოტოები ბ-მა იგორ გილგენდორფმა.




1965 წელს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, პროფ. შოთა მესხიას შერჩევით და ხელმძღვანელობით, პირველი სამეცნიერო ნაშრომი ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაზე მოვამზადე. მოხდა ისე, რომ მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ამ წარწერის 1500 წლისთავის საიუბილეოდ მასზე მონოგრაფიის მომზადებაც მე დამევალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია და ჩემგან აუცილებელიც ეს ნაშრომი მოკრძალებით მიეუძღვნა მეცნიერებაში ჩემთვის გზის გამკვალავლის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას (1916-1972) ძვირფას ხსოვნას.

## I. ბოლნისის სიონი, რომორც ხუროთ- მოკლვრული ძეგლი და არქეოლოგიური ობიექტი

1936-1937 წლებში და 1939 წელს ბოლნისში, ხიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და ხარესტაგრაფიკო სამუშაოები. ამის შედეგად ძეგლი მთლიანად გაიწმინდა, გახეუთავდა, შეკეთდა და გამაგრდა. მისი ექველმსრთიე მოწესრიგებისა და შესწავლის შემდეგ, მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით, აკად. კ. ნუბინაშვილმა 1940 წელს გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია, რომელშიც; მოცემულია ძეგლის ამომწურავი აღწერილობა და მისი ექველმსრთიე დახასიათება: გარკვეულია მისი ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში და საერთოდ ქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში.

(ვრცლად ადრე, 1938 წელს არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა



ხურ. 2

ლ. მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა ამ გათხრების ვრცელი, დაწერილებითი ანგარიში, რომელშიც მოპოვებული მასალის აღწერილობასთან ერთად, შესწავლილია ბოლნისთან დაკავშირებული ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები.


1970-71 წლებში ტაძარს კიდევ ერთხელ ჩატარდა დაცვითი გამაგრე-

ბითი სამუშაოები. შემდეგ შივ, საჭიროებისა და შესაძლებლობების მიხედვით, ბოლნისის სიონს არაერთხელ ჩაუტარდა მიმდინარე მასშტაბის სარესტავრაციო სამუშაოები.

წინამდებარე თავში წარმოდგენილი ძეგლის ხურთთმოძღვრული დახასიათება და არქეოლოგიური მიმოხილვა ამ შესწავლათა შედეგებს ეყრდნობა [144;59;125;72].

[*ბოლნისის სიონი* წარმოადგენს დიდი ზომის სამნავიან ბაზილიკას<sup>1</sup>. სახელწოდება სიონი დაკავშირებულია იერუსალიმის სიონთან, ღმრთისმშობლის მიძინების ტაძართან. საქართველოში დიდად გაერცვლებულია ამ სახელის ეკლესიები – როგორც ბაზილიკები, ისე გუმბათოვანი ნაგებობები; ხეულებრივ, ისინი ღმრთისმშობლის მიძინების სახელობისაა.

ტერმინ „*სიონის*“ მნიშვნელობისა და გაერცვლების შესახებ აკად. ივ.



სურ. 3

ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „სიონი“ ქართულად „ბაზილიკასა“ უნდა იყოს, როგორც თვით იმ ეკლესიების გეგმით მტკიცდება, რომელთაც „სიონი“ ეწოდებოდა, ისე ერთი ბერძნული თქმულების ქართული თარგმანიდან... სადაც ქართულის წინადადების „აღაშენა... სიონად“ ბერძნული დედნის „დრომიკეს“-ს უდრის, რაც „ბაზილიკასა“ უნდა იყოს“ [115, გვ. 77]. მართლაც, ამ თხზულების – „უწყებად და თხრობად აღმწერებისათვის დიდებულისა ტაძრისა ღმრთისა ეკლესიისა, რომელსა სახელადელების წმიდას სოფიას, დასაწყისშივე ნათქვამია, რომ „დიდი ღმრთისა ეკლესიაა წმიდა სოფია პირველ აღაშენა დიდმან კონსტანტინე სიონად, მსგავსად წმიდისა აღათონიკესა და წმიდისა აკაკისსა და განასრულა იგი სუეტებითა მრავლითა და ძელებითა დიდროანითა“ [19, გვ. 21].

კ. კეკელიძის თვალსაზრისით, უძველესი ქართული ეკლესიები „სიონის“ სახელს ატარებდნენ, რაც მას მიაჩნდა ქართული ეკლესიის იერუსალიმური წარმოშობის ერთ-ერთ საბუთად. ივ. ჯავახიშვილს „სიონი“ ტექნიკურ ტერმინად მიაჩნია და საქართველოში იგი აღნიშნავდა ბაზილიკის ტიპის

<sup>1</sup> ბოლნისის სიონის ზომებია: სიგრძე 27 მ და 80 სმ; სიგანე 29 მ და 50 სმ; სიმაღლე შიგნით – 11 მ [17, გვ. 89].






დამახასიათებელ საერთო ტიპიურ ნიშნებთან ერთად, გააჩნია თავისებური, მისთვის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული ნიშნები. ისინი პირველად გამოაცალკევა და შეისწავლა აკად. გ. ნუბინაშვილმა. სპეციალურ ლიტერატურაში [129; 72] ასახელებენ ბოლნისის სიონისათვის სპეციფიკურ შემდეგ არქიტექტურულ ნიშნებს:

საკურთხეველს არ გააჩნია გვერდითი ოთახები, არაა გამოყოფილი სამკვეთლო და სადიაკონე. ტაძარს არ გააჩნია დასაყვლეთის ნართექსი, ანუ ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ტერმინოლოგიით „სტოა“ [115, გვ. 103], რომელიც გაერცვლებული ყოფილა ელიზნისტური ტიპის სირიის ბაზილიკებში, მაგრამ უცხოა უძველესი დროის, ყველაზე ადრეული ქართული ბაზილიკებისათვის.

იშვიათი გამო-  
ნაკლისია, სულ რამ-  
დენიმე პარალელი  
ეძებნება მსოფლიო  
ხუროთმოძღვრებაში,  
ისიც V საუკუნეში,  
ტაძარში სამხრეთ-აღ-  
მოსავლეთით ჩაშენებ-



სურ. 5

ულ ორაფსიდიან (აღმოსავლეთით და დასავლეთით მიმართულ) ოთახს – სანათლავს.

შიგნითაც, აღმოსავლურ ბაზილიკებში საყოველთაოდ გაერცვლებული ფორმებისაგან განსხვავებით, ბოლნისის სიონის მთავარი ნაგი და გვერდითი ნაგები თითქმის ერთი სიმაღლისაა და სამივე ერთი საერთო ორფერდა სახურავითაა დახურული; ამასთანავე, ყველა გადახურვა კამარულია; გრძივ კედლებში არაა სარკმლები (ახლანდელი სარკმლები გვიანდელია და XVII ს-ში ჩატარებული რესტავრაციის შედეგია, თუმცა, სოგიერთი მოსაზრებით, ადრინდელი ფორმების განმეორებით).

მაგრამ, რაც განსაკუთრებით განასხვავებს ბოლნისის სიონს სხვა ბაზილიკებისაგან, ესაა შიდა სივრცის აღქმის მიმართულება. საქმე ისაა, რომ სხვა ბაზილიკებში შესასვლელია დასავლეთიდან და მათში მოძრაობის მთავარი ღერძი მიმართულია აღმოსავლეთისაკენ, საკურთხევლისაკენ. ბოლნისის სიონს დასავლეთის შესასვლელი არ გააჩნია (დღეს არსებული, როგორც აღინიშნა, XVII ს-შია გაჭრილი), შესასვლელი აქ გვერდიდან, ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან იყო, ამიტომ ტაძარში შესულს სივრცის თანდათანობითი რიტმული აღქმა კი არ შეექმნება, არამედ იგი ერთბაშად მოხვდება მაღლა ატყორცნილ და ფართოდ გაშლილ ვრცელ სივრცეში, რაც, უთუოდ, ზეაღმტაცი ფსიქოლოგიური ეფექტის გამომწვევი ფაქტორია [125, გვ. 24-25; 72, გვ. 6-11]. ამას ხსნიან ბოლნისის სიონის არქიტექტურის კავშირით ძველი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების, კერძოდ, ქართული სა-

ცხოვრებელი „ღარბაზის“ ელემენტებთან.

მაგრამ, ამასთანავე, ბოლნისის სიონის ტაძარი, მისი მიმდებარე ტერიტორია და მათ გარშემო, აგრეთვე, მოშორებითაც სოფელში არსებული ადგილები, დიდად მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ობიექტებსაც წარმოადგენენ.

საკუთრივ ბოლნისის ტაძარში და მის გარშემო პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია 1936 წ. მოეწყო აკად. ნ. მარის სახელობის კნის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის“ საიუბილეო გამოფენის მოწყობისათვის გამოყოფილი სახსრებით. გათხრების საერთო ხელმძღვანელი იყო ი. ჯავახიშვილი, კონსულტანტი გ. ნუბინაშვილი, ხოლო უშუალოდ ადგილზე გათხრებს ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი [144, გვ. 2]. გათხრები გაგრძელდა მომდევნო, 1937 წელსაც და 1939 წელსაც.

ამ გათხრების შედეგები მეტად მნიშვნელოვანი იყო. საბოლოოდ გამოიკვეთა და დადგინდა სიონის თავდაპირველი გეგმა. აღმოჩნდა მრავალი არქიტექტურული დეტალი, ჩუქურთმიანი სტელები და ქვები ადრე შუა საუკუნეების დროისა. გამოვლინდა საამშენებლო წარწერის დიდი და შინაარსით უაღრესად მნიშვნელოვანი ფრაგმენტი [15ა, გვ. 13-14].

ტაძრის ეზოში გაიჭრა ოთხი საცდელი თხრილი და გამოვლინდა ფეოდალური ხანის რამდენიმე ქვის სამარხი. მათი უმრავლესობა ნაგები იყო ბრტყელი ქვით და ასეთივე ქვები იყო გამოყენებული მათ სახურავადაც. მიცვალებულებს, დამარხვის ქრისტიანული წესის თანახმად, ნიეთები თითქმის არ ახლდა, მაგრამ, მაინც აღმოჩნდა საინტერესო არქეოლოგიური მასალა: თიხის ჭურჭელი, მინის სამაჯურები, ლითონის ბეჭდები, ფაიანსის მძივები და სხვ.

ტაძრის ეზოშივე გაითხარა ძველი თონის ნაშთები, მასთან ახლოს – რამდენიმე ქვის სარკოფაგი. მათში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ გულზე ხელებდაკრეფილნი, თავით დასაყდესთა, კენ. ეზოშივე აღმოჩნდა ნაცრის სქელი ფენა, რაც იმის მოწმობად იქნა მისჩვეული, რომ ტაძარი დამწვარა, ალბათ, მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს.

მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას ლ. მუსხელიშვილი XIV-XVI სს. ათარიღებდა [59, გვ. 373-374].

გათხრები ბოლნისში განახლდა ომისშემდგომ წლებში, ოღონდ უკვე ამ დროს არც ი. ჯავახიშვილი და არც ლ. მუსხელიშვილი ცოცხლები აღარ იყვნენ [15, გვ. 283-284]. მოვიდა არქეოლოგების ახალი თაობა, ახალი მიზნებით, ფართო მასშტაბებითა და მიზანდასახულობით. ამჟამად არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია. გათხრის მასშტაბები მთელ ბოლნისის რაიონზე გაერცვლდა. ჩატარდა რამდენიმე არქეოლოგიური ექსპედიცია და დახეურვა, რომელთა მიზანი იყო რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა უძველესი დროიდან დღემდე [18, გვ. 21].

დახეურვებისა და გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბოლნისის მხარე დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდანვე, მისი ფართო ათვისება ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში დაუწყიათ. ამ ხანისა აქ აღმოჩნდა იარაღები და თიხის ჭურჭელი; ასევე, აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს, ადრეული რკინის ხანისა და ანტიკური ძეგლები. მთლიანად ამ რეგიონში გამოვლინდა წინაფეოდალური ხანის ორმოცდაათიოდე ნასახლარი, ადრეფეოდალურისა – ორმოცდაათიოდე, შუაფეოდალურისა – ოთხმოცათხუთე და გვიანფეოდალურისა









წ(მიდი)სა გრ(იგოლ)(ი)ს(ი)თა მე, გლ(ა)ხ(ა)კმ(ა)ნ(!) ელია ბ(ოლ)ნ(ელ)ა მდ(დელ)თმ(ო)მ(დურა)დ ღ(ი)რს ვ(ი)კ(მე)ნ საყდ(ა)რსა წ(მიდი)სა გ(რი)გ(ო)ლ(ი)ს(ა). და ამას საყდ(არ)ს(ა) ღ(ა)მ(ი)ს(თ)ე(ე)ვ(ა)ე არა ღ(ე)ბ(უ)ლ(ი)ყ(ო) კ(ე)რ(ა)სმ(ა)ლთა. მე | ღ(ა)ყდ(ე)ე და ზ(ე)დ(ა)შე ღ(ა)მ(ი)ს(თ)ე-ველთათ(ე)ს ს(ა)გ(ა)ლთბელ(ა)დ ღ(მ)რთისა.

ა(ღი)ღ(ე)ნ ღ(მ)რთმა)ნ ღ(ა)ყთ მ(ამ)ჟა(ღი) | და შვე(ი)ლ(ნი) მა(თნი) და აბ(უ)ლ მ(ამ)ჟა(ღი).

და აწ, ვინ წ(ემ)დ(გ)რ(ო)მ)დ წ(ე)მ(ს)ა ესე | ღ(ა)მ(ი)ს(თ)ევა)ე და ზ(ე)და)შმ ამ(ი)ს ეკლ(ე)სიი)ს(ა)გ(ა)ნ ჟ(ი)ნ(ო)ს(ან)თა შ(ე)უ(ე)ვ(ა)ლო)ს, შ(ე)წ(უ)ნ(ე)ბ(უ)ლ-მ(ც)ა არს ღ(მ)რთი)ს(ა)გ(ა)ნ ღ(ა) (ა)მ(ი)ს ს(ა)ყ(ღ)რისა)გ)ან. ვ(ი)ნ ესე ა(ღ)გ(ო)ც(ო)ს კ(ა)ნ(ო)ნს(ა) ქ(უ)შ(ე)-მ(ც)ა არს.

წარწერის ტექსტი გამოცემებში სწორად არის წარმოდგენილი და ცალკეული კითხვასხვაობანი მხოლოდ ორთოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ უკანასკნელ გამოცემაში [86, გვ. 250] ტექსტის ერთი ადგილი, ეფიქრობ, სწორად არ არის წაკითხული. ნაკვლად აქ და, ასევე, წინა გამოცემებში წარმოდგენილი ნაწილები - „ამას საყდარსა ღამისთევაი არა დებულ-იყო კერასხაღთა. მე დაედეგ“ - აღნიშნულ გამოცემაში წარმოდგენილია: „ამას საყდარსა ღამისთევაი არა დებულ-იყო. კერის ძაღთა მე დაედეგ“. „კერის ძაღა“ გაუგებარია - კეირის, ან წმ. კეირიას ძაღით? ერთიც და მეორეც ტექსტს მხოლოდ აბუნდოვებს. ხოლო „კერასხაღს“, ე.ი. შაბათ საღამოს წირვის დაწესება საყვებით მიღებული და გაერცვლებული წესი იყო ლეონტიძისაზრების პრაქტიკაში.<sup>1</sup>


პუნქტუაციის ნიშნების განსხვავებული დასმით წარწერის ტექსტის ეს ადგილი შეიძლება ასეც წაეკითხოთ: „ამას საყდ(არ)სა ღ(ა)მ(ი)ს(თ)ე(ე)ვ(ა)ე არა ღ(ე)ბ(უ)ლ(ი)ყ(ო). კ(ე)რ(ა)სმ(ა)ლთა მე ღ(ა)ყდ(ე)ე და ზ(ე)დ(ა)შე ღ(ა)მ(ი)ს(თ)ე-ველთათ(ე)ს.“ წაკითხვის პირველი ვარიანტი ისე ჩანს, რომ კვირახაღს, ე.ი. შაბათ საღამოს ეკლესიაში ღამისთევა აუცილებელი იყო, ბოლნისში იგი არ სრულდებოდა და ელია ბოლნელს განუწყვებია; ხოლო მეორე წაკითხვით - საერთოდ არ იყო ეკლესიაში დაწესებული არც ერთი ღამისთვის, მაშინ, როდესაც იგი აუცილებელი იყო და ელია ბოლნელს შაბათ საღამოსთვის დაუწყებია. მასთან ერთად მასვე დაუწყებია ზედაშე („შესაწირაჲი ღვინო“ - საბა) ღამისმთეველთათვის. ამჟამად, როდესაც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ყველა დეტალი სამონასტრო ცხოვრების წესებისა ძველ საქართველოში, ძნელია გადაჭრით მიეკუთვნოს უპირატესობა რომელიმე წაკითხვას.

ღ. მუსხელიშვილის მიხედვით, წარწერის ტექსტში „კერასხაღთა“-ს ადგილას უნდა წაეკითხოთ „კრებულისა ძაღითა“ [59, გვ. 339], მაგრამ ტექსტის ფაქტობრივი მონაცემებით ეს არ მტკიცდება.

2. სამხრეთ-აღმოსავლეთი შესასვლელის მარცხენა ანაქოლში ჩასმულ ერთ-ერთ ფილაზე ამოკვეთილი წარწერა ამჟამად ძალზე დაზიანებული.

<sup>1</sup> ასეთივე კონიექტურას საჭიროებს დაეით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი ანდერძი (1124) ერთი ადგილი. სადაც აღნიშნულია, რომ ტურათისუბნის სერისა და მიწისაგან მიღებულ შემოსავლის „პური ელესიას მიეცემოდის თითოჲ კურიას ძაღითა და თითო კარასეული ღვინო [85, გვ. 57: 105-106]. აქ „კურიას ძაღი“, ისევე როგორც ბოლნისის სიონის ამ წარწერის აღნიშნულ უკანასკნელ პუბლიკაციაში, გაუგებარია და იგი უნდა შეიცვალოს ტურმინიო „კერასხაღთა ხოლო ამ ჩასწორებით გასაგებია, რომ ელესიის მსახურთ შაბათ საღამოს მიეცემოდა თითო პური და თითო კარასეული ღვინო.

(ასევე დაზიანებული ყოფილა იგი ფრ. დიუბუასის მიერ მისი გადმოხატვისას (1837), როდესაც მან ასლი მიაწვდია მ. ბროსეს). ტექსტის უკანასკნელი პუბლიკაციის მიხედვით [86, გვ. 251] ესეც ელია ბოლნელის განხილვას წარმოადგენს ისევე კვირაძალს, თუ ამჯერად უკვე კვირაძალს, დამისთევის დაწესების შესახებ, ოღონდ გადმოცემულს ძალზე მოკლედ.\*



სურ. 7

ნულემა ეჭვის ქვეშ დადგა [57, გვ. 193]. ფილის სედაპირის ატკეცვის გამო, წარწერის ტექსტი დაზიანებული და ნაკლებია. არსებობს ტექსტის ორი გამოცემა [59, გვ. 341-342, სურ. 21; 86, გვ. 251-252, № 139, სურ. 156, ტაბ. 29 - 1,2]. პირველ გამოცემაში წარმოდგენილია მხოლოდ ის სიტყვები და ასოები (დაქარაგმებული სიტყვების გახსნით), რომლებიც ფილაზე სახეზეა და იკითხება, ხოლო მეორე გამოცემაში წარმოდგენილია ტექსტის ორნაირი აღდგენა.

ერთი აღდგენით, რომელიც წარწერის გრაფიკულ მონახაზზეა მოცემული [86, გვ. 252, სურ. 156], ბოლნელ ეპისკოპოსს (მისი სახელი ტექსტში

თუ ეს ახეა, მაშინ ეს წარწერა უნდა მიეჩნით ელია ბოლნელის დამტკიცებად, ქვეზე გადატანილ მის ხელრთვობად, რომელიც, აღბათ, ეტრატზე დაწერილ საბუთის ტექსტს ახლდა.

3. შესამე წარწერა-საბუთი, რომელიც ასევე ელია ბოლნელის განხილვას წარმოადგენს, ცალკე ფილაზეა ამოკვეთილი. ფილა (ზომა: 90x60x20 სმ) აღმოხდა 1937 წელს, ტაძრის იატაკში, გათხრების დროს. მას გარშემო ორნამენტული ჩარჩო დაუკვება. ამოკვეთით შესრულებული წარწერის ტექსტს უჭირავს ფილის სედა ნახევარი. იმთავითვე ეს ფილა მინერალ-ოქნა გურგან ერისთავთ-ერისთავის საფლავის ქვეა [59, გვ. 342; 18, გვ. 29], მაგრამ, ბოლო დროს, როგორც ჩანს, საეკლესიო სამართლიანად, მისი ასეთი დანიშ-

\* როგორც ჩანს, ეკლესია-მონასტრებში დამისთევის დაწესება მიღებული იყო არა მარტო „კვირაძალს“, ე.ი. შაბათ საღამოს, არამედ კვირა ღამესაც, როგორც ეს იყარაუდება ბოლნისის სიონის ამ წარწერის მიხედვით. უღრ. „ყოველთა კურიათა ღამე ყოველ დამისთევათ“, რომელიც შიომღვიმის მონასტერში „გაუწესებია“ არსენი ბერს, XII ს-ის დამდგვის ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეს. ამ „განწესების“ აუცილებლად შესრულების შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში - „ნუ ეინ შესცვლის ამას წესსა“ [85, გვ. 57: 103-104].



ასომთავრულ წარწერას. იგი აღმოჩნდა 1936 წელს, ტადრის იატაკში, არქეოლოგიური გათხრების დროს. ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში (№ 139). წარწერა გამოცემულია სამჯერ [59, გვ. 337-338, სურ. 18; 70, გვ. 22-23, №22, ტაბ. VII, სურ. 1; 86, გვ. 153, № 64, სურ. 76, ტაბ. 52.1]. მისი ტექსტი თავისუფლად იკითხება და იგი ასეთია:

უსუსტანნი  
ღუნუსხანტრ  
ნსსახაბფს  
ტატანფს

ესე ს(ა)ფ(ლა)ენი ი(ო)ენი ე(ო)ლ(ე)ლ  
ე(ის)კ(ო)ოსის(ა)ნი და ე(ინ) სხ(უ)ა)ი  
დ(ა)ფლ(ა)ს | ამ(ას)ცა – ნუ (ე)გ(ე)ბ(ი)ს.

წარწერის პალეოგრაფიული ნიშნები იმდენად იდენტურია ზემოთგანხილულ გურგენ ერისთავთა ერისთავის წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებისა, რომ შეიძლება ორივე ეს წარწერა ერთი ხელისნის შესრულებულად ჩაითვალოს. ამდენად, ეს წარწერაც X ს-ის შუა ხანებით დათარიღდება. ვარაუდობენ, რომ მასში მოხსენიებული იოვანე ბოლნელი არის X ს-ის ცნობილი ქართველი მწერალი-ჰიმნოგრაფი [59, გვ. 338; 30, გვ. 25].<sup>1</sup>

ამავე ფილის ზურგზე, მის უკანა მხარეს, ამ მიზნით საგანგებოდ მოსწორებულ ზედა მარჯვენა კუთხეში, ამოკვეთილია ასევე X ს-ის წარწერა 'მუშანიისა (იხ. ზემოთ, გვ. 15 – მემორიალური წარწერები, ს [59 გვ. 339, სურ. 19]).

ბოლნისის ტაძარში ინახება ადრეული ხანის (XI ს.) კიდევ ერთი საფლავის ქვის ფილის გვერდებამოტეხილი ფრაგმენტი, რომელზედაც შერჩენილია ეპიტაფიის ნაწყვეტები. იგი ადრე არ გამოქვეყნებულა. ასომთავრული წარწერის ტექსტის მხოლოდ ნაწყვეტები იკითხება:

[...]უსუსტ[...]  
[...]უსუსტ[...]  
[...]უსუსტ[...]  
[...]უსუსტ[...]  
5. [...]უსუსტ[...]  
[...]უსუსტ[...]

[...]ესე საფ[...]  
[...] იყოს ე[...]  
[...]არს დიაკო[...]  
[...]ათრია[...]  
5. [...]ნეს ეს[...]  
[...]ვათ[...]



სურ. 8

<sup>1</sup> ახლახან გამოქვეყნებულ ერთ ნაშრომში [44, გვ. 25, შენ. 33], რაღაც ვაუგებრობით. მიჩნეულია, რომ გურგენ ერისთავთა ერისთავის წარწერა რელიეფურია, ხოლო იოვანე ბოლნელის ეპიტაფია – ფილაზე ამონაკაწრი, მაშინ, როდესაც ორთავე ამოკვეთილ შესრულებულ, „საშემსრულებლო ტექნიკით“ სავსებით სრულფასოვან ლაპიდარულ წარწერებს წარმოადგენენ.

ტაძრის გათხრების დროს აღმოჩნდა (ზოგი ისევეა ცხანდა, რადგან იატაკში იყო ჩასმული) გვიანი შუახაუკუნეების (XVIII ს.) საფლავის ქვის ფილები ეპიტაფიებით, რომელთა ერთი ნაწილი გამოცხა ლ. მუსხელიშიელმა [59, გვ. 356-357].

#### 4. მლოცველთა წარწერა-ბრაზიტამბი

ტაძრის კედლებზე სხვადასხვა ადგილას ამოკაწრულია X-XI სს-ის (ზოგიერთი შეიძლება ამაზე ადრეული ხანისა) წარწერა-გრაფიტები, რომლებიც ეკლესიაში ხალცვაგად მიხულ პირებს ეკუთვნის, ანუ ე.წ. *მლოცველთა წარწერებია*. ჩვეულებრივ, ისინი ტრაფარეტული ტექსტისაგან შედგება: „ქრისტე, შეიწყალე...“ და შემდეგ იმ პირის სახელი, ვინც წარწერა ამოკაწრა, ან ვის სახელზეც ამოკაწრეს იგი.

ამ წარწერების ერთი ნაწილი აღრიცხა და გამოაქვეყნა ლ. მუსხელიშიელმა [59, გვ. 342-343], მაგრამ სრულად ისინი ჯერ კიდევ არ არის შეკრებილი.

ბოლნისის ხოანის წარწერა-გრაფიტებში დასახელებულია შემდეგი პირები: *კურიკე, თოვანე, ზახიძე, თეოდორე* (დაქარაგმებულია, როგორც „თ რ“, ამიტომ შეიძლება გაიხსნას, აგრეთვე, როგორც „თ(აბა)რ“), *გიორგი, სეიზაკ, პეტრე, იონა, მიქაელ* და სხვ. ზოგიერთი სახელი (მაგ. კურიკე) რამდენჯერმეა ამოკაწრული სხვადასხვა ადგილას. ერთგან, ტაძრის სამხრეთ კედელზე, შესახელებელი კარის მარცხენა სვეტზე, იატაკის დონიდან 118 სმ-ის სიმაღლეზე ამოკაწრულ კურიკეს წარწერაში („ქრისტე, კურიკე შეიწყალე“) სამივე 1 ე გადმოცემულია მარცხნივ თავთან დამატებითი ხაზის გარეშე და, რაც მთავარია, 2 2 თავშეკრულია. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ეს წარწერა უძველესი დროისა და თვით V-VI სს. იყოს. ასევე, უთუოდ, უძველეს დროს განეკუთვნება „თრ“-ს (თეოდორეს, თუ თამარის) წარწერა-გრაფიტები, რომლებშიც 6 თ-ს მუცკალი ნახევარწრეზე მეტი მოხაზულობისაა, ხოლო 8 რ-ს მარჯვენა კაუჭი ტარის შუა ნაწილზე მაღლა აქვს მიდგმული.

მაშასადამე, ბოლნისის ხოანთან დაკავშირებულია არა ერთი და ორი, ან რამდენიმე ცალკე ადგილი წარწერა, არამედ წარწერების ჯგუფები. ისინი შინაარსობრივად ერთიანდებიან და ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროს განეკუთვნებიან.

მათ შორის უმნიშვნელოვანესია უძველესი დროის ლაპიდარული წარწერები – საამშენებლო და ორი მემორიალური – დაეით ეპისკოპოსისა და ფარნეკან დაახარებტისა. ორი უკანასკნელი აღრიდანვე (პირველი 1854, ხოლო მეორე ამაზე ადრეც – 1838 წლიდან) იყო ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო საამშენებლო წარწერა შედარებით გვიან, 1937 წელს აღმოჩნდა, თუმცა, მისი კედელში დარჩენილი ფრაგმენტების გადასულ-გადარეცხილი ცალკეული ასოები ადრევე შეიმჩნეოდა.


როგორც ქვემოთ დაეინახაეთ, საამშენებლო წარწერა მშენებლობის დასრულების შემდეგ შეუსრულებიათ, ხოლო მემორიალური წარწერები მასზე ცოტა ხნით ადრე, თვით მშენებლობის პროცესში ჩანს შესრულებული და კედლის წყობაში ჩასმული. ამიტომაც, ჩვენც მემორიალური წარწერებით დავიწყეთ.

### III. ბოლნისის სიონის ორი უკველესი მემორიალური წარწერა

#### 1. დავით მაისკოპოსის წარწერა

ბოლნისის სიონის მემორიალურ წარწერებს შორის, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანია დავით ეპისკოპოსის წარწერა, რომელსაც ბოლო ხანებში, რატომღაც, საამუშენებლო წარწერადაც მიიხსენიებენ [63] და სამშენებლისა და ხელოსნების მოსახსენიებელსაც“ უწოდებენ [86, გვ. 67], მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ასე არ არის.

დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერა, შესრულებული 8 სტრიქონად, მაღალი და მსხვილი, რელიეფური ასომთავრული ასოებით (სიმაღლე 6 სმ), გამოქანდაკებულია ქვის ოთხკუთხა ფილაზე (ზომა: 90x50 სმ), რომელიც ჩასმულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადში, საკერძოეკლესიის




სურ. 9

სარკმლის ზემოთ. წარწერის სტრიქონები მოთავსებულია ამ მიზნით საგანგებოდ გაეღებულ კარაღელურ, ჰორიზონტალურ ხაზებს შორის, რომელთა კვალი ქვის ფილის შედაპირზე ამჟამადაც გარკვევით ჩანს.



წარწერის საერთო დაცულობა, თუ მის სიძველეს გაკითხვისწინებთ, საეჭვოა დაამკამოყფილებელია და, შეიძლება ითქვას, საუკეთესოც, რადგან არც ერთი ასოს წაკითხვა ვერც არ იწვევს. ამასთანავე, ეტყობა, ქვის დაბერების და გამოფიტვის გამო, ფილის სუდაპირი ადგილ-ადგილ უმნიშვნელოდ ატკეცილია, ხოლო დაბალი ჩარჩო ფილის გარშემო სოვიერთ ადგილას გადაშლილია. ყველაზე მეტად ფილა დაზიანებულია ქვედა მარცხენა კუთხეში, სადაც, ამის გამო, ბოლო ორი სტრიქონის დასაწყისი ასოები ნაკლებია, თუმცა, ბოლო სტრიქონის მესამე ასო **ტ** ა და სხვა ასოთა მკრთალი კონტურები, მაინც განირჩევა. შინაარსის მიხედვით ნაკლებ ასოთა ადგილას არ ჰქირს. ბოლოდან მეორე სტრიქონის დასაწყისში „მშრომელთას“ ნაცვლად, თითქოს, „მდგომელთას“, „მლოცველთას“, ან „მხოლოდ მართალთას“ წაკითხვის ვარაუდი [144, გვ. 65] შედგება, რადგან



სურ. 10

კონტექსტით და ამ თავნაკლები სიტყვის სხვა შემორჩენილი ასოების მიხედვით, აქ მხოლოდ „მშრომელთა“ შეიძლება წაკითხოს და ადვადგინოს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათია ქართულ ეპიგრაფიკაში და, ვეიქრობ, არამარტო ქართულში, ასეთი ღამაზი წარწერა. მისი ყოველი ასო გამოყვანილია მკაფიოდ, ნათელი, დახეუწილი გრაფიკით, მაღალი რელიეფით: ასოები გვერდითი განათებისას – და წარწერა, როგორც შენობის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებული, დღის პირველ ნახევარში სწორედ ასეა განათებული – ხალისაზე განფენილი ორნამენტის შთაბეჭდილებას ახდენენ. წარწერის მხატვრულ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ მისი ასოები სიმეტრიულადაა განლაგებული ქვის ფილის ცენტრში გამოყვანილ, ორმაგ ორნამენტირებულ წრეში ჩასმულ, მეტად ღამაზი ტოდმკლავიანი ე.წ. ბოლნური ჯერის გარშემო, რომლის პროპორციები, თავის მხრივ, მოხდენილადაა შეფარებული ფილის საერთო სომასთან.



ის, რომ ეს წარწერა ძალიან ძველი იყო, მკვლევართა შორის დავას არ იწვევდა. განსაკუთრებით ამის მაჩვენებლად მიაჩნდათ ტექსტის ბოლოს ზმნის თითქოსდა უჩვეულო ფორმა „შეხეწიე“, სადაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად *ღ ხ* არის გამოყენებული. მოგვიანებული (1922) აკ. შანიძემ დაასაბუთა, რომ ეს სავსებით კანონზომიერი ენობრივი ნორმაა, რომელიც დამახასიათებელი იყო უძველესი ხანის (V-VII სს.) წერილობითი ძეგლები-სათვის [96].

წარწერის თარიღს არაეთხელ შეეხო საგანგებოდ ივ. ჯავახიშვილი [114, გვ. 314, 320-321; 116, გვ. 158-161, 178-180, 200-202], პალეოგრაფიული ნიშნებით (ღ პ, ჟ, ყ ასოთა მარყუევების შეკრულად გადმოცემა, ასოს ტართან მიერთება) იგი უძველესი დროისად მიიჩნია, მასში დასახელებული დაეით ეპისკოპოსი ქართველ-სომეხ-ალბანელთა გაერთიანებული საეკლესიო კრების მონაწილე და სომხურ საისტორიო ძეგლში – „ეპისტოლეთა წიგნში“ მოხსენიებულ დაეით ბოლნელ ეპისკოპოსად ჩათვალა, რომელსაც სხვებს შორის ხელი მოუწერია ამ კრების აქტებისათვის. რადგანაც ეს კრება 506 წელს გაიმართა დეინში, ივ. ჯავახიშვილმაც ეს წარწერა ამ წლის ახლო დროით დაათარიღა.

ივ. ჯავახიშვილის ეს კარაული, რომელსაც ლ. მუსხელიშვილმა „რთული მსჯელობის შემდეგ მართლაც საკვირველის მიახლოებით მიღებული თარიღი“ უწოდა [59, გვ. 328], სავსებით დაადასტურა ბოლნისის სიონში 1937 წელს აღმოჩენილმა ტაძრის საამშენებლო წარწერამ, რომელშიც აღნიშნული თარიღი 493 წ. (ტექსტის აღდგენის სხვა ვარიანტით 503 წ.) დიდად მიახლოებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ ეარაულით გამოთვლილ თარიღთან.

წარწერის ტექსტი სავსებით ნათელია და გასაგები. მისი ინტერპრეტაცია, თითქოს, აზრთა სხვადასხვაობას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ რთულმა აგებულებამ და შედგენილობამ სხვადასხვაობა მაინც წარმოიქმნა. ეკრძოდ, მინჩულ იქნა, რომ ეს წარწერა საამშენებლოდაც უნდა ჩაითვალოს, რადგან მის ტექსტში დასახელებულია „მშრომელნი ამას ეკლესიასა შინა“. ამიტომ წარწერას ასეთი სათაურიც მიეცა – „მოსახსენებელი ამშენებლის და ხელოსნების“ [86, გვ. 67].

სინამდვილეში, „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიეს“ სახით, წარწერის ტექსტში ჩართულია ღვთისმსახურების, ლიტურგიის ერთ-ერთი ფორმულა ჟამისწირვისა, კვერქსი, რომელიც წირვის დროს წარმოსათქმელ ასამაღლებელთა ჯგუფში შედის.

ლიტურგიის ტექსტის ეს ნაწილი მეტად ცვალებადი იყო<sup>1</sup> და იგი სხვადასხვა რედაქციებში, ხშირად ერთდამიმევე დროის ხელნაწერებშიც, სხვადასხვა სახით, განსხვავებული ფორმულებითაა წარმოდგენილი. ამჟამად ძნელია იმის დადგენა, თუ როგორი რედაქციული ცვლილებები განიცადა ჟამისწირვის ტექსტმა V ს-დან მოყოლებული, ე. ი. იმ დროიდან, რომლითაც ეს წარწერა თარიღდება. ყველაზე ახლოს იგი დგას იაკობის ჟამისწირვის, ე. ი. ლიტურგიის უძველესი წესის ტექსტის შესაბამის მონაკვეთთან: „მოივსენენ, უფალო, მშრომელნი და მსახურნი ჩუენნი, მამანი და ძმანი ჩუენნი სახელისა შენისათეს წმიდისა“ [157, გვ. 54]. მაგრამ, უკვე დიდად დაშორებულია

<sup>1</sup> ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია აკად. კ. კეკელიძის დასკვნა – „ერთი და იგივე ლიტურგიული წესი, ადგილისა და დროის მიხედვით, ხშირად ფერს იცვლიდა ხოლმე“ [40, გვ. 129].

წარწერისეული ტექსტის ფორმულა ბასილი დიდის ჟამისწირვის ტექსტთან, რომლის XII ს-ის რედაქციაში (უფრო ადრინდელი არ შემონახულა) ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „წმიდისა ამის სახლისათჳს და ხარწმუნოებით და კრძალულებით და შიშითა ღმრთისათა შემაკაღთა მას შინა უფლისა მიმართ (ვილოცოთ). მთავარეპისკოპოსისა ჩუენისა (სახელი), პატიოსანთა მღვდელთა, ქრისტესმიერ დიაკონთა და ყოველისა სამღვდლოსა ერისათჳს უფლისა მი(მართ ვილოცოთ)“ [90, გვ. 300:11-15].

ძველი რედაქციის ტექსტის ხელნაწერებიც რომ იყო შემონახული, ამის მახევენებელია XVIII ს-ის წარწერა-გრაფიტი, ამოკაწრული სვანეთში, უშგულის *ჩაუაშის* მაცხოვრის ეკლესიაზე, რომელიც ჟამისწირვის ნაწყვეტს წარმოადგენს და ძალზე ახლოს დგას ტექსტობრივად ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის V ს-ის მემორიალური წარწერის ფორმულასთან. ეს ტექსტი წარწერა-გრაფიტის შემსრულებელს, ცხადია, მხოლოდ წიგნიერი გზით, ხელნაწერში გაცნობით შეიძლებოდა ცოდნოდა: „ღმერთო, შეიწყალე ამ ეკლესიის აღმაშენებელი და შემომწირველი, ამ ეკლესიის ღუდელი და ქრისტეს მიერ დიაკონი“ [73, გვ. 185-186, 367-369, № 216].

მაშასადამე, ცხადია, რომ ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის მემორიალურ წარწერაში აღნიშნული „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე“ კონკრეტულად ბოლნისის ტაძრის მშენებელ ხელოსნებს კი არ გულისხმობს, არამედ წირვის დროს ღვთისმსახურებაში მონაწილე მღვდლებს, დიაკვნებს, მგალობლებს და სხვ.

„ეკლესიის მუშაკნი“, ანუ „მშრომელნი“ და მისი „მაშენებელნი“ რომ სხვადასხვა პირებია, აღამიანთა სხვადასხვა კატეგორიებია, ამისი საუკეთესო მაჩვენებელია კუმურდოს ტაძრის 964 წლის წარწერა, რომელშიც მსგავსი შემთხვევა – ტექსტში კვერქსის ნაწყვეტის ჩართვა დასტურდება; მასში ნათქვამია: „წმიდარ ეკლესიარ, *შენი მუშაკნი* და ყოველნი *მაშენებელნი* შენი დღესა მას საშჯელისასა დაიფარე“ [86, გვ. 266].

ამდენად, ეს არის დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერა, რომელშიც ეკლესიის კრებულის მასთან ერთად წირვა-ლოცვაში მონაწილეობისათვის ქრისტეს მიერ ღმრთის წინაშე შეწყენა აღნიშნული [შდრ 19ა, გვ. 164].

წარწერის ტექსტის ერთ-ერთ გამოცემაში [35, გვ. 11; 36, გვ. 14] მეოთხე-მეექვსე სტრიქონების სიტყვის – „თაყვანისმცემელნი“, ნაცულად წარმოდგენილია „თაყვანისმცემელნი“ (ასომთავრული შრიფტით. მხედრული ტრანსლიტერაცია აღნიშნულ გამოცემას არ ახლავს). ეს სიტყვა დასტურდება ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაშიც (იხ. ქვემოთ) – „თაყვანისხცეს“. ამის მიხედვით, [ვ]-ს და [უ]-ს თაყისუფალი მონაცველობის, ძველ ქართულში მათი გაურჩევლობის მაგალითად მოყვანილია *თაყვანის-ხცეს* გვერდით, თითქოს, „თაყვანისმცემელნი“-ს არსებობა ბოლნისის წარწერებში [34, გვ. 46, შენ. 4]. სინამდვილეში, ბოლნისის სიონის ორივე წარწერაში (დავით ეპისკოპოსის მემორიალურში და საამშენებლოში) ეს სიტყვა აბსოლუტურად ერთნაირი ორთგრაფიითაა წარმოდგენილი: „*ამას ეკლესიასა შინა თაყვანისმცემელნი*“ და „*აქა შინა თაყვანისხცეს*“. სამაგიეროდ, სხვა ვითარებაა მცხეთის ჯვრის 595-605 წწ. წარწერაში თემესტია მხეყლისა, რომელშიც ეს სიტყვა გინიანი ფორმითაა გადმოცემული: „აღვაშშნე საყოფელი ესე... თაყვანისმცემელად დედათა“ [86, გვ. 166] და ეს ფორმა („თაყვანისცემა“) ამ წარწერასე დაყრდნობით უფრო ადრინდელადაა მიჩნეული, ვიდრე თაყვანის-ცემა [27, გვ. 46].


## 2. ფარნეჟან და აზარუხტის წარწერა

ბოლნისის სიონის წარწერებიდან პირველი გამოქვეყნდა ტაძრის ჩრდ-დას. შესასვლელის ტიმპანზე მოთავსებული წარწერა ვინმე ფარნეჟან და აზარუხტისა. ეს პუბლიკაცია განახორციელა 155 წლის წინათ (1838 წ.) იმ დროს ახალდამწყობმა ქართველოლოგმა აკად. მ. ბროსემ მაშინ ფართოდ ცნობილი შეიქცარიელი მეცნიერ-მოგზაურის *ფრედერიკ ლიუბუა დე მონპერეს* მიერ მისთვის მიწოდებული ასლის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის საერთოდ ერთ-ერთი პირველი მეცნიერული პუბლიკაცია ძველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლისა და იგი მარი ბროსემ რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში („მემუარებში“) წარმოადგინა.



სურ. 11

ამის შემდეგ ეს წარწერა, ისევე როგორც დაეთ ეპისკოპოსის მემორიალური წარწერა, ხშირად ქვეყნდებოდა, განსაკუთრებული ინტენსიურობით – რაც მისი მეტნაკლებად გამართული ტექსტი გამოსცეს ჯერ აკ. შანიძემ, ხოლო შემდეგ ლ. მუსხელიშვილმა და გ. ნუბინაშვილმა. ასე რომ დღეისათვის ამ წარწერის ტექსტის ათზე მეტი პუბლიკაცია არსებობს (იხ. [86, გვ. 69]). მათი უმრავლესობა იმეორებს ერთმანეთს, რამდენიმე მათგანს წარწერის გრაფიკული მონახაზი, პალეოგრაფიული ასლი, სოლო ორიოდეს მისი ფოტოსურათიც ახლავს.



სურ. 12

ფარნეჟან და აზარუხტის მემორიალური წარწერა, ისევე როგორც დაეთ ეპისკოპოსის წარწერა, როგორც პალეოგრაფიულად მისი იდენტური, იმთავითვე ადრეული ხანისად იქნა მიჩნეული, განსაკუთრებით მისი მეტად არქაული ლექსიკის, კერძოდ, ტექსტში ხანმეტი ფორმის („შეხუბთ“) არსებობის გამო.

ფარნეჟან და აზარუხტის წარწერამ, შედარებით დაეთ ეპისკოპოსის მემორიალურ წარწერასთან, მეტად დაზიანებული სახით მოაღწია ჩვენამდე. იგი იმთავითვე ასეთი დაზიანებული სახით გახდა ცნობილი სამეცნიერო წრეებისათვის, თუმცა, ტექსტის ძირითადი და არსებითი ნაწილი მაშინაც

იკითხებოდა და ამჟამადაც მისი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს.

ფარნევან და აზარუხტის წარწერის დაზიანების მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც ბოლნისის ტაძრის გარშემო მიწის დონემ თითქმის ორ მეტრამდე აიწია, ეს წარწერა მეტად დაბლა აღმოჩნდა მოთავსებული – იგი ადამიანის სიმაღლესე და მასზე რამდენადმე დაბლაც მდებარეობდა. ამის გამო, მისთვის ხელის შეხება, მისი მექანიკური დაზიანება ადვილი შეიქნა. ამას ატმოსფერული ნალექების შემოქმედებაც ერთვოდა და საბოლოოდ ნაწერი დიდად დაზიანდა და ტექსტმაც ნაკლები სახით მოაღწია.

ფარნევან და აზარუხტის წარწერა შესრულებულია ერთ სტრიქონად, რელიეფური, ასომთავრული ასოებით, ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი შესასვლელის ტიმპანის ქვედა კედის გასწვრივ, სადაც იგი ქვის დიდი ზომის ფილას ერთ გრძელ ზოლად გასდევს. წარწერას უჭირავს ფართობი: 267x5,5 სმ. ასოების სიმაღლე: 4-4,5 სმ. ტექსტი ქვის ფილაზე გადადის შესასვლელის ჭრილის ორივე მხარეს. დაზიანებული და ნაკლებია წარწერის ტექსტის დასაწყისი და დასასრული ნაწილები, აგრეთვე, სოგისურთი ადგილი შუა ნაწილშიც. დაზიანებულ ადგილებში თითქმის ყველგან რელიეფურ ასოთა კონტურები მეტ-ნაკლებად გაიწმინდა, ასე რომ ტექსტის წაკითხვა ეჭვს არ იწვევს გარდა ერთი ადგილისა. ამ ადგილას, ოდნავ მარცხნივ შუა ნაწილიდან, ქვის ფილა განივადაა გააობილი მთელს სიმაღლესე. განაობის ბზარი იმ ადგილზე გასდევს, სადაც წარწერაში დასახელებული ერთ-ერთი პირის – ფარნევანის სახელის დასასრული წერია, ამიტომ სახელის ბოლო ასოები დაღუპულია და მისი წაკითხვა მეკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამ სახელს კითხულობენ „ფარნ[ევან]“, „ფარნ[ევან]“ და „ფარნ[ავან]“ ფორმით.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობა შესაძლო წაკითხვების ვარიანტებისა წარმოადგინა ლ. მუსხელიშვილმა: „ფარნ[ევან], ივან; ევან, ევან; იშან, ეშან; იბან, ებან“, მაგრამ საბოლოოდ მან დაასკვნა, რომ „მიუხედავად ასეთი თუობისა, ეს სახელი „ფარნ[ევან]“-ად რომ აღკადგინოთ, ალბათ, ძალიან დაშორებული არ ვიქნებით სინამდვილეს“ [59, გვ. 331].

გ. ჩუბინაშვილის (ცნობით, ა. შანიძეს იმ დროს (1937) თაქი შეუკავებია სახელის მეორე ნახევრის ასოების აღდგენისგან, ხოლო თვითონ უპირატესობას ანიჭებს წაკითხვას „ფარნ[ევან]“. აკ. შანიძემ სხვადასხვა დროს (1940, 1975, 1977) მის მიერ შესრულებული ბოლნისის წარწერების სამ განსხვავებულ პუბლიკაციაში წარწერის ეს ადგილი აღდგენის გარეშე დატოვა.

გ. ჩუბინაშვილი „ფარნ[ევან]“ წაკითხვას, მისივე თქმით, იმიტომ ანიჭებდა უპირატესობას, რომ ფრ. დიუბუას მიერ გადმოღებულ ასლზე (1837 წლისა), რომელიც მ. ბროსემ გამოაქვეყნა [150, ტაბ. XI, № 41], წარწერის ამ ადგილას ჯერ კიდევ იკითხებოდა „ფარნეენ“. მართლაც, აქ მეორე 1 ე შეიძლება შეცდომით გადმოღებული დაზიანებული 1 ე იყოს, ხოლო ნაკლებ ასოში, რომელიც განივი ხაზითაა აღნიშნული, შეიძლება მხოლოდ C ა ვიგულისხმოთ. ამიტომ, ამ სახელის წაკითხვა „ფარნ[ევან]“ ფორმით სხვაზე მეტად არგუმენტირებული და დამაჯერებელი ჩანს.

მართალია, სახელი „ფარნ[ევან]“ უცხია და იშვიათი, წერილობით ძეგლებში იგი სხვაგან არ დადასტურდა, მაგრამ მისი მეორე ნახევრის „ევან“ ფორმით გადმოცემა რომ სწორი უნდა იყოს, ამას მხარს უჭერს მსგავსი სახელის – „ფარვანის“ არსებობა X ს-ის ერთ ფრესკულ კტიტორულ წარწერაში ზემო სვანეთის სოფელ წვირმის „ნაკათ თარნგუელის“ ეკლესია-



ლაპიდარულ, ჭედურ და ფრესკულ წარწერებში, აგრეთვე, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში, როდესაც ხელოსან-შემსრულებელი, ან გადაწერის დასახელებული, მას ყოველთვის ახლავს გამოთქმა „შეიქმნა კელითა“, „გადაიწერა კელითა“, ან მარტივად „კელითა“, ამისი და ამისიო. სხვანაირად მათ კტიტორ-დამკვეთებისაგან ვერ განვასხეავებთ, რადგან კტიტორ-დამკვეთების შესახებაც აღნიშნულია, რომ მათ ააშენეს, მათ გადაწერეს და ა.შ. მაგალითად: „*შეიქმნა კელითა გაბრიელისადათა*“ – აღნიშნულია ოლთისის ციხის ეკლესიის საკურთხეველის წარწერაში (958-966 წწ. [86, გვ. 261]). ეკლესიის საძირკველი დაიდგა „*კელითა ჩემი ცოდვილისა საკოცრისადათა*“ (914 წ., კუმურდოს წარწერა [86, გვ. 164]); „*შეიქმნა კელითა გაბრიელ დიაკონისადათა*“ (X ს. I ნახ., დოლისყანა [86, გვ. 292]); „*შეიქმნა კელითა გლახაკისა ზაქარიასადათა*“ (X-XI სს., ხედახნის კანკელის ფილა [86, გვ. 320]) და ა.შ.

კტიტორთა წარწერებში ასეთი სურათი ჩანს (მოვიყვან ისეთ მაგალითებს, სადაც ზმნა პირველ პირშია დასმული ფარნეჟან და აზარუხტის წარწერის მსგავსად): „*მე, ფებრონია თუალოფსა ასულმან აღუაშმნე წმიდა ესე ეკლესია*“ (X ს., ლისის ჯვარი [86, გვ. 121]); „*მე, თემესტია მკვეკელმან ქრისტესმან აღუაშმნე საყოფეელი ესე*“ (595-605 წწ., მცხეთის ჯვარი [86, გვ. 166]); „*მე, მიქაელ ნიქოხელ ებისკოპოსმან აღუაშმნე წმიდა ეკლესია*“ (X ს., ნიქოხის საყდარი [86, გვ. 186]) და სხვ.

ცხადია, რომ ფიზიკური მაშენებლები ეკლესიებისა ეს კტიტორები არ არიან – ფიზიკურად ამშენებელი როგორ მოიხსენიებოდა, ეს ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს.

ასევე ეს ბოლნისის სიონის ფარნეჟან და აზარუხტის წარწერაშიც – ისინი მოხსენიებულია იმ ფორმით, როგორითაც კტიტორი დამკვეთები მოიხსენიებიან და, ცხადია, ისინიც კტიტორებად უნდა მივიჩნიოთ და არა ხელოსნებად.

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა წარწერები, რომლებშიც კარის შებმაზე და მის ხელოსნებაზე აღნიშნული. სამწუხაროდ, უძველესი დროის კარებს და მათ წარწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ გვიანში შუა საუკუნეების წარწერებშიც მოიპოვება ამ მხრივ დამახასიათებელი მაგალითები.

ფარნეჟან და აზარუხტის წარწერაში „*შეხუბათ*“ ფორმის გარსევისას აკ. შანიძემ ჯერ კიდევ 1922 წ. მოიხმო მღვიმევის ეკლესიის კარების წარწერა: „*ამა კარისა შებმეფლსა, იელუსალიმის თემით მოსულსა, აბესალომს ლომინას ძესა და მისსა მეუღლესა შეუნდოს ღმერთმან, ამინ, ამინ*“ [96, გვ. 280; 95, გვ. 280]. ცხადია, ამ წარწერის *აბესალომ ლომინასძე* და მისი მეუღლე კარის კტიტორებია და არა ხელოსნები.

თუ როგორ იხსენიებოდა კარის წარწერაში მისი ხელოსანი ამის კარგი ნიმუშია ძველი შუამთის ეკლესიის კარის წარწერა: „*ღმერთო, შეიწყალე პატაი რაშაგულ, ესე კარი მან ქნა*“ [138, გვ. 164-166].

ვფიქრობ, შეიძლება რამდენადმე ცხადი გახდეს სურათი, თუ ეეკლებით გაეარკვიოთ ფარნეჟანისა და აზარუხტის ნათესაობრივი ურთიერთობა. წარწერის იმ გამოცემაში, რომელშიც ისინი ხელოსნებადაა მინიჭული,

“ ყველაზე ადრეულია X-XI სს. წარწერიანი კარები სუანეთიდან (მაკხვარიში, აცო, სვიფი-ფარი) და იმერეთიდან (ლაშეს-უანი), მაგრამ წარწერები ამ კარებზე კტიტორულია, თუმცა, სოგიერთი, შეცდომით, ხელოსნის წარწერადაა მიჩნეული (დაწერილებით: 73, გვ. 26-27).



ტექსტის დასასრული ასეა აღდგენილი: „სალოცველად [ჩუენდა და] [შვილთა ჩუენთა]“ [86, გვ. 70]. ეს ადგილი წარწერის ყველა წინა გამოცემაში და ადგილზეც ასე იკითხება (მართალია, ასოები ამჟამად გადაწილილ-გადარეცხილია, მაგრამ მათი კონტურები, რელიეფურობის გამო, მაინც შეიმჩნევა): „სალოცველად სულთა ჩუენთათუს“. „კორპუსში“ წარმოდგენილი აღდგენით ფარნეევან და აზარუხტი კტიტორებია და არა ხელოსნები, როგორც მათ გამოცემაში ეწოდება, რადგან ფორმულით – „სალოცველად ჩუენდა და შვილთა ჩუენთა“, მთავრდება სწორედ კტიტორული წარწერების ტექსტები. ამდენად, ასეთი აღდგენით, ტექსტის მონაცემები წინააღმდეგობაშია გამოცემაში წარმოდგენილ წარწერის რაობასთან.

ფარნეევან და აზარუხტის ნათესაობრიუ-ოჯახური ურთიერთობის გარკვევაში, ეფიქრობ, შეიძლება დაგვეხმაროს მათი სახელები, უფრო ზუსტად, მეორე კტიტორის სახელის ფორმა „აზარუხტ“. ამ სახელის მეორე კომპონენტი „უხტ/დუხტ“ ნიშნავს „ასულს“ (საშ. სპარს. დუხტ *ასულ* [10, გვ. 458]). იგი ხშირად გეხედება ადრე შუა საუკუნეების ქალის სახელებში (ვალკეული შემთხვევები გვიანაც დასტურდება). ასეთი სახელები გაგრძელებული იყო იმ დროის ქართულ სინამდვილეშიც:

1. *ბალენდუხტ* – ეახტანგ გორგასლის (V ს.) მეუღლე [10, გვ. 445]. 2. *საპაკდუხტ* – გრიგოლ საკვირველთმოქმედის ხატის კტიტორი [21, გვ. 206-208; 110, გვ. 40-41, შენ. 4; 53, გვ. 48]. 3. *ბალანდუხტ* – მის სახელზეა შესრულებული VII ს-ის ეპიტაფია სამწვერისიდან (ბოლნისის რ-ნი) [86, გვ. 150-151, № 61].<sup>4</sup> 4. *მირანდუხტ* – არჩილ მეფის (VIII ს.) ასული [81, გვ. 156-3]. 5. *ბაკურდუხტ* – ნინოწმინდის X ს-ის წარწერაში მოხსენიებული პირი [146, გვ. 55; 86, გვ. 315-316]. 6. *საკდუხტ* – დედოფალთა დედოფალი, ნიანისა ასული, ღუმურისის (გალის რ-ნი) ტაძრის მაშენებელი (XI ს.) [87, გვ. 126-127, № 139]; მიღებულია ირანული სახელიდან Sahakduxt „საჰაკის ასული“ [10, გვ. 493-494]. 7. განსაკუთრებით ფართოდ გაგრძელებული ჩანს *ეჟვარანდუხტ*; მიღებულია მამაკაცის სახელის გუარამ (საშ. სპარს. Vahram + duxt (დუხტ)-ისაგან [10, გვ. 458]). ამ სახელს ატარებდნენ: არჩილ II-ის (VIII ს.) ამისწული [82, გვ. 242:23], ეახტანგ გორგასლის და (V ს.) [82, გვ. 145:25], დეიონ Ii აფხაზთა მეფის და (964 წ.) [140, გვ. 36], ბაგრატ III-ის (975-1014) დედა [82, გვ. 274:15, 275:1, 2, 276:6]; იგივე იხსენიება ბაგრატის ტაძრის (ქუთაისი) საამაშენებლო წარწერაშიც – [87, გვ. 53], გიორგი I-ის (1014-1027) ასული [82, გვ. 291:6, 304:23], დავით აღმაშენებლის მეუღლე [82, გვ. 336:5] და სხვ. 8. ქალის საკუთარ სახელს *ისდუხტ* კითხულობენ გამოცემლები ატენის ხოინის XI ს-ის ერთ ფრესკულ წარწერაში [88, გვ. 159]. 9. *დულარდუხტ* – ეამეე შაბურისძის თანამეცხედრე (XV ს-ის II ნახ. [106, გვ. 100]); ეგეეე სახელი გეხედება ეეფხისტყოსანში ორჯერ, როგორც ქაჯთა მეფის დის სახელი („*დულარდუხტ* არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია“ – 1217,1; „როსანს შეერთითო, – *დულარდუხტ*ს მეფესა უბრძანებია – 1236,1 [იხ. 65]) და სხვ.

„აზარუხტ“, თუ „აზარ(დ)უხტ“, როგორც – უხტ/დუხტ მაწარმოებულ კომპონენტიანი სახელი, შეიძლება ქალის სახელად მივიჩნიოთ და ფარნეევან და აზარუხტ ცოლ-ქმრად ჩაეთვალოთ. ცხადია, ასეთ შემთხვევაშიც, ისინი

<sup>4</sup> ამ წარწერაში მხოლოდ „სრაპანდოუხტ“-ის [145, გვ. 61], ან ...[ა]ს(უ)ლი ძაღ(ა)ნდუხტ“-ის [86, გვ. 150-153] ნაცვლად, უნდა წაეიკითხოთ: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყაღ)ე| ს(უ)ლი ძაღ(ა)ნდუხტისი“. შეიძლება „ქრისტე“-ს ნაცვლად „უფალო“. ან რომელიმე წმინდანის დასახელება აღდგეს.

კარის „შებმის“ კტიტორებია და არა ხელოსნები. მათ ცოლ-ქმრობას, თითქოს მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ წარწერის ტექსტში აღნიშნულია „მე ფარნევეან და აზარუხტ“ შევებით ეს კარი და არა „ჩვენ“ ფარნევეან და აზარუხტო.<sup>15</sup> თუმცა, საბოლოოდ, ეს მაინც ორივეს მიერ ღვაწლის გაწევას გადმოსცემს.

## X X X

დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერა, რომელიც ცალკე ქვის ფილაზეა შესრულებული და რომლის ტექსტში აღნიშნულია ტაძრის კრებულითურთ მის შეწყალებაზე, ცხადია, მშენებლობის პროცესში, სარკმლის ჭრილის დონემდე კედლების (ყოველ შემთხვევაში, საკურთხეველის აფსიდის) ამოყვანის შემდეგ შეიძლებოდა ჩაესვათ კედლის წიობაში. ასევე, ფარნევეან და აზარუხტის წარწერა, რომელშიც ტაძრის ერთ-ერთი შესასვლელის (ამ შემთხვევაში ჩრდ.-დას. კარების) ამოყვანის შესახებაა აღნიშნული, შესრულებოდა ამ შესასვლელის ამოყვანის შემდეგ, როდესაც მის თავეზე ტიმპანის ფილა იქნა გადებული. მაშასადამე, ეს წარწერაც ტაძრის მშენებლობის პროცესში, კედლის ნახევარზე ცოტათი ნაკლებად, ყოველ შემთხვევაში, შესასვლელის ჭრილის დონეზე მისი ამოყვანის შემდეგ იქნებოდა შესრულებული.

მაგრამ სულ სხვაა ტაძრის მესამე, საამშენებლო წარწერის საქმე, რომელშიც მშენებლობის დასრულების, მისი ხანგრძლივობის და მშენებლობის კტიტორის შესახებაა აღნიშნული. ცხადია, წარწერა ასეთი ტექსტით მხოლოდ ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ შეიძლებოდა შეესრულებინათ. ამ წარწერისათვის დამოუყენებიათ ჩრდ.-აღმ. შესასვლელის ტიმპანი, რომლის ზედაპირი მშენებლობის პროცესში, ალბათ, საგანგებოდ დატოვეს წარწერის ტექსტის და მასზე ბოლნური ჯვრის მოსათავსებლად, ამ უკანასკნელის სამკაულის სახით, როგორც ესაა დავით ეპისკოპოსის მემორიალურ წარწერაში საკურთხეველის სარკმლის თავეზე.

არსებობს ეარაუდი, როგორც ჩანს საესებით საფუძედიანი, რომ ფარნევეან და აზარუხტის წარწერის ზემოთაც, ტაძრის ჩრდ.-დას. შესასვლელის ტიმპანის ფილაზე, ასევე იყო მოთავსებული ბოლნური ჯვარი, როგორც ჩრდ.-აღმ. ტიმპანზე, მის სიმეტრიულად და მხატვრული აქცენტების კედლის სიბრტყეზე თანაბრად განსაწილებლად [52, გვ. 34]. მაგრამ, ფარნევეან და აზარუხტის წარწერის ზემოთ ამოკვეთილი ჯვარი არ შექმინა ფილის ზედაპირის გადარეცხვის გამო. ჩრდ.-აღმ. შესასვლელის ტიმპანზე მოთავსებული ჯვრისგანაც მხოლოდ ქვედა მკლავმა, ტარმა და წრის მცირე სეგმენტმა მოაღწია, ხოლო დანარჩენი, უმეტესი ნაწილი, მთლიანად დაღუპულია.

მოკლედ, თუ დავით ეპისკოპოსისა და ფარნევეან და აზარუხტის მემორიალური წარწერები ტაძრის მშენებლობის პროცესში არის შესრულებული, ტაძრის საამშენებლო წარწერა, რომელშიც მშენებლობის ხანგრ-

<sup>15</sup> შდრ. 1186 წ. წარწერა ორთა-ფოშთიდან (ბოლნისის რ-ნი): აღეაშენე კედლსია „სალოცველად სულისა ჩემისა და დოფისა“-ო, წერს ელმუელიქ ფადლისიქ [75, 101]; ან V-VI სს. დათარიღებული წარწერა უკანგორიდან: „სახელითა ღმრთისათა. მჟ. თათუარაზ და მარიაშ, აღხუმართეთ ესე ჯუარი“ [58, გვ. 13]; ცხადია, აქაც თათუარაზს და მარიაშ ცოლ-ქმარია.

ძლივობის შესახებაა აღნიშნული, მისი დამთავრების შემდეგ, ანუ ქრონოლოგიურად რამდენადმე მომდევნო დროისა უნდა იყოს. ეს დრო, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმის მიხედვით, თუ როგორ აღვადგენთ ტექსტის ნაკლებადგილებს, ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს 15 წელი, ხოლო მეორე შემთხვევაში 24 წელი. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ სამივე წარწერა მაინც დროის ამ მონაკვეთშია შესრულებული. მათ შორის უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ქრონოლოგიური სხვაობის მანიჭებელი ისიცაა, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისინი შესრულებულია სხვადასხვა ხელოსნის მიერ.

## IV. ბოლნისის სიონის საამშენებლო წარ- წერა. ტიპანის დაღმენასთან დაკავშირე- ბული საკითხები

საშიშვ ამ წარწერიდან, ხამწესხაროდ, ეველაზე ნაკლეულად მოაღწია საამშენებლო წარწერამ. ტიპანის ქვის დიდი ზომის ბლოკის (300x67 სმ) შუა ნაწილი (155x59 სმ) მასზე მოთავსებული წარწერის ტექსტის მოხრდილი ნაწილით, რაღაც მოხეხით, აფრევე ნამოქცეულა, იქვე შესხედედლთან მიწასი წამარხულა. მასზე მოთავსებული ტექსტი ხავეკთეხოდ, თითქმის უნაკლედაა შექმინახული: ეს რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის, დღეს მოველი წარწერის ისეთივე ტექსტი ვეძებოდა, რაც ავგიდსე დარხენიდ ტიპანის ნაწილებზეა შერხენილი – ფაქტურად, ასეთა უმნიშვნელო ნაწილები.



სურ.13

ხასიტერეხია თვით წარწერის, უფრო ზუსტად, წარწერიანი ქვის გამოლეუნის ვითარება. ტიპანზე კარქეოლოგიურ-ხარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების დროს, ტიპანის დახიანებული ნაწილების აღხადგუნად კალატოსები იევენებდნენ წამონგრეულ ნაწილებში არსებულ ქვის სხედასხვა ბლოკებს. ერთ-ერთი ასეთი ქვა, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ზომებით (მისი სიგრძე 154, ხოლო სიმაღლე 64 სანტიმეტრია) შეარჩიეს ქვის მთლელებმა და დაიწვეს მისი დაკუთხვა (დაკუთხეის ნიშნები ეტყობა წარწერის მარჯვენა მხარეს). იმხანად იქ წასულმა სიძეედე-

თა დაცვის უფროსმა დაეით ლომაქემ ხელით მოხინჯა ამ უზარმაზარი ქვის ბლოკის ქვედა ნაწილი და იგრძნო რელიეფურად ამოკვეთილი ნიშნები. მაშინვე შეაჩერეს ქვის დაკუთხვა და მისი გადაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა არაჩეულებრივი სილამაზის ასომთავრული წარწერა“ [107, გვ. 44-45].

ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერა შესრულებულია 4 სტრიქონად, რელიეფური, ასომთავრული ასოებით. იგი, როგორც აღინიშნა, მოთავსებული იყო ტიპანის ჩრდ.-აღმ. შესასედელის ტიპანის ქვაზე. ტიპანის შუა ნაწილი, რომელიც ჩაქცეულა, შესასედელის ღიობთან, წარწერიანი გეერდით მიწისკენ იყო ჩამარხული და აღმოჩნდა 1937 წელს. ამჟამად ინახება აკად.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში (დაპიდარიუმში), სადაც წარმოდგენილია ეპიგრაფიკული ძეგლების გამოყენახე (№ 146). აღგილსე, ტადრის ტიპანში ჩასმულია



სურ. 14

თაბაშირის მკლავი. გარდა ამისა, აღგილსეეა დაცული წარწერის სტრიქონების დასასრული და დასაწყისი ნაწილები, რომლებიც ქვის ზედაპირის დაზიანების, გამოფიტვის, გადარეცხვისა და მექანიკური დაზიანებების გამო, თითქმის მილიანად გადასულია – მასზე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წარწერის მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთები განირჩევა.

მუზეუმში გადატანილი მომწვანო ფერის სწორკუთხა ბლოკის ზომაა 155x47x59 სმ. მასზე შუაში შერჩენილია ბოლნური ჯერის ქვედა ნაწილის რელიეფური გამოსახულება. ფილაზე სწორხაზოვან ხარისში გამოქანდაკებულია წარწერა. ასეთა რელიეფურობა მიღებულია ზედაპირის საერთო ფონის დადაბლებით. ასოების სიმაღლე 4,5-5 სმ. ზოგიერთი ასოს ნაწილი ატეკცილია. ქვის ზედა მარჯვენა ბოლოში პირველი სტრიქონის 23 სმ გადათლილია და მხოლოდ უკანასკნელი ასო ჩანს გარკვევით. საერთოდ, წარწერის გადარჩენილი ნაწილი შემონახულია ძალიან კარგად. ამასთანავე, ქვის ზედა ნაწილი, წარწერის ორივე ბოლო და მარჯვენა კუთხეები მოტეხილია. მარჯვენა ზედა კუთხის ნაწილი, მასზე შერჩენილი ასოს (ჯ-ს თავი) ფრაგმენტით დანარჩენ ქვასთან შეწყებებულია. ასეთივე ნაგები, წარწერის ბოლო ორი სტრიქონის ასეთა ფრაგმენტებით, მიეღებოდა ქვის ბლოკს ქვედა მარჯვენა მხარეს, მაგრამ ის ქვის დანარჩენი ნაწილისათვის არ მიეწებებოდა [70, გვ. 23] და ამჟამად დაკარგულად ითვლება.<sup>4</sup> ქარაგმის ნიშნებად დასმულია მოკლე, განივი, რელიეფური სწორი ხაზები, რომლებიც გამოყენებულია ტექსტის მიღწეულ ნაწილში სულ ორ აღგილას, მე-3 და მე-4 სტრიქონების სიტყვებში  $\overline{\text{N}} \overline{\text{N}} \overline{\text{N}}$  („ღმერთმან“). განკვეთილობის ნიშნები არ უჩის და არც სიტყვებია ერთმანეთს დასორებული.

<sup>4</sup> უკვე 1949 წ. ილ. აბულაძის მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე ეს ნაგები ქვას აკლია [89, გვ. 3, ტაბ. 1]. იგივე ფოტოა განხილული ამ წიგნის 1973 წლის გამოცემაში – [2, გვ. 7, ტაბ. 3]. მაგრამ, 1953 წ. გამოცემულ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგში წარმოდგენილ წარწერის გრაფიკულ მონახაზზე (ძალუოგრაფიულ ასლზე) და ფოტოზე იგი ასახულია [70, გვ. 1, ტაბ. 1] და ასევე შეორდება მომდევნო გამოცემებშიც (მათ შორის, წინამდებარე წიგნშიც) აქელი, თაყდაპირველი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათის მიხედვით და მისი გამოყენებით. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს ნაგები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ქვის ბლოკზე ამჟამად არ მოიპოვება.



ნაკლები შესწავლის ისტორია აქვს, გამოცემათა რაოდენობით მათ უტოლდება (ფარნეგან და აზარუხტის წარწერას აჭარბებს კიდევ) და სადღეისოდ ოცსე მეტჯერაა გამოქვეყნებული ქართულ, რუსულ, გერმანულ, ლათინურ და ფრანგულ ენებზე, როგორც წესი, უმეტესწილად ფოტოს, ხოლო რამდენჯერმე გრაფიკული მონახაზის, ანუ პალეოგრაფიული ასლის თანხლებით [86, გვ. 65]. მართალია, ამ გამოცემების ერთი ნაწილი იმეორებს ერთმანეთს, მაგრამ ტექსტის სტრიქონების დასაწყისი და დასასრული ნაწილების განსხვავებულად აღდგენის, ამის მიხედვით მთელი წარწერის განსხვავებულად გაასრების და, უფრო მეტიც, სხვადასხვანაირად დათარიღების შემთხვევებიც გვაქვს.

პირველად წარწერის ტექსტი გამოაქვეყნა ლ. მუსხელიშვილმა 1938 წელს [59, გვ. 325-326, სურ. 10, 11]. მან აღადგინა მხოლოდ პირველი სტრიქონის დასაწყისი სიტყვები და წარმოადგინა წაკითხვა საყოველთაოდ გაგრცელებული ფორმულის მიხედვით – „სახელითა წმიდისა სამებისათა“. მომდევნო პუბლიკაციაში, სადაც ტექსტის აღდგენა და წაკითხვა აკ. შანიძეს ეკუთვნის, იგი შეცვლილია სიტყვებით „შეწვენითა წმიდისა სამებისათა“, როგორც ჩანს, ფარნეგანისა და აზარუხტის წარწერის დასაწყისის ანალოგიით („შეწვენითა ქრისტესითა“).

წარწერის ტექსტის დასაწყისის ამ სახით აღდგენამ საყოველთაო გაგრცელება პირობა ყველა შემდგომ გამოცემაში. მხოლოდ ბოლო ხანებში, ერთხელ თუ ორჯერ, ამის წინ კიდევ ოც ოთხი „უფალო“, თუ „უფალთუფალო“-ა წაკითხულ-აღდგენილი [107, გვ. 51; 63, გვ. 151, 153], მაგრამ იგი უარყოფილ იქნა [52, გვ. 18-20; 66, გვ. 100].

1940 წ. გ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა საამშენებლო წარწერის აკ. შანიძისეული აღდგენა-წაკითხვის პირველი ვარიანტი [144, გვ. 69]. იგი დაელო საფუძვლად ტექსტის ყველა შემდგომ პუბლიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ მთავიანებით აკ. შანიძემ ორჯერ წარმოადგინა საამშენებლო წარწერის ტექსტის შეცვლილ-დაზუსტებული წაკითხვები, პირველი ვარიანტი დღემდე ამოსავალია ტექსტის დადგენისათვის. იგი ასეთია:

[შეწვენითა წმიდ]ისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფ[ისა ზე]  
 [ხიქმნა დაწყებამ] ამის ეკლესიამასამ და ათხოვთმეტ წლის[ა შემდგომამდ]  
 [განხეშორა ვინ] აქა შინა თავყანის ხცეს ღ'ნ შეიწყალენ და ვინ ა[მის ეკლ]  
 [ესიამასა დავით] ე]პისკოპოსსა ხოვლოცოს იგიცა ღ'ნ შეიწყალენ [ამჟნ].

მაშასადამე, წარწერის ტექსტის ამ აღდგენით გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ პეროზის (459-484) მეფობის მე-20 წელს, ე.ი. 479 წელს და 15 წლის შემდეგ, ე.ი. 493/494 წ. დაუსრულდებიათ. ცხადია, ტაძრის საამშენებლო წარწერაც ამ დროით უნდა დათარიღდეს.

წარწერის ტექსტის ასეთ აღდგენა-წაკითხვას ახლავს სამი სუსტი ადგილი: 1. პირველი სტრიქონის ბოლოს *ჟ* ფ-ს შემდეგ აშკარად და უეჭველად ჩანს *ღ* *ჟ*-ს და არა *ღ* *ჟ*-ს თავი და ამიტომ წაკითხვა „მეფისა“ ეჭვს იწვევს. 2. წარწერაში წარმოდგენილი თარიღები ათეულია იმ დროისათვის უკვე 10 წლის წინათ გარდაცვლილი მეფის მეფობის წლებით, მაშინ როდესაც წარწერის შესრულების დროისათვის მის შემდგომში მეფე იყო – ვალარში (484-488) და კაეად I (488-531) და, რაც მთავარია, არ ჩანს თარიღის ათელისას იმ დროის მეფის კაეადის სახელი. ეს კი შეუძლებელია, რადგან დათარიღების ამ წესის პრინციპი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული უნდა იყოს



სურ. 17

მოქმედი მეფის მეფობის წელი.<sup>15</sup> 3. წარწერის ტექსტის ამ აღდგენით არ ჩანს, თუ ვინ ააშენა ბოლნისის ტაძარი, ე.ი. ვინ იყო მისი მშენებლობის კეციტორ-ინიციატორი, რაც საამშენებლო წარწერაში, სადაც მისი აშენების თარიღია აღნიშნული, როგორც წესი, უთუოდ დასახელებული უნდა იყოს, ისე ასეთი შინაარსის და დანიშნულების წარწერის შესრულება გაუგებარია.



სურ. 18

<sup>15</sup> ანალოგიური ეითარებაა, ოლონდ, სხვა შემთხვევასთან დაკავშირებით და სხვა გარემოებაში, სამშვილდის სიონის საამშენებლო წარწერაშიც, სადაც ტაძრის მშენებლობის დაწყება აღნიშნულია მშენებლობის დასრულებისა და წარწერის შესრულების დროისათვის გარდაცემილი მეფის, ხოლო მისი დამთავრება და, მაშასადამე, წარწერის შესრულებაც — იმდროინდელი მეფის მეფობის წლებით (დაწერილებით იხ. აქვე, გვ. 57).





სურ. 19

ტექსტის აღდგენის ეს და სხვა უფრო ნაკლები მნიშვნელობის სუსტი ადგილები აკ. შანიძისთვისაც ცხადი იყო და მან შემდგომში კიდევ წარმოადგინა აღდგენის ორი სხვა ვარიანტი პირველთან შედარებით



სურ. 20

მცირეოდენი ცვლილებებით. კერძოდ, მოხსნა აქ აღნიშნული მეორე და მესამე წინააღმდეგობები, მაგრამ პირველი – 1 ო-ს ნაცელად 1 ო-ს არსებობის იგნორირება, უცვლელი დარჩა.

მიუხედავად ამისა, წარწერის ასეთი ტექსტი კარგა ხანს იყო მიღებული სამეცნიერო წრეებში (პირველი მას წარწერის პირველგამომცემელი ლ. მუსხელიშვილი დაეთანხმა [58, გვ. 12, შენ. 4]) და, ძირითადად, დღემდე გაზიარებულია მეცნიერთა უმრავლესობის მიერ.

1958 წ. აკად. შ. ამირანაშვილმა წარწერის ზოგი ნაკლებად ადგილის განსხვავებული აღდგენა, ახლებური ინტერპრეტაცია და შეცვლილი დართარობა წარმოადგინა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერის ბოლოს დასმულ ასოებში *Т* იგი ინდიკტიონით გადმოცემულ თარიღს კითხულობდა, რაც მისი მოსაზრებით თანამედროვე წელთაღრიცხვის 462 წელს უნდა შეესაბამებოდეს.

ამ დართარობების განმტკიცებას შ. ამირანაშვილი შეეცადა საამშენებლო წარწერის ტექსტის ნაკლებად ადგილის მისებური აღდგენა-წაკითხვითაც. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ დავით ეპისკოპოსის „წარწერის ბოლო ნაწილი, თუ ჩვენი მოსაზრება გამართლდა, საშუალებას გვაძლევს მეორე სტრიქონის დასაწყისი, ნაცვლად ა. შანიძის მიერ მოყვანილი ტექსტისა „ხიქმნა დაწყებად“ შეცვალოთ „სრულ ხიქმნა შენებად“. აღსანიშნავია, ამგვარი აღდგენა სავსებით დასაშვებია ადგილის მიხედვით, ვინაიდან ქარაგმების გამოყენების საშუალებით ეს სავსებით შესაძლებელია (სრულ ხიქმნა შნბად). ამ შემთხვევაში პეროზ სპარსთა მეფის მეფობის ოც წელს, ე.ი. 477 წ. დაუმთავრებიათ ბოლნისის ტაძრის მშენებლობა, რომელიც გაგრძელებულა 15 წელს, ე.ი. ტაძრის აგება დაწყებულა 462 წ.“ [6, გვ. 4].

ტექსტის ნაკლებად ადგილის ასეთი აღდგენა არაა დამაჯერებელი. საქმე ის არის, რომ წარწერის დასაწყის სტრიქონებში ტექსტის ასეთი აღდგენა არ ითვალისწინებს მომდევნო ნაწილის მონაცემებს და მთლიანად წარწერის შინაარსს. თუ პეროზის მეფობის ოც წელს „სრულ ხიქმნა შენებად“, მაშინ რა მოხდა 15 წლის შემდეგ? თუ უკვე ითქვა მშენებლობის დასრულების შესახებ, მაშინ ის, რომ მშენებლობა 15 წელს გაგრძელებულა, ტექსტის მომდევნო ნაწილში როგორღა, რა ფორმით იყო აღნიშნული? ცხადია, ტექსტის მხოლოდ ერთი მონაკვეთის შ. ამირანაშვილისეულ აღდგენას ეს სუსტი ადგილი გადაულახავ წინააღმდეგობად ელობება და ეს წაკითხვა არ იქნა მიღებული.

ცოტა უფრო ადრე, 1950 წელს, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგმა მიხეილ თარხნიშვილმა (†1958)<sup>6</sup> ტექსტის აკ. შანიძისეულ აღდგენა-წაკითხვაში ერთი მცირეოდენი, მაგრამ არსებითი ხასიათის კონიექტურა შეიტანა, ამით აკ. შანიძისეული წაკითხვის ზემოდასახელებული მესამე სუსტი ადგილი მოხსნა და უფრო გამართული, არსებითად დასრულებული აზრის შემცველი ტექსტი წარმოადგინა. კერძოდ, წარწერის მე-3 სტრიქონში „ეკლესიადსა“-ს შემდეგ აღადგინა „აღმშენებელსა“ [156, გვ. 249] – „ვინ ამის ეკლესიადსა აღმშენებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს“.

ეს წაკითხვა – დავით ეპისკოპოსის ეკლესიის მაშენებლად წარწერის ტექსტში დასახელება უყოყმანოდ იქნა მიღებული მეორე ასევე ცნობილი უცხოელი ქართველოლოგის ი. მოლითორის (†1978)<sup>7</sup> მიერ [155, გვ. 1]. იგი გაიზიარა აკ. შანიძემაც. კერძოდ, ამ სიტყვის („აღმშენებელსა“) ჩამატებითაა ტექსტი 1975 წლის გამოცემაში წარმოდგენილი [93, გვ. 30]. იგი დღემდე ასეა მიღებული სხვა მკვლევარების მიერაც. ოღონდ, მ. თარხნიშვილისეული „აღმშენებელსა“ შეცვლილია „აღმშენებელსა“-თი.<sup>8</sup>

<sup>6</sup> მის შესახებ იხ. [147, გვ. 56-64; 153, გვ. 365-366; 112, გვ. 77-88].

<sup>7</sup> მის შესახებ იხ. [101, გვ. 207-209; 148, გვ. 11-14].

ანალოგიური ვითარებაა წარწერის ნაკლებ ტექსტში აღსადგენი მეორე სიტყვის – „საძირკველის“ შემთხვევაში – მოსალოდნელი ძველი ფორმის – „საძირკუელი/საძირკუელი“-ს ნაცვლად, წარწერებში „საძირკველი“ დასტურდება (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ).

1975 წ. აკ. შანიძემ გამოაქვეყნა წარწერის ტექსტის მისეული აღდგენა-წაკითხვის მეორე ვარიანტი [93, გვ. 30-31]. პირველთან [144, გვ. 69] შედარებით მასში შეტანილია შემდეგი ცვლილებები: მე-2 სტრიქონის დასაწყისში „ხიქმნა დაწყება“-ს ნაცვლად აღდგენილია „დახიდვა საფუძველი“, მე-3 სტრიქონში „ეკლესიასა“-ს შემდეგ, როგორ უკვე აღინიშნა, ჩამატებულია „მაშენებელსა“ და ტექსტის ბოლოს, რატომღაც, მოხსნილია „ამჟნ“. არის კიდევ ერთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ, ტექსტის ორთაგრაფიის გათვალისწინებისათვის არსებითი ცვლილება – პირველი სტრიქონის დასაწყისში მეორე სიტყვა „წმიდისა“, ნაცვლად სრული ფორმით დაწერისა, გადმოცემულია დაქარაგმებით – „წ-დას“ (კორექტ. შეცდომით გამოცემაში დაბეჭდილია „წ-ღდა“).

მაგრამ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა და არსებითი მნიშვნელობისა, წარწერის ტექსტის აღდგენა-წაკითხვის ამ მეორე ვარიანტში აკ. შანიძე შეეცადა პირველი ვარიანტის ზემოდასახელებული მეორე სუსტი ადგილის მოხსნას და ამ წაკითხვას შემდეგი შენიშვნა დაურთო:

„მოყვანილი წაკითხვის თანახმად, ეკლესიის შენება დაწყებულა 479 წელს და განგრძობილა 15 წელიწადს. ჩანს, იგი შენდებოდა ვალაშის დროსაც და კავატის დროსაც და დამთავრებულა 493-4 წელს.

აქ ერთი საკითხია გამოსარკვევი: თუ ეკლესიის შენების დაწყება აღნიშნეს პეროზის მეფობის მე-20 წლით, რატომ მისი დასრულება არ აღნიშნეს იმდროინდელი ხელმწიფის მეფობის წლების მიხედვით? ამიტომ უსაფუძვლო არ იქნება ვიყარაუდოთ, რომ შესაძლოა ათხუთმეტ წლისა აღნიშნავდა არა ტაძრის შენების ხანგრძლივობას (რაც ასეთი დიდი ეკლესიისათვის იმდროინდელი სამშენებლო ტექნიკის პირობებში ცოტაა), არამედ კავატის მეფობის წელს. ამ შემთხვევაში მეორე სტრიქონის ბოლო და მესამე სტრიქონის დასაწყისი შეიძლება ასე წავიკითხოთ:

... და ათხუთმეტ წლი[სა კავატ მეფისა ზე]  
[განხეშორა ვინ აქა შინა...

კავატი გამეფდა 488 წელს. რომ წაეთვალათ თხუთმეტი წელი, გამოვა 502-503 წელი, და მაშასადამე, ასეთი წაკითხვის თანახმად, ბოლნისის სიონი შენდებოდა 25 წელს და დასრულებულა VI საუკუნის დასაწყისში“ [93, გვ.

<sup>14</sup> მიუხედავად იმისა, რომ ფორმა „აღმშენებელი“, თითქოს, უფრო არქაულია და, მაშასადამე, ბოლნისის წარწერების დროისათვის (V ს.) სავსებით მისაღები, ძველ წერილობით ძეგლებში და, რაც მთავარია, წარწერებში „მშენებელი“ დასტურდება: „უფალო ღმერთო, შეიწყალე თეოდორე ეპისკოპოსი, ძეი ლუკასი, მამშენებელი ამის სიონისაი“, X ს., ურბნისის სიონი [86, გვ. 197]; „მამაი მიქაელ შეიწყალე, ამის სიონისა მამშენებელი“, X ს., ურბნისის სიონი [86, გვ. 97]; „ქრისტე, შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი – ამის მამშენებელი“, 964 წ., კუმურდო [86, გვ. 265]; „ყოველნი მამშენებელნი შენნი“, 964 წ., კუმურდო [86, გვ. 260]; „აშოტ კურაპალატი მეორედ მამშენებელი ოპიზისაი“, X ს-ის I ნახ., ოპიზა [86, გვ. 285]; „დავით მაგისტროსი – მამშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისაი“, „ბაგრატ ერისთავთა ერისთავი – მამშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისანი“, „მეფენი ჩუენნი – მამშენებელნი ამის წმიდისა ეკლესიისანი“, სამივე – ოპიზის ტაძარზე, X ს-ის შუა ხანები [32, გვ. 53] და სხვ.

30-31].

ცხადია, ასეთი წაკითხვა-აღდგენით არა მარტო მოიხსნა პირველი ვარიანტის ერთ-ერთი სუსტი ადგილი, არამედ შეიცვალა ტაძრის მშენებლობის ხანგრძლივობა და, რაც არსებითაა, გადათარიღდა მისი დასრულების და, მაშასადამე, საამშენებლო წარწერის შესრულების დრო. იგი ძალზე დაუახლოვდა ივ. ჯავახიშვილის მიერ დაეით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერისათვის სავარაუდოდ გამოთვლილ თარიღს – 506 წელს [116, გვ. 158-161].

ერთ ნაშრომში [19ა] აკ. შანიძისეული აღდგენის ეს ვარიანტი შეფასებულია, როგორც „ზედმეტი გაბედულებით ჩარევა აღსადგენ ტექსტში“ და ეს აღდგენა („ათხუთმეტ წლისა კავატ მეფისა ზე განხეშორა“) ჩათვლილია „პ. ინგოროყვას მიერ თავის დროზე შეტანილ კორექტივად“, თუმცა, ჩემთვის უცნობია ბოლნისის სიონის საამშენებლო, ან რომელიმე სხვა წარწერის ტექსტის პ. ინგოროყვასეული პუბლიკაცია, მის მიერ ტექსტის ერთი ნაწილის ასეთი სახით წარმოდგენის და აღდგენის ვარაუდის შესაძლებლობა მხოლოდ ლოგიკური დასკვნით გამოდის ლ. მუსხელიშვილის ერთი შენიშვნიდან [58, გვ. 12, შენ. 4], მაგრამ ამის შესახებ შედარებით დაწვრილებით იხ. ქვემოთ (შენ. 37).

1977 წელს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ II ტომში აკ. შანიძემ გამოაქვეყნა ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის მისეული წაკითხვა-აღდგენის ახალი, მესამე ვარიანტი. იგი, ძირითადად, მეორე ვარიანტის განმეორებაა, ოღონდ აქ მეფე კავატის სახელის წარწერის ტექსტში აღდგენის შესახებ არაფერია აღნიშნული.

აკ. შანიძისეული წაკითხვის მესამე ვარიანტში, პირველ ორთან შედარებით, ახალია წარწერის პირველი სტრიქონის ბოლოს აღდგენილ სიტყვებში „ზე“-ს შეცვლა („მეფისა ზე“) ტერმინით „ზეობასა“ („მეფისა ზეობასა“), როგორც ეს აღნიშნულია X-XI სს. მიჯნის ერთ საამშენებლო წარწერაში შეპიაკის (წალკის რ-ნი) ეკლესიიდან: „აღვაშენე წმიდაი ესე ეკლესიაი ზეობასა – ადიდენ ღმერთმან – რატ ერისთვისასა“ [86, გვ. 238]; ან, სოფელ სანთის (წალკის რ-ნი) ეკლესიის XI ს-ის წარწერაში: „დავდევე ბალაგარი ზეობასა რატ ერისთვისასა“ [138, გვ. 54].<sup>19</sup>

80-იან წლებში მკვლევართა მომდევნო თაობის მიერ ახალი ძალით, მაგრამ ნაკლები წარმატებითა და მიღწევებით, გაიშალა მუშაობა ბოლნისის სიონის, განსაკუთრებით მისი საამშენებლო წარწერის შესწავლისათვის. ეს ახალი მოსაზრებები, ზოგჯერ ძველის ახლებური გადააზრებები, დამყარებული იყო საამშენებლო წარწერის სტრიქონების თავსა და ბოლოში ნაკლები ადგილების ახლებურ წაკითხვა-აღდგენასთან, თორემ თვით წარწერას აღმორჩენის შემდეგ ახალი არაფერი მიჰმატებია; პირიქით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვის ერთი ნატეხი, ქვედა მარჯვენა კუთხისა ბოლო ორი სტრიქონის ასოთა ფრაგმენტებით, დაიკარგა კიდევც.

1980 წელს „ქართული წარწერების კორპუსის“ I ტომში გამოქვეყნდა

<sup>19</sup> წერილობით ძეგლებში, მათ შორის წარწერებში, სხვა მაგალითები ტერმინის „ზეობასა“ გამოყენებისა არ აღიქმება. ასევე, წარწერებში „ზე“-ს გამოყენების ერთი შემთხვევა გააქვს: „იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისამ – ლეონ მეფისა ზმ“ [86, გვ. 264]. აბასთუმნის ჯვრის კვარცხლბეკის 685-711 წწ. წარწერაშიც წარმოდგენილი ზე („მესტინიანე მეფისა (ზე)-“) ტექსტის გამოშვების მიერ აღდგენილ ნაწილშია [86, გვ. 103], რომელიც შეიძლება ასეც აღდგავს – „[– წელსა] მესტინიანე მეფისა[სა...]; ამდენად, იგი აქ უპეველი არ არის.

წარწერის მანამდე არსებულისაგან განსხვავებული ტექსტი:

[შეწვევითა წმიდისა სამებისადათა, ოც [წ]ლისა პერო[ზ] მეფისა ზე, [ვიწყე შენებაჲ] ამის ეკლესიისადა და ათხუთმეტ წლისა [შ(ემდგომ)ა]დ [განგასრულე. ვინ] აქა შინა თაყუანის ხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ. და ვინ ა[მის] [მ(ა)შ(მნებ(ე)ლსა ღ(ავი)თ ე]პისკოპო[ს]სა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ. [ი(ყავნ), ი(ყავნ)].<sup>20</sup>

აქ, ნაკლული სიტყვების ახლებური აღდგენის შედეგად, ტექსტის პირველ ნაწილში თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში. სახელდობრ, ა. შანიძისეული აღდგენა-წაკითხვის პირველი ვარიანტისეული „ხიქმნა დაწყებაჲ“ შეცვლილია კონსტრუქციით „ვიწყე შენებაჲ“, ხოლო ტექსტის ამ მონაკვეთის დასასრულის „განხეშორა“ შეცვლილია ზმნით „განგასრულე“. რაც შეეხება ტექსტის მომდევნო ნაწილს, მეორე ნახევარს, იგი ისევეა დატოვებული, როგორცაა აკ. შანიძისეული წაკითხვა-აღდგენის ორ უკანასკნელ ვარიანტში – თხრობის მესამე პირში წარმართვით და სიტყვის „მაშშნებელსა“ ჩამატებით. გარდა ამისა, ტექსტის ბოლოს, როგორც ჩანს, დავით ეპისკოპოსის მემორიალურ წარწერის ანალოგიით, დამატებულია „იყავნ, იყავნ“, ა. შანიძისეული აღდგენის პირველი ვარიანტის „ამშნ“-ის სანაცვლოდ.

როგორც ჩანს, თხრობის მესამე პირიდან პირველ პირში გადაყვანა აქ წარმოდგენილია სხვა საამშენებლო წარწერების, ან იმავე ბოლნისის სიონის ფარნეჯა და აზარუხტის მემორიალური წარწერის ანალოგიით. მაგრამ ანგარიშგასაწვეია ერთი გარემოება – საამშენებლო წარწერის ტექსტის მეორე ნახევრის მოღწეული ნაწილის მესამე პირში დასმული ზმნები „თაყუანისხცეს“, და „ხულოცოს“, რომელთა წაკითხვა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ცხადია, მოითხოვს თხრობის მესამე პირში წარმართვას ტექსტის პირველ ნაწილშიც. არათანმიმდევრობა ტექსტებში არ დასტურდება – მათში თხრობა მიმდინარეობს ერთსა და იმავე, ან პირველ, ან მესამე პირში. ამიტომ საამშენებლო წარწერის ტექსტის ზმნური ფორმების ასეთი აღრეული სახით წარმოდგენა სწორად ვერ ჩაითვლება.<sup>21</sup>

წარწერის ტექსტის „კორპუსის“ გამოცემაში სხვა, ოღონდ ნაკლებად მნიშვნელოვან, ამჯერად ორთოგრაფიულ არათანმიმდევრობას აქვს ადგილი. როგორც ცნობილია, მშენებლობის აღმნიშვნელი „შშნ(ებ) ძირიანი ფორმები უბედეს ტექსტებშიც მ-თია გადმოცემული“ [34, გვ. 110; 71], ხოლო აქ, თუ ტექსტის მეორე ნახევარში აღდგენილია „მაშშნებელსა“, პირველ ნაწილში წარმოდგენილია „შენებაჲ“. ცხადია, ასეთი წაკითხვა-აღდგენის შემთხვევაში, აქაც „შშნებაჲ“, უფრო ზუსტად „აღშშნებაჲ“ უნდა ყოფილიყო, რადგან აკ.

<sup>20</sup> [86, გვ. 66] იგივე ტექსტი, გამარტივებული ორთოგრაფიით და დასკენითი ფორმულის გარეშე, შეტანილია სასკოლო სახელმძღვანელოში [13, გვ. 73].

<sup>21</sup> ასეთი ცვლილებების შეტანით ირდევია ბოლნისის წარწერებში წარმოდგენილი ძალზე საინტერესო სურათი – სამივე წარწერაში თხრობა სხვადასხვა პირში მიმდინარეობს: დავით ეპისკოპოსის წარწერაში ზმნები მეორე პირშია დასმული, ფარნეჯან და აზარუხტის წარწერაში – პირველ პირში, ხოლო საამშენებლო წარწერაში – მესამე პირში. ეფიქრობ, რომ ეს შემთხვევით არ უნდა იყოს; უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლნისის წარწერების ტექსტების შემდგენელმა ეს გაასრებულად ჩაიღინა, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ტაძრის მშენებლობასთან. ამის ახსნა და ანალოგიების მოხიზობა (როგორც კართული, ისე ზოგადი ეპიგრაფიკიდან) ცალკე მსჯელობის საგანია.

შანიძის განმარტებით, „შენება“ ზმნას ძველად პრეფიქსიანი ენებითი ჰქონდა“ [97, გვ. 301].<sup>22</sup>

ყოველივე აღნიშნულის გამო, წარწერის ტექსტის ეს წაკითხვა-აღდგენა ვერ ჩაითვლება წარმატებულად. მაგრამ, კიდევ უფრო ნაკლებწარმატებული და მიუღებელი აღმოჩნდა ის წაკითხვები, რომლებიც მომდევნო წლებში განხორციელდა.

1981 წ. არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემ გამოაქვეყნა წარწერის შევსებულ-აღდგენილი ტექსტი, რომლის ნაკლული ადგილების აღდგენა დამყარებულია, მისი მტკიცებით, მის მიერ ადგილზე გამოვლენილ და სხვათა მიერ მანამდე შეუმჩნეველ ასოთა, ან ასოთა ნაწყვეტების არსებობაზე [107, გვ. 50-51, 58].

ამის შედეგად მან წარწერის თავში აღადგინა *OC* ო. ე. ი. „უფალო“, პირველი სტრიქონის ბოლოს, პეროზ მეფის შემდეგ, სახელი ვახტანგ, ვითომ ვახტანგ მეფე, რატომღაც ტიტულის გარეშე („პეროზ მეფე და ვახტანგისა“); ა. კ. შანიძისეული „ხიქმნა დაწყებად“, ან „დახიდვა საფუძველი“ შეცვალა „დახესრულა შშნებად“-თ, როგორც ჩანს, შ. ამირანაშვილისეული „სრულ ხიქმნა შენებად“-ს მიხედვით, ხოლო მეორე სტრიქონის ბოლოს და მესამე სტრიქონის დასაწყისში წარმოადგინა, თითქოსდა, ტექსტში აღნიშნული თარიღი ინდიკტიონული წელთაღრიცხვით: „ათხუთმეტ წლისა ინდიკტონსა წა აღდგომასა განათლდა“.


გარდა ამისა, მესამე-მეოთხე სტრიქონებში, „ეკლესიაჲსა“-ს შემდეგ, ნაცვლად საყოველთაოდ გაზიარებული აღდგენისა „მშშნებელსა“, წარმოადგინა „მშრომელთა“ – „ამა ეკლესიაჲსა მშრომელთა და დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს“, ალბათ, ეს უკვე დავით ეპისკოპოსის წარწერაში ჩართული ლიტურგიული ფორმულის („მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა“) ანალოგიით.

ამ უკანასკნელი აღდგენით ისიც ჩანს, რომ მის ავტორს სწორად არა აქვს გააზრებული თვით დავით ეპისკოპოსის წარწერის შინაარსიც, მასში ჩართული ლიტურგიული ფორმულის ტექსტის მნიშვნელობა. მის მიერ აღდგენილი „ამა ეკლესიაჲსა მშრომელთა ხულოცოს“ სულ სხვაა, ვიდრე დავით ეპისკოპოსისეული წარწერის „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე“. ამ წარწერის „მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა“ ნიშნავს არა ამ ეკლესიის შენებაში მონაწილე მშრომელს, მის ამშენებელს, როგორც ეს გაუგია მ. ჩხიკვაძეს და ამის გამო საამშენებლო წარწერის ტექსტშიც „მშრომელთა“ აღუდგენია და ჩაურთავს, არამედ – ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვის აღსრულებაში მონაწილე პირებს – მღვდლებს, დიაკვნებს, მგალობლებს და სხვ., როგორც ეს მიღებული იყო ქამისწირვის ტექსტით, ასამაღლებელის შესაბამისი ფორმულით (მღრ. ზემთ).

<sup>22</sup> ა. კ. შანიძეს ამის მაგალითად მოჰყავს ზარზმის სამრეკლოს ფარსმან ხურციძის წარწერა *სმე*, ანუ 265 ქრონიკონისა და იმოწმებს ამ წარწერის ე. თაყაიშვილისეულ გამოცემას [139, გვ. 22], სადაც იგი ნაცვლად 1577 წლისა 1045 წლითაა დათარიღებული (პირველად სწორი თარიღი წარმოადგინა თ. უორდანიამ [64, გვ. 416], შემდეგში იგივე დაადასტურა აკად. ვ. ბერიძემ [16, გვ. 125]). ა. კ. შანიძე უნიშნავს, რომ „ალაშენა“ დღეს სუფიქსიანთა ჯგუფშია გადასული: აშენდა-წარმოების ტიპის გამოცვლისათვის ამ შემთხვევაში ალბათ გადამწყვეტი იყო ის გარემოება, რომ „აღუშენა“ ერთ-პირიანად იყო ქვეული და რელიგიური ფორმების გასაკეთებლად არაერთი საშუალება არ არსებობდა“ [97, გვ. 301].

ამ მცდარ და ენობრივად გაუმართავ წაკითხვებთან ერთად და მათზე დაყრდნობით, მისმა ავტორმა ბოლნისის ტაძრის, მისი საამშენებლო წარწერის ახლებური დათარიღებაც წარმოადგინა. მისი დასკვნით, „ბოლნისის სიონის მშენებლობა დაუწყიათ 465-7 წლებში და დაუმთავრებიათ 477 წელს“. ამ გაანგარიშებებში ავტორი ეყრდნობა პეროზის მეფობის მისებურ გამოთვლას, რადგანაც, თურმე, „მეცნიერთა შორის არ არსებობს თანხმობა პეროზის ზეობის წლების შესახებ, იგი მერყეობს 457-461 წლებს შორის“ [107, გვ. 51] და იმოწმებს XIX ს-ის შუა ხანებში ქ. პატკანოვისეულ მოძველებულ ცნობებს, მაშინ როდესაც არსებობს *არტურ ქრისტენსენის* მიერ დადგენილი და საყოველთაოდ გაზიარებული ქრონოლოგია სასანიან მეფეებისა, გამოქვეყნებული ჯერ კიდევ 1944 წელს [151]. ამის მიხედვით მტკიცედ არის დადგენილი, რომ პეროზი მეფობდა 459-484 წლებში. ამ ქრონოლოგიურ ცნობებს ადვილად იპოვიდა ავტორი სხვა ნებისმიერ შედარებით ადვილად ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ძველი ირანის ისტორიის შესახებ [131, გვ. 113; 152ა, გვ. 285; 145, გვ. 368] და მათ შორის, ქართულ ენაზეც [22, გვ. 220].

შემდგომი მსჯელობები საამშენებლო წარწერაში დასახელებულ პირთა ქრონოლოგიის შესახებ რომ უფრო ნათელი იყოს, წარმოვადგინ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სასანიან მეფეთა გენეალოგიურ ტაბულას:



მომდევნო წლებში, თითქმის ყოველი წლის მიყოლებით, სხვადასხვა ავტორის მიერ გამოქვეყნდა რამდენიმე განსხვავებული წაკითხვები ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერისა. ეს წაკითხვები, გამომცემელთა მტკიცებით, დამყარებულია ადგილზე არსებულ ქვის ბლოკის ნარჩენებში მანამდე შეუმჩნეველი ასოების აღმოჩენაზე, ან ამ ადგილების ხელახალი გაზომვით თითოეული აღსადგენი ასოსათვის საჭირო ფართობის გამოანგარიშებაზე [63, გვ. 140-159, განსაკ. გვ. 153; 132, გვ. 90-99; 37, გვ. 149-154; 52, გვ. 18-21].

გარდა ენობრივი და ქრონოლოგიური შეუსაბამობებისა, რომლებიც წარწერის ტექსტის ამ გამოცემებში გვხვდება, მათ მიერ ტექსტის აღდგენა-წაკითხვის მცდარობის მაჩვენებელია ის, რომ ყველა მათგანმა ამ გაზომვებისა და ახალი ასოების დანახვით, სრულიად სხვადასხვა ტექსტები მიიღო:

*1. მ. ჩხიკვაძე (1981):*

„ო.ო. შეწვენითა წმიდისა სამებისაჲთა, ოც წლისა პეროზ მეფე და ეპიტანგისა დახეს

როკლა შმნებაჲ წდსა| ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხოვთმეტ წლისა ინდიკტიონს წა აღდ

გომასა განათლდა. ვინ აქა შინა თაყყანის ხცეს ღწ შეიწყალენ და ვინ | ამა ეკლესიაჲსა მშრო

მელთა და დავით ექისკოპოსსა ხოულოცოს, იგიცა ღწ შეიწყალენ | ამცნ“ [107, გვ. 51].

*2. რ. პატარიძე, ბ. მჭედლიშვილი (1984):*

„უფალო. შეწვევითა წმიდისა სამებისადათა, უფალთუფლისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა ჟამეულსა აღხეშენა. ჯუარსა ქრისტესსა ვინ აქა შინა თაყუანისხცეს ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამა ეკლესიასა მშრომელსა ბოლნელსა ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. ამენ“ [63, გვ. 153].

3. საურ. კაკაბაძე (1984):

ცალკეული ასოები გაბმული ტექსტის გარეშე [132, გვ. 93].

4. სარგ. კაკაბაძე (1958/1985):

1. შეწვევ[ითა წმიდ]ისა სამებისადათა, ო[არიზ]ისა პეროზ მეფე[თა ავადაგი]სა [6]ახპე-

2. [ტობასა ხიწყეს] ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლი[სა ზედა სრუელიადლ]ა [გან-

3. ხეშორა და რომელმან] აქა შინა თაყუანისხცეს ღწ შეიწყალენ და ვინ ა[მის ე]კლეს[სია]სა[და შინა]

4. [მშრომელსა დ-თ ე]პისკოპოსსა ხოჯლოცოს იგიცა ღწ შეიწყალენ [ამ]მე“ [37, გვ. 150].

5. ელ. მაჭავარიანი (1985):

„ქ. შეწვევითა წმიდისა სამებისადათა ოც წლისა პეროზ მეფესასა შმნებად ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიასა და ათხუთმეტ წლისა განხეშორა. ქრისტე, შენდა მიმართ ვინ აქა შინა თაყუანისხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიასა მაშმნებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ. ამენ“ [52, გვ. 20].

ამ გამოცემებს შორის გამოირჩევა ერთი პუბლიკაცია [37, გვ. 150], რომლის მიხედვითაც წარწერის ტექსტში აღდგენილ იქნა სიტყვები: „თარიზისა“, „ავადაგისა“, „ნახპეტობასა“, რომლებიც, ავტორის მტკიცებით, ძველი მრანული ლექსიკიდან რამდენადმე ფორმაშეცვლილი და განსხვავებული ინიშნელობით დამკვიდრებულია V ს-ის ქართულში. აქვე ავტორს ტექსტში შემოაქვს ახალი წაკითხვები: „სრულიადლა“ (როგორც ჩანს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ჯუარისა ეკლესიასა აკლდა-ღა“-ს [55, გვ. 326:37] ანალოგიით), „ხიწყეს“, „წლისა ზედა“.

ცხადია, წარწერის ცალკეულ ასოთა ასეთ ნებისმიერ გაშიფრვას და ინტერპრეტაციას არ შეიძლება სერიოზული ანგარიში გაეწიოს და ეს წაკითხვებიც ბიბლიოგრაფიულ ფაქტად რჩება.

80-იანი წლების გამოცემებს შორის, ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხთა განხილვის თანმიმდევრობით და დადგენილი ტექსტის მეცნიერული დონით, სხვებისაგან გამოირჩევა ელ. მაჭავარიანისეული პუბლიკაცია [52]. მასში ავტორი, სხვა საკითხებს შორის, შეეცადა პირველი სტრიქონის ბოლოს ფ-ს შემდეგ უეჭველად არსებულ ო-ს მორგებას საერთო ტექსტისათვის, უჩვეულო კონსტრუქციის სიტყვის „მეფესასა“-ს

<sup>2</sup> საერთოდ, ბოლნისის სიონის IV ს-ით დათარიღების იდეა მანამდეც არსებობდა. კერძოდ, სარგ. კაკაბაძე, რაიმე არკუმენტაციის მოტანის გარეშე, აცხადებდა, რომ ბოლნისის სიონი „დათარიღებული ძველია“ და იგი აშენდა 381-396 წლებში [38, გვ. 73,76]. ადრე (1958) დაწერილ, მაგრამ გვიან (1985), მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ერთ წერილში იგი შეეცადა ამ თარიღის დასაბუთებას დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერის ბოლო ასოებში (იი), თითქოს, ინდიკტიონით აღნიშნული თარიღის ამოკითხვით [37, გვ. 154], მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1960 წელს გამოქვეყნებულ წერილში კ. კეკელიძემ ცხადყო, რომ წარწერის ეს დგილი სრულიად სხვაგვარ ინტერპრეტაციას საჭიროებს [39, გვ. 418-420].



აღდგენით [52, გვ. 27-28]. მაგრამ, ეს აღდგენა, როგორც ენობრივად, გაუმართავე, გაკრიტიკებული და უარყოფილი იქნა [76, გვ. 97-100]. ტექსტის ამ აღდგენის სხვა სუსტი ადგილებიდან უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩანს თუ ვინ „შმნება ხიწყო“ ეკლესიისა და სხე.

ამავე წლებში ადგილი ჰქონდა ბოლნისის სიონის, როგორც არქიტექტურული ძეგლის გადათარიღების, მისი ერთი საუკუნით დაძველების, IV ს. 10-იანი წლებით [19ა, გვ.177], IV ს. დასასრულით და V ს-ით დათარიღების ცდებს [132, გვ. 90-99; 62, გვ. 100-114], მაგრამ ეს ცდებიც, როგორც მანამდეც ცნობილი ნარატიული საისტორიო წყაროების ცნობების არასწორ ინტერპრეტაციებზე დამყარებულები, საფუძვლიანად და სავსებით დასაბუთებულად იქნა უარყოფილი [46, გვ. 115-129; 11, გვ. 129-141].<sup>24</sup>

ეკრძოდ, ტაძრის მშენებლობის გადათარიღების, მისი დაძველების ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად მოხმობილი იყო ის, რომ საამშენებლო წარწერაში პეროზის სახელით ირანის შაჰანშაჰი კი არ იხსენიება, არამედ ლეონტი მროველის (XI ს.) „ცხორება ქართველთა მეფეთა“-ში არაერთგზის მოხსენიებული „თჳსი მირიან მეფისა“ ფეროზი (სხვაზე თანმიმდევრულად ეს თვალსაზრისი გატარებულია ნაშრომში [19ა, გვ. 168]; მაგრამ, „ყველა ის ცნობა, რომელიც უშუალოდ ფეროზს ეხება, იმდენად არეულ-დარეულია, არარეალურია, რეალურ ისტორიულ ვითარებას დაშორებული, რომ ამ ყალბ სიტუაციებთან დაკავშირებული ფეროზის შესახებ რაიმეს კონკრეტულის თქმა და მისი მიჩნევა რეალურ პიროვნებად საერთოდ ძნელია“ [46, გვ. 127].

უფრო მეტი, ნარატიულ წყაროსადმი უკრიტიკო მიდგომის, მისადმი ბრმად ნდობის გამო, ბოლნისის სიონის წარწერაში დასახელებული პეროზის მირიანის (IV ს.) დროის ფეროზად მიჩნევით, გამოდის, რომ „ფარსმანი აშენებს ბოლნისს და მის სამშენებლო წარწერაში რატომღაც იხსენიებს თავის პაპის მამას დედის ხაზით, რომელსაც არაერთგზის კავშირი არ შეიძლება ჰქონოდა ბოლნისის მშენებლობასთან, რადგან ამ დროს იგი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო“ [46, გვ. 128].

მაშასადამე, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ 80-იან წლებში ახალი ძალით გაშლილი მუშაობა მიმართული იყო: 1. ტექსტის ნაკლული ადგილების აკ. შანიძისეული აღდგენის რევიზიისა და შესწორებისაკენ. 2. სიონის აგების თარიღის და, შესაბამისად, საამშენებლო წარწერის ტექსტის დაძველებისაკენ (ერთი საუკუნით მაინც). 3. ტექსტში ზოგიერთი ენობრივი კორექტივის შეტანისაკენ. 4. ტექსტის აღდგენაში ახალი მომენტის – ნაკლული ადგილების გაზომვის და ამის მიხედვით აღსადგენი ტექსტის მოცულობის ზუსტი, ან მიახლოებული ზომის დადგენისაკენ.<sup>24</sup>

როგორც დავინახეთ, არც ერთი ამ ცდათაგანი წარმატებული, ან რამდენადმე წარმატებული არ აღმოჩნდა. ცხადია, გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს ნაკლული ადგილების მოცულობას და მათი გაზომვაც უნდა ჩატარდეს, მაგრამ არც მანამდე წარმოდგენილი ტექსტი იყო ამ მოცულობას დაშორებული (პირველად ამას ყურადღება მიაქცია ლ. მუსხელიშვილმა [59,

<sup>24</sup> მომდევნო ხანებში კიდევ ჰქონდა ადგილი ბოლნისის სიონის „შეკახველადგენის“ (?) ქართლის სამი სხვადასხვა მეფის – თრდატის, ფარსმანის და ბაკურის სეობით (საერთო ჯამში 383-416 წლებში) დათარიღების ცდას ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებზე დაკრძობით (ხოლო ტაძრის მშენებლობის დაწყება 342/343 წწ. ივარაუდება) [28, გვ. 123, 126]. ამ მოსაზრების ავტორმა, მართალია, კრიტიკულად მიმოიხილა საკითხის შესახებ 80-იან წლებში შექმნილი ლიტერატურა [28, გვ. 120-123], მაგრამ მაინც ვერ დაადგინა თავი მის გაელენას და წერილობით წყაროთა ცნობებისადმი გადაჯარბებული ნდობის გამო, ისეთივე მცდარი პოზიცია დაიკავა.

გვ. 326)].

80-იან წლებში ჩატარებულმა მუშაობამ – ტექსტის ნაკლები ადგილების განსხვავებულმა წაკითხვებმა და მთლიანად ტექსტში კორექტივების შეტანის წარუმატებელმა ცდებმა, კიდევ უფრო განამტკიცა წარწერის აკ. შანიძისეული აღდგენის საფუძვლიანობა, მისი, როგორც ტექსტის დადგენისათვის დასაყრდენად მიჩნევის აუცილებლობა.

## X X X

ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის ტექსტში დასახელებული პეროზის შესახებ, რადგან იგი მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა ძველი საქართველოს კულტურულ-ისტორიულ სინამდვილესთან – ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლის – „შუშანიკის წამების“ დასაწყისშიც მისი მოხსენიება ივარაუდება [22, გვ. 212, 213], – ვფიქრობ, შეიძლება შედარებით დაწვრილებით შეეჩერდეთ.

ირანის სასანიანი შაჰანშაჰის პეროზის (459-484) 25-წლიანი მეფობა მეტად დრამატულად წარიმართა და ტრაგიკული შემთხვევებითაა აღსაყვ. პეროზი (საშ. სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „გამარჯვებულს, ძლევამოსილს“ [10, გვ. 488]) იყო ირანის შაჰანშაჰის იეზიდგერდ II-ის (438-457) შუათანა ვაჟი. 450 წლისათვის იეზიდგერდმა დაიპყრო სამხრეთ ბაქტრიის ვრცელი ტერიტორია, სადაც კვლავ აღადგინა სასანიანთა „საუფლისწულო სამფლობელო“ – *ქუშანთა სამეფო*, რომელშიც თავისი ვაჟები პორმიზდი და პეროზი დანიშნა მეფისნაცვლებად. 457 წელს, იეზიდგერდის გარდაცვალების შემდეგ, შაჰანშაჰის ტიტული მიიღო პორმიზდმა, ხოლო პეროზი დარჩა „ქუშანთა მეფედ“. 457-459 წწ. პეროზი აწარმოებდა ბრძოლებს თავისი ძმის წინააღმდეგ ირანის ტახტის მოსაპოვებლად და მან დახმარებისათვის მიმართა ირანის სამეფოს დაუძინებელ მტრებს, – შუა აზიაში მომთაბარე ჰეფთალებს. მათი და, აგრეთვე, ირანის გაუფლენიან საგვარეულოთა მხარდაჭერით, გადამწყვეტ ბრძოლაში პეროზმა გაიმარჯვა, პორმიზდი მოკლეს და თვითონ გახდა შაჰანშაჰი.

ქრისტიანობის მიმართ პეროზი ატარებდა იმავე პოლიტიკას, როგორსაც მისი წინამორბედი მეფეები მიმართავდნენ – მხარს უჭერდა და მფარველობდა იმ მიმდინარეობებს, რომლებიც ბიზანტიის ორთოდოქსალურ ეკლესიას უპირისპირდებოდნენ და იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. სწორედ მის დროს გახდა *ნესტორიანობა* ირანისა და შუა აზიის ქრისტიანებში წამყვან მოძღვრებად.<sup>2</sup> სხვათა შორის, ეს კარგად აქვს შენიშნული XI ს-ის (ზოგი მოსაზრებით, IX ს-ის) ქართველ ისტორიკოს *არსენი საფარელს*, როდესაც თავის ნაწარმოებში „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, წერს, რომ „აიძულნა მეფემან პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულისა ნესტორის უღმრთოესასა“ [12, გვ.79: 14-15].

ამიერკავკასიაში პეროზი მიმართავდა, ერთი მხრივ, მეტად მკაცრ, ხოლო, მეორე მხრივ, მომსყიდველ პოლიტიკას. მან გააუქმა მეფობა ალბანეთში და იქ გამგებლად დანიშნა ირანის მოხელე – მარზპანი. იგი


<sup>2</sup> სასანურ ირანში ნესტორიანული ქრისტიანული რელიგიის მიმდინარეობისა და სპეციალურად მასთან მიმართებაში ქართლის სამეფოს პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრების პერიპეტეების შესახებ იხ. [51].

მიმართავდა ადგილობრივ ადმინისტრაციულ აპარატში სპარსელების მიზიდვას, ადგილობრივი ფეოდალების თავის მხარეს გადაბირებას და ირანის სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში ჩაყენებას. სწორედ ასეთი ადგილობრივი ფეოდალი იყო „შუშანიკის წამების“ მიხედვით ჩვენთვის კარგად ცნობილი *ვარსკენ პიტიახში* ქვემო ქართლისა, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილისა, რომლის ტერიტორიაზე აშენდა მის დროს ბოლნისის სიონი თავისი წარწერებით, რომელთაგან ერთ-ერთში პეროზი და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მისი ძე, იმდროინდელი შაჰანშაჰი კავად I-ია მოხსენიებული.


ირანის აღმოსავლეთ საზღვრებზე პეროზს მძიმე ბრძოლების გადახდა უხდებოდა ჰეფთალებისა და კიდარიტების ტომების წინააღმდეგ, რომლებიც გამუდვებით თავს ესხმოდნენ სამეფოს. ამ ბრძოლებში პეროზი იყენებდა მისი ვასალი ქვეყნების სამხედრო ძალებსაც. მათში მონაწილეობა აქვს მიღებული იბერიის (ქართლის) მეფე *ვახტანგ გორგასალსაც*, რომლის სახელი გმირობისა და ვაჟკაცობის შარავანდედით შეიმოსა. ვახტანგი პეროზის ძმის სიძე იყო – 19 წლის ვახტანგს ცოლად შეურთავეს ჰორმიზდ III-ის ასული *ბელანდუხტი*.

ირანის სახელმწიფოს მდგომარეობა მეტად გაართულა ხანგრძლივმა გვალებმა, რამაც, ზოგიერთი საისტორიო წყაროს ცნობით, შეიძწლიანი შიმშილობაც გამოიწვია. პეროზი იძულებული შეიქნა გადაემწყვეტი ზომები მიეღო შიმშილობის წინააღმდეგ: მოსახლეობას ახსნა ზოგიერთი გადასახადი, გახსნა სახელმწიფო ბელები, აიძულა მსხვილი მიწათმფლობელები გადანახული მარაგი გაეყოთ მოსახლეობისათვის.

როგორც იქნა, მძიმე ბრძოლების შემდეგ, კიდარიტების ტომები დაამარცხა პეროზმა და გადაარქა ისინი მდ. ინდის შესართავების გადაღმა, მაგრამ *ჰუნთა ტომები* – სარაგურები და აკატირები შემოიჭრნენ ამიერკავკასიაში. კავკასიონზე გადმოსასვლელები, ბიზანტიასთან დადებული ზავის



სურ. 21



სურ. 22



სურ. 23

თანახმად, ირანს უნდა დაეცვა, ოღონდ ბიზანტია მას ამაში ფულს უხდოდა. პეროზმა მოსთხოვა ბიზანტიის იმპერატორს სუბსიდია საზღვრების დასაცავად საერთო მტრებისაგან, მაგრამ უარი მიიღო. ზოგიერთი მოსახრებით, სარაგურები სწორედ ბიზანტიის წაქეზებით შეიჭრნენ ირანის კუთვნილ ტერიტორიაზე ამიერკავკასიაში.

როგორც ჩანს, *ჰუნთა* (ქართული წყაროების „ჰონთა“) ამ ტომების შემოჭრას მედგრად აღუდგა წინ იბერიის მეფე ვახტანგ გორგასალი.

დაამარცხა ისინი, ისარგებლა იმით, რომ პეროზი ომებს აწარმოებდა აღმოსავლეთში და თვითონ დაიკავა და გაამაგრა გადასასვლელიები.

ამ დროს ხორასანში დაიწყო მომთაბარეთა აჯანყებები და პეროზი იბულებული იყო მათ წინააღმდეგ მოეწყო დიდი ლაშქრობა. ჰეფთალეებმაც ამასობაში მოახერხეს ვრცელ და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება (დაწერილებით მათ შესახებ: [126, გვ. 198-202]). მათ წინააღმდეგ მოწყობილ ერთ-ერთ ლაშქრობაში პეროზი ტყვედ ჩაიგდეს, რომელმაც მხოლოდ დიდძალი გამოსასყიდის (მონეტებით დატვირთული 30 ჯორის) დაპირების ფასად შეძლო თავის დახსნა, მაგრამ გამოსასყიდის გადახდამდე ჰეფთალეებმა პეროზის ძე კავადი მძევლად დაიტოვეს. ამ გამოსასყიდის გადახდა მიძიმე ტვირთად დააწვა მთელ ირანს და პირველ რიგში მის ვასალ ქვეყნებს, მათ შორის ამიერკავკასიის სახელმწიფოებს. თავის დახსნის ერთ-ერთი პირობა იყო პეროზის მიერ ფიცის დადება, რომ იგი არასოდეს არ გაილაშქრებდა ჰეფთალეების წინააღმდეგ.

მაგრამ, როგორც კი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა რამდენადმე სტაბილური გახდა, პეროზმა ახალი დიდი ლაშქრობა წამოიწყო ჰეფთალეების წინააღმდეგ. ამით ისარგებლეს ამიერკავკასიის ხალხებმა და ვახტანგ გორგასლის მეთაურობით, რომელსაც გვერდში ედგა სომეხთა წინამძღოლი, დიდი ნახარარი *ვაჰან მანსკონიანი*, აჯანყება წამოიწყეს ირანელების წინააღმდეგ. ჰეფთალეებთან ბრძოლაში დასუსტებულმა პეროზმა მათ წინააღმდეგ 483 წელს დიდი ჯარი გამოუგზავნა. მძირანის და ირანის მონასპის უფროსის ატრნერსეჰის სარდლობით. გადამწყვეტ ბრძოლაში ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა, მიძრანი უკან გაიწვიეს, საბატკეროდ ახალი დიდი ჯარი გამოგზავნეს გამოსწინილი მსუქდართმთაყერის სარმარ კანარა-ეუნტის სარდლობით. მანარაეუსტი ბახიანში იღვა და სომეხი ინტროიკოსის რაზმარ ფარაქვის (V ს.) ცნობით, მას მოუვიდა "მაჰის ღვთაების წყრილისა, რომელშიც „პეროზი იწერებოდა, აცნობებდა მათ, რომ აგი არიყლთა მთელი ძალით მიემართებოდა ჰეფთალეებს, ხოლო მას უბრძანებდა წასულსყო ქართლში და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანღა იმ ქვეყნიდან გაეძეებინა“ [118, გვ. 263].

ჰეფთალეების წინააღმდეგ მოწყობილი ეს ლაშქრობა მისთვის ტრაგიკულად დამთავრდა – პეროზი და სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრი ბრძოლაში დაიღუპა, ისე რომ პეროზის ცხედარიც ვერ იპოვეს. ჰეფთალეებს მოწყობილი ჰქონიათ კარგად შენიღბული უზარმაზარი ორმობი და სწორედ ერთ-ერთ ასეთ ორმოში ჩავარდა პეროზი თავისი ამალით, სადაც ისინი ქვებით ჩაუქოლავთ.

იმ დროისათვის უკვე წყლით ამოვსებული ამ ორმოს შესახებ ცნობა შემოუნახავს VI ს-ის ბიზანტიელ ისტორიკოსს *პროკოპი კესარიელს*.

პეროზის გვერდით ამ უკანასკნელ წუთებში, როგორც ჩანს, ქართველებიც იყვნენ – პროკოპი კესარიელის ცნობით, სიკვდილის წინ პეროზს მარჯვენა ყურიდან მოუხსნია *მარგალიტი* (ხელისუფლების ერთ-ერთი ინსიგნია) და გადაუგდია, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. ეს იშვიათი სიდიდისა და საფასურის მარგალიტი იბერებს ღვთისმშობლის ხატისათვის შეუწირავთ [24, გვ. 17; 25, გვ. 43-44 (შენ.1 – გვ. 44)].

ჰეფთალეებს დარჩათ პეროზის მთელი ბანაკი – მეფის ასული (ვაჟები მასთან ერთად დაიხოცნენ, გადარჩა კავადი, რომელიც ბიძამისის ვალარშის გამეფების (484-488) და მეფობიდან გადაყენების შემდეგ თვითონ გახდა

შაჰანშაჰი. სხვათა შორის, ისევე ჰეფთალებს დახმარებით, რომელთა სიძე (იგი იყო), მობედი ქურუმი, სამეფო ხაზინა. კანცელარია, ძვირუასი ჭურჭელი და ა.შ. ეს იყო სასანური ირანის ისტორიაში არნახული დამარცხება – უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში წარმატებით იბრძოდა რომის იმპერიის წინააღმდეგ, ახლა გადაიქცა მომთაბარე ბარბაროსების სათარეშოდ.

როგორც კი ამ ამბავმა შაჰარაფუხტამდე მოაღწია, იგი სასწრაფოდ ირანში გაბრუნდა, ხოლო ამიერკავკასიაში ახალი ძალით გაიშალა ბრძოლები ირანელების წინააღმდეგ [129, გვ. 276-277; 126, გვ. 198-202; 69, გვ. 92-106; 118, გვ. 263].

შემორჩენილია პეროზის პორტრეტული გამოსახულებანი: მის სამი ტიპის მონეტებზე (ორი მათგანი ამ წიგნშიც ქვეყნდება) და სამ სასანურ, მოთქრულ ვერცხლის ლანგარზე ნადირობის სცენების ჭედური გამოსახულებით – ერთი ინახება ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმში, მეორე ერმიტაჟში და მესამე სამარყანდის მუზეუმში [141, გვ. 63, 72, ტაბ. 17].

მალე, 502 წელს ვახტანგ გორგასალიც მოკლეს ერთ-ერთ ბრძოლაში.\*

მთელი ამ ხნის განმავლობაში, 479 წლიდან მოყოლებული, აი ასეთი საერთაშორისო და საშინაო ვითარების ფონზე მიმდინარეობდა ბოლნისის ტაძრის მშენებლობა.

### X X X

ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის ტექსტის დადგენისას გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

1. ქვის იმ ნაწილების ფართობის ზომა, რომლებიც ადგილზე, ტაძრის კედელშია დარჩენილი და რომლებზედაც ამჟამად გადასული ტექსტი იყო მოთავსებული.
2. ამჟამად არსებული ტექსტის მონაცემები გადასული ტექსტის აღსადგენად.
3. ენობრივი და ისტორიული რეალიები ამ დროისა, რომელსაც წარწერა ეკუთვნის.
4. აღსადგენი ტექსტის მიმართება ტაძარზე არსებულ სხვა თანადროულ წარწერათა მონაცემებთან.

მომავალში, ან კელევის თანამედროვე პროცესში. შეიძლება, სხვა, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტორებიც გამოჩნდეს, მაგრამ ტექსტის დადგენისათვის ძირითადი ამოსავალი ხეიმოაღნიშნული პრინციპები უნდა იყოს.

როგორც აღინიშნა, შესასყელელის ტიმანის ქველადეე ნაქცევის გამო, სრული სახით მოღწეულია წარწერის შუა ნაწილი. ქვის ბლოკი, რომელზედაც ეს მოღწეული ტექსტია მოთავსებული, გვერდებზე თითქმის სწორხ-

\* ეს არის ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთვლილი და, ასე ვთქვათ, ოფიციალურ ქართულ ისტორიოგრაფიაში (მაგ., ძმ-ში) მიღებული თარიღი. მაგრამ, ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შესახებ მეკლევართა შორის ახრთა დიდი სხვადასხვაობაა (როგორც შენიშნავს ერთ-ერთი მათგანი, იგი მერყეობს დაახლოებით 50 წლის ფარგლებში, 484-532 წლებს შორის). საკითხის ისტორიოგრაფიის მიმოხილვა და ახლებური თარიღის – 491 წლის დასაბუთების ცდა იხ. [29, გვ. 76-82], ხოლო მისი კრიტიკა იხ. [47, გვ. 44-45]

აზონდადა ჩამოჭრილი. მისი სიგრძეა 155 სმ. მასზე, ზედაპირის დადაბლებით, გამოქანდაკებულია წარწერის რელიეფური ასოები. დადაბლებული ფართობის სიგანეა 21 სმ. ადგილზე დარჩენილ ნაწილებზე, ორივე მხარეს, მართალია, ტექსტი გადასულია, მაგრამ დადაბლებული ზედაპირის მიხედვით ცხადად ჩანს, თუ რა ზომაზე იყო აქ ტექსტი მოთავსებული.

ოთხივე სტრიქონს მარცხენა მხარეს სიგრძეზე ეკავა 71 სმ. ხოლო მარჯვენა მხარეს სტრიქონები მოთავსებული იყო სხვადასხვა ზომაზე: პირველი და მეორე სტრიქონები 70 სმ-ზე, მესამე სტრიქონი 66 სმ-ზე და მეოთხე სტრიქონი 13 სმ-ზე. ტიმპანის შუა, ნაკლული ნაწილის სიგრძეა 165 სმ. რეალურად არსებული ქვისა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება – 155 სმ, მაშასადამე, 10 სმ-ის სიგრძის ნაწილი, ანუ საშუალოდ 5-5 სმ თითოეულ მხარეს, მთლიანად ჩაიშალა, ჩაიფშენა შუა ნაწილის ჩაქცევისას. ამ მონაცემების მიხედვით წარწერის თითოეულ სტრიქონს მთელს სიგრძეზე ეკავა შემდეგი ფართობი:

პირველი სტრიქონი:  $71+165+70 = 306$  სმ.  
 მეორე სტრიქონი:  $71+165+70 = 306$  სმ.  
 მესამე სტრიქონი:  $71+165+66 = 302$  სმ.  
 მეოთხე სტრიქონი:  $71+165+13 = 249$  სმ.

ამჟამადაც არსებული ტექსტის მიხედვით პირველ სტრიქონში 155 სმ-ის სიგრძეზე მოთავსებული იყო 29-30 ასო; ე.ი. ერთი ასო დაახ. 5,2 სმ სიგრძეზე. მაშასადამე, თუ მარცხენა მხარეს 71 სმ სიგრძის ტექსტი აკლია, აქ უნდა ვივარაუდოთ დაახ. 14-15 ასო, ხოლო, მარჯვენა მხარეს 70 სმ-ის სიგრძეზე, ასევე 14-15 ასო. გასათვალისწინებელია ის, რომ პირველ სტრიქონში, მარცხენა მხარეს, ტექსტი ზედ დადაბლებული ზედაპირის კიდესთან არ იწყებოდა – პირველი ასოს ნაკვალევი შეიმჩნევა 9-10 სმ-ის შეწვევით, ე.ი. აქ, ამ ნაკლულ მხარეს, 4-5 ასოთი ნაკლები ტექსტი უნდა ვივარაუდოთ, ანუ 9-10 ასოსგან შედგენილი.

მეორე სტრიქონში 155 სმ სიგრძეზე მოთავსებულია 30 ასო, ე.ი. ერთი ასო დაახ. 5 სმ სიგრძეზე. მაშასადამე, ნაკლულ მარცხენა მხარეს უნდა ვივარაუდოთ 14-15 ასო, ხოლო მარჯვენა მხარეს 70 სმ სიგრძეზე – ასევე 14-15 ასო.

მესამე სტრიქონში 155 სმ-ის სიგრძეზე მოთავსებულია 37 ასო, ე.ი. ერთი ასო დაახ. 4 სმ-ის სიგრძეზე. მაშასადამე, 71 სმ-ის სიგრძეზე მარცხენა მხარეს უნდა ვივარაუდოთ დაახ. 18-19 ასო, ხოლო მარჯვენა მხარეს 66 სმ-ის სიგრძეზე დაახ. 15-16 ასო.

მეოთხე სტრიქონში 155 სმ-ის სიგრძეზე მოთავსებულია 33-34 ასო, ე.ი. ერთი ასო დაახ. 4,5 სმ სიგრძეზე. მაშასადამე, მარცხენა მხარეს 71 სმ-ის სიგრძეზე უნდა ვივარაუდოთ დაახ. 13-14 ასო, ხოლო მარჯვენა მხარეს 13 სმ-ის სიგრძეზე – დაახ. 3-4 ასო.

ამრიგად, წარწერის ტექსტს, სავარაუდოდ, აკლია ასოების შემდეგი რაოდენობა:

პირველ სტრიქონში მარცხენა მხარეს – 9-10  
 მარჯვენა მხარეს – 14-15  
 მეორე სტრიქონში მარცხენა მხარეს – 14-15  
 მარჯვენა მხარეს – 14-15

მესამე სტრიქონში მარცხენა მხარეს – 18-19

მარჯვენა მხარეს – 15-16

პირველ სტრიქონში მარცხენა მხარეს – 13-14

მარჯვენა მხარეს – 3-4.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარწერის შემსრულებელი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ერთიადიმავე სიტყვის ასოებს ზოგჯერ მეტისმეტად აშორებს ერთმანეთს, ამიტომ ყოველ სტრიქონში ერთი, ან ორი ასოს წამატება, ან დაკლება უნდა დავუშვათ ასოთა ზემოთ გამოთვლილ სავარაუდო რაოდენობასთან შედარებით. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ ნაკლული ტექსტის აღდგენა ასოთა იმ რაოდენობის ფარგლებში უნდა მოხდეს (ამ შენიშვნის გათვალისწინებით), რაც ზემოთაც იყო გამოთვლილი. ისინი მე ჩავატარე 1972 წლის შემოდგომაზე წარწერის ტექსტის ადგილზე ერთ-ერთი შესწავლის დროს. ანალოგიური გაზომვა-გამოთვლები ჩაუტარებია მ. ჩხიკვაძეს 1976 და 1979 წლებში [107, გვ. 48], ხოლო მოგვიანებით საურ. კაკაბაძეს [132, გვ. 91] და ე. მაჭავარიანს [52]. მიღებული შედეგები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს – განსხვავებები ერთი, ან ორი ასოს ფარგლებშია.

წარწერის პირველი სტრიქონის მოღწეული ფრაგმენტი იწყება სიტყვის ნაწყვეტით ...ისა. ამის წინ ივარაუდება დაახ. 9-10 ასო. ტექსტის დასაწყისში, როგორც ეს, ჩვეულებრივ, მიღებული იყო წერილობით ძეგლებში და მათ შორის წარწერებში (ამ შემთხვევაში საამუშენებლო წარწერაში) აღნიშნული იქნებოდა შესავალი ფორმულა. რეალურად ამჟამად არსებული „სამებისადა“-ს წინ აღნიშნული უნდა იყოს „წმიდისა“; ამიტომ მოღწეული ...ისა, წარმოადგენს „წმიდისა“-ს ნაწყვეტს. მაშასადამე, ტექსტში აქ იქნებოდა „[წმიდი]სა სამებისადა“.

ამის წინ, სავარაუდოდ, ერთი სიტყვის ადგილას, რადგან დარჩენილი ფართობი მეტის აღდგენის საშუალებას არ იძლევა, ლ. მუსხელიშვილი აღადგენდა „სახელითა“-ს; აკ. შანიძემ და მის მიხედვით ტექსტის სხვა გამომცემლებმა აღადგინეს „შეწევინთა“. რადგანაც „სახელითა წმიდისა სამებისადა“ ტექსტებში არ დასტურდება (არც არის მოსალოდნელი – საყოველთაოდ გაერცვლებულია ფორმულა „სახელითა ღმრთისადა“),<sup>27</sup> „შეწევინთა“-ს აღდგენა უფრო სწორი უნდა იყოს და, მაშასადამე, წარწერის

<sup>27</sup> უბეველეს ეპიგრაფიულ ძეგლებში ტექსტის დაწყება ფორმულით „სახელითა ღმრთისადა“ არ დასტურდება – ტექსტი ან ყოველგვარი შესავალი ფორმულის გარეშე იწყება, ან სიტყვით „შეწევინთა“ და შემდეგ ქრისტეს, ღმრთისმშობლის ან რომელიმე წმინდანის დასახელებით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისევე ბოლნისის ტაძრის ფარნევიან და ახარუხტის მემორიალური წარწერის მაგალითი, რომლის ტექსტი იწყება სიტყვებით: „შეწევინთა ქრისტესითა“; ასეთივე შესავალი ფორმული იწყება უკანკორის ჯერის კვარცხლბუქის წარწერა, V-VI სს. [86, გვ. 91]; პალესტინის იორდანის უდაბნოს წარწერა, VI ს-ის II მეოთხედი (გ. წერეთელი: [110, გვ. 28]) ან 614-620 წწ. (კეკელიძე: [41, გვ. 77]); აბასთუმის ჯერის კვარცხლბუქის წარწერა, 685-711 წწ. [86, გვ. 163] და სხვ. აღსანიშნავია, რომ უბეველეს წარწერებში ტექსტი, თუ ვინმესადმი მიმართული იწყება, მიემართება წმ. სამებას: ტბისის ჯერის კვარცხლბუქის წარწერა, VIII ს. [86, გვ. 106], ახალი სოფლის წარწერა, X ს. ბოლო მეოთხედი [86, გვ. 259] და სხვ.

ერთგან, ერთ-ერთ უბეველეს წარწერაშიც გვაქვს შემთხვევა ფორმულის „სახელითა ღმრთისადა“ გამოყენებისა, ოღონდ, არა ტექსტის დასაწყისში, არამედ შიგ ჩართვით (უკანკორი, თათვარაზის წარწერა: [86, გვ. 90]). საერთოდ, ისეთი სურათი ჩანს, რომ პირველი შემთხვევები ქართულ წარწერებში, როდესაც ტექსტი იწყება სიტყვებით „სახელითა ღმრთისადა“ X ს-ს განეკუთვნება და თითქოს, პირველად ეპიგრაფიულ აქტებში (საბუთებში) გვხვდება [86, გვ. 144, 146, 267, 276, 280, 289, 295], ხოლო შემდეგ ჩვეულებრივია ტექსტებში.

ტექსტი იწყებოდა სიტყვებით: „[შეწევნითა წმიდისა სამებისათა“. „შეწევნითა წმიდა“ რამდენადმე აჭარბებს ასოთა იმ რაოდენობას (9-10), რომელიც აქ ივარაუდება და უნდა დაეუშვათ, რომ „წმიდისა“ გადმოცემული იყო დაქარაზებულად „წისა“.

ამის შემდეგ პირველ სტრიქონში სახესეა სიტყვები „ოც წლისა პეროზ მეფე...“. სიტყვაში „ოც“ (ივარაუდება, რომ ასო *ϸ* წარწერის შემსრულებელს დაუზიანებია, რადგან იგი გამოქანდაკებულია ქუსლის გარეშე, განსხვავებით მის მიერვე ამავე წარწერის მესამე და მეოთხე სტრიქონებში გამოყვანილი *ϸ*-საგან [52, გვ.11]). „წლისა“, რომელიც ენობრივად რამდენადმე გაუმართავ ფორმად არის მიჩნეული (თითქოს, უფრო სწორია „წელსა“; ამის შესახებ – ქვემოთ) გარკვევით იკითხება. ასევე გარკვევით და უძველესად იკითხება სახელი „პეროზ“ (ოღონდ *ზ* გადათლილია), მას მოსდევს ასოთა კომპლექსი „მეფე“ (აქაც *ბ* გადათლილია), რომლის მეორე *გ*-ს მხოლოდ თავია შერჩენილი და ისიც ძირითადი ბლოკისათვის მიწებებულ ქვის ნატეხზე. ეს *გ* აკ. შანიძის მიერ, ტექსტის აღდგენის სამსავე ვარიანტში იგნორირებულია და იგი აქ წარმოადგენს სიტყვას „მეფისა“. ამის შესახებ საგანგებოდ აღნიშნეს საურ. კაკაბაძე [132, გვ. 92] და ელ. მაჭავარიანმა [52, გვ. 27-28]. პირველმა აქ ივარაუდა – „მეფემან“, „მეფესა“, ან „მეფეთა“, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოარგო რეალურად არსებულ ტექსტს; ხოლო ელ. მაჭავარიანმა – „მეფედისა“. მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი უარყოფილ-იქნა, როგორც ენობრივად გაუმართავი [66, გვ. 99].

თუ ჩვენ ტექსტის ამ ადგილას სპარსეთის მეფის პეროზის სახელს ვივარაუდებთ და, როგორც ჩანს, ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა დაეუშვათ, რომ ოფიციალურ ტექსტში. საამშენებლო წარწერაში. მეფის სახელთან აღნიშნული იქნებოდა მისი სრული ოფიციალური ტიტული.<sup>25</sup> ირანის სასანიანი მეფეები ამ დროს ატარებდნენ „შაჰანშაჰის“, ანუ ქართულად „მეფეთა მეფის“ ტიტულს [129, გვ. 288; 22, გვ. 220]. ამიტომ, პეროზის შემდეგ *აღნიშნული იქნებოდა მისი ოფიციალური ტიტული* „მეფეთა მეფე“, ანუ კონტექსტის მიხედვით „მეფეთა მეფისა“ (შესაძლებელი იქნებოდა, აგრეთვე, „მეფეთა მეფისასა“, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მის წინ გექნებოდა კონსტრუქცია „ოც წელსა“, ან „მეოცესა წელსა“, ე.ი. „ოც წელსა პეროზ მეფეთა მეფისასა“, ან „მეოცესა წელსა მეფეთა მეფისასა“, მაგრამ „ოც წლისა“ მოითხოვს ფორმას „მეფეთა მეფისა“ და ასეთი კონსტრუქცია ამ წარწერაში კიდევ ერთხელ დასტურდება – „ათხუთმეტ წლისა“, მაგრამ ამის შესახებ – ქვემოთ).

ასეთი წაკითხვით მოიხსნა აკ. შანიძისეული წაკითხვა-აღდგენის პირველი სუსტი ადგილი, არ არის იგნორირებული ტექსტში აშკარად არსებული *გ* და, ამდენად, ტექსტი დაუახლოვდა რეალურ ვითარებას.

<sup>25</sup> ეს, ჩვეულებრივ, ასე იყო, როგორც ირანის თანადროულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასევე სხვადასხვაენოვან წარწერებში, რომელთა მაგალითების აქ მოყვანა ზედმეტია. მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ ქართულ სინამდვილეშიც ამის შესანიშნავ დადასტურებასთან გააქვს საქმი – გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფეების ყველა საქმეო წარწერაში. ან წარწერაში მათი მოხსენიებით. როგორც წესი, მათი საშეუო ტიტული სრული სახითაა წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით ითქმის პერატ III-ისა (975/978-1014) და პერატ IV-ის (1027-1072) შესახებ: „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“ [87, გვ. 51], „კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“ [87, გვ. 55], „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოსისა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი“ [87, გვ. 56] და ა.შ. მაშასადამე, ტრადიცია წარწერებში მეფის სახელის მისი სრული ტიტულით გადმოცემისა ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული იყო და მით უფრო ეს უნდა ვივარაუდოთ უძველესი დროისათვის.



წარწერის ტექსტს ამ ადგილას, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკლია 14-15 ასო. აღდგენილ „თა მეფისსა“-ს დასჭირდა 9 ასო. გერჩება კიდევ 5-6 ასოს ადგილი, სადაც შესაძლებელია ერთი სიტყვის აღდგენა. აკ. შანიძე პირველი და მეორე სტრიქონების გადასვლის ადგილას აღადგენდა ჯერ „ზეხიქმნა დაწყება“-ს [144, გვ. 69], ხოლო შემდეგ „დახიდვა საფუძველი“-ს [99, გვ. 30; 94, გვ. 454]. ცხადია, თუ მეორე სტრიქონის დასაწყისში „საფუძველის“ (ან მისი სინონიმური სიტყვის) აღდგენას ვეგარაუდებთ, მის წინ პირველ სტრიქონში „დახიდვა“-ს აღდგენა სწორია. მაშასადამე, სულ აქ აღდგა 16 ასო სავარაუდო 14-15 ასოს ადგილას. ამიტომ, დასაშვებია, რომ „დახიდვა“-ს ბოლო ორი ასო („ვა“), ან თუნდაც „ღვა“, როგორც აკ. შანიძე ვარაუდობს, მეორე სტრიქონზე გადადიოდა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ „დახიდვა“-სგან დარჩენილი ასოებია დაფიქსირებული ლ. მუსხელიშვილის მიერ პირველი სტრიქონის ბოლოს ქვის ადგილზე დარჩენილ ნაწილში – აქ ის კითხულობდა „აო? ა? ხა?“ [59, გვ. 326], სადაც პირველი ა უნდა იყოს „მეფისსა“-ს ბოლო ასო; კითხვის ნიშნით აღნიშნული ო შეიძლება -ონადაც მივიჩნიო; შემდეგი, რომელიც მას კითხვის ნიშნით აქვს გადმოცემული, ალბათ, მართლაც ა-ნია; მის მომდევნო ხ-ს წაკითხვა არც მის და არც სხვების მიერ ეჭვს არ იწვევს (სწორედ ეს ხ გახდა ბეკელეგართა ერთი ნაწილისათვის შეტად საეჭვო „ნახატის“ წაკითხვის და აღდგენის მიზეზი); ხოლო, ამ სტრიქონის ბოლო ასო შ კ, ლ. მუსხელიშვილის მიერ კითხვის ნიშნით აღნიშნული, არ არის გამორიცხული ასევე სწორტარიანი 1 ი-სგან დარჩენილი კვალი იყოს. მაშასადამე, წაკითხვა ოცნი დახი პირველი სტრიქონის ბოლოს სავსებით შესაძლებელი ჩანს; ანუ, როგორც უკვე აღინიშნა, „დახიდვა“ სიტყვის პირველი ნაწილი („დახი“) სტრიქონის ბოლოს ეწერა, ხოლო დასასრული („ღვა“) გადადიოდა მე-2 სტრიქონის დასაწყისში. შეიძლება ყოველივე ზემოაღნიშნულიც გახდა მიზეზი ა. შანიძისათვის წარწერის ტექსტის მისეული აღდგენის მეორე ვარიანტში „ხიქმნა დაწყება“-ს სანაცვლოდ „დახიდვა საფუძველი“-ს აღდგენისათვის.

მეორე სტრიქონის დასაწყისში აკ. შანიძე აღადგენს ტერმინს „საფუძველი“ („დახიდვა საფუძველი“). ბოლნისის სიონთან ქრონოლოგიურად შედარებით ახლო მდგომი წერილობითი ძეგლებიდან IV-VI სს. ქართლში ინტენსიური საეკლესიო მშენებლობის შესახებ უხვი ცნობებია დაცული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, რომელშიც ეკლესიის მშენებლობის დაწყების აღსანიშნავად, ჩვეულებრივ, გამოყენებულია გამოთქმა „დადვა საძირკველი“. მაგ., ერუშეთს მოსულმა ქვის მთლელებმა და კირით ხურობებმა „დადევს საძირკველი ეკლესიისაჲ“ [56, გვ. 86:38]; მათვე „მანგლისს დადევს საძირკველი ეკლესიისა“ [56, გვ. 87:2]; ასევე, გუარამ ერისთავმან „დადუა საძირკველი პატიოსნისა ჯუარისაჲ“ [56, გვ. 95:19-20], თუმცა, ამის პარალელურად შატბერდულ ვარიანტში აღნიშნულია „დადუა საფუძველი პატიოსნისა ჯუარისაჲ“ [56, გვ. 95:18; 57, გვ. 326:17]. მიუხედავად ამისა, როგორც ეხედავთ, უფრო ხშირად გამოყენებულია ტერმინი „საძირკველი“ და, რაც მთავარია, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, მხოლოდ ეს ტერმინი დასტურდება („ბალეარ/ბალაგართან“ ერთად, მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვემოთ) და ამიტომ, ბოლნისის წარწერის მეორე სტრიქონის დასაწყისში უფრო სწორი იქნება მისი აღგენა („დახიდვა საძირკველი“).

როგორც აღინიშნა, ამასვე უჭერს მხარს, მართალია, რამდენადმე

მოგვიანო (VIII-X სს.), მაგრამ მაინც შედარებით ადრეული ხანის და, რაც მთავარია, შინაარსით საამშენებლო წარწერების მონაცემები: „დაიდვა საძირკველი ჯელითა მათითა“ – აღნიშნულია სამშეილდის წარწერაში, 777 წ. [60, გვ. 97; 86, გვ. 236. აქ წარწერა დათარიღებულია X ს-ის 50-იანი წლებით]; „მე, თველორე თაფლადსქემან დავდე *საძირკველი*“ – ერედის წარწერა, 906 წ. [86, გვ. 172]; „იოვანე ებისკოპოსმან დადვა *საძირკველი* ამის ეკლესიისა“ – კუმურდოს წარწერა, 964 წ. [86, გვ. 264] და სხვ.

X-XI სს-დან ეპიგრაფიკულ ძეგლებში „საძირკველის“ ადგილს იკაეებს ტერმინი „ბალავარი/ბალაჰვარი“: ბორცვისჯვრის ეკლესიის სამი წარწერა X ს-ისა [86, გვ. 180, 184]; ქორეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერა 1000 წლისა [87, გვ. 180, 184]; დიდი გომარეთის წარწერები 1014-1021 წწ. [138, გვ. 83; 43, 236] და 1034 წლისა [138, გვ. 87]; ერქუშანთ სოფლის წარწერა 1032 წლისა [138, გვ. 101] და სხვ.<sup>29</sup> მაგრამ, რადგანაც უძველესი ტრადიცია „საძირკველს“ უჭერს მხარს, ბოლნისის წარწერაშიც ის უნდა აღვადგინოთ.

ყურადღებას იქცევს წარწერებში დადასტურებული ფორმა „საძირკველი“ თითქოს უფრო მოსალოდნელი „საძირკველის“ ნაცვლად. მწიგნობრული ტრადიციით (ან იქნებ ტექსტების გამომცემელთა მიერ ქარაგმების ასე გახსნის შედეგად) ამ სიტყვის დაწერილობაა „საძირკველი“, ან „საძირკველი“ [3, გვ. 380: „*საძირკველი* იგი საყდრისა მის აღეშენა სახლსა მას უფლისასა“ – ოშკის ბიბლია, IV მეფ. 16, 18; „ეინ არს კაცი, რომელსა მნებაეს შენებაჲ ტაძრისაჲ თუნერ *საძირკველისა*“ – მამათა სწავლანი, გვ. 177: 24]. მიუხედავად ამისა, რადგან ეპიგრაფიკულ ძეგლებში გამოწკაილისის გარეშე ყველგან „საძირკველი“ დასტურდება, ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაშიც მას აღვადგენ.<sup>30</sup>

მეორე სტრიქონის მოღწეული ნაწილი იწყება სიტყვებით „ამის ეკლესიასა“: ჩვეულებრივ, წერილობით ძეგლებში, „ეკლესიას“ ახლავს ზედსართავი „წმიდა“. მაგალითები ეპიგრაფიკული ძეგლებიდან: „აღშენებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა“, 777 წ., სამშეილდე [86, გვ. 236]; „იოვანე ტბელმან აღაშენა ესე წმიდაჲ ეკლესია“, 914 წლის ახლო, დოდოთი [86, გვ. 176]; „აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ მე, იოვანე“, 993 წ. ყალა-ბოინა [86, გვ. 269].

<sup>29</sup> საინტერესოა, რომ კუმურდოს ტაძრის საამშენებლო წარწერაში 964 წლისა „საძირკველი“ და „ბალავარი“ წარმოდგენილია, როგორც სხვადასხვა შინაარსის ტერმინები: „იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისა“ და ცოტა ქვემოთ, ტექსტის ბოლოს – „ერისთობასა ზუიანისა, ესე ბალავარი მან დადვა“ [86, გვ. 264 – ტექსტი ოღნაე განსხვავებულია წაკითხული]. აქ „ბალავარი“ აღნიშნავს უზარმაზარ ტიმბანის ქვას, რომელიც ტაძრის სამხრეთ შესასვლელის თავზეა აღებული. ოღონდ, წარწერა ისე არ უნდა გაეიგოთ, რომ ეს ქვა, რომლის აწევა და დადება ერთი კაცისაგან შეუძლებელია, ზუია ერისთავმა მოიტანა და დაღო აქ ფიზიკურად, არამედ – ამ ქვის მოპოების, ადგილზე მიტანის და მისი მორთვის ხარჯები (იგი შესანიშნავადაა მოჩუქურთმებული) მან გაიღო.

ასევე, „საძირკველი ჩაიდვა“ და „ბალაჰვარი [დაიდვა]“ ტაძრის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპების აღმნიშვნელ ცნებებადაა წარმოდგენილი სხვაეის (რაჭა) ეკლესიის XIII ს-ის წარწერებში, რომლებიც „ქველოსან“ ვარდან გიონაისძეს ეკუთვნის [87, გვ. 171-172, № 205].

<sup>30</sup> „საძირკველი“ იმ სიტყვების ჯგუფში შედის, რომლებშიც [ე] ელემენტი წარმოდგენილია პოზიციასში თანხმევისა და ხმოვანს შორის: *ქართელი, ქველი, საუფელი, ჯირველი, ყველი* (ეასახელებს ისეთ მაგალითებს, როდესაც [ე]-ს მოსდევს ხმოვანი ე). ამათგან, ახსნილია მხოლოდ *საუფელი*, ხოლო სხვების შესახებ აღნიშნულია, რომ „დანარჩენი შემთხვევები აუხსნელი გერჩება“ [27, გვ. 45]. „სა-ფუტ-ფელ-“ წარმოშობით \*ფუტ-ა-ს ზმნის მიმღებობა ჩანს (შდრ. *სტანჯ-ა-ს – სატანჯ-ე-ლე*) [27, გვ. 44]. ასევე შეიძლება *სა-ძირკ-ე-ელ-* წარმოშობით *ძირკ-ა-ს* ზმნის მიმღებობურ წარმოებად მივიჩნიოთ.

„მე, კარვერინ ალვაშენე წმიდაი ესე ეკლესიაი“, X-XI სს. მიჯნა, შეპიაკი [86, გვ. 238]; „უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა“, X ს., ბიეთი [86, გვ. 193]; „მე, გურგენ მეფეთა მეფემან ალვაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი“, 1006 წ., იშხანი, მცირე ტაძარი [129, გვ. 40] და სხვ. არის შემთხვევები, როდესაც „ეკლესია“ ტექსტებში წარმოდგენილია „წმიდას“ გარეშეც: „ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანისმცემელნი“, „ამას ეკლესიასა შინა შეხეწიე“, V ს. ბოლნისი [86, გვ. 68]; „დადეა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ, 964 წ. კუმურდო [86, გვ. 264]; „დაედგით ესე ეკლესიაი“, 995 წ., ფია [86, გვ. 270] და სხვ.

ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაშიც, თუ „ეკლესიასაჲ“-ს წინ აღვადგენთ „წმიდისა“-ს, იგი უნდა აღდგეს ისეთივე დაქარაგმებით, როგორც პირველი სტრიქონის დასაწყისში: „წ(მიდ)ისა ამის ეკლესიასაჲ“.

ამას მოსდევს „და ათხუთმეტ წლისა“, რომლის წაკითხვა არავითარ ეჭვს არ იწვევს. რას უნდა აღნიშნავდეს ეს „ათხუთმეტი წელი“, ამის შესახებ აკ. შანიძემ ორი მოსაზრება წარმოადგინა: ერთის მიხედვით – „ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა“, ე.ი. აშენდა ეკლესია და მეორე მოსაზრებით – „ათხუთმეტ წლისა კავატ მეფისა ზე განხეშორა“ ეკლესია; ე.ი. პირველი აღდგენით ეკლესია აშენებულია 15 წლის შემდეგ, ხოლო მეორე აღდგენით – კავატის მეფობის მე-15 წელს.

ფიქრობთ, როგორც პირველი, ისე მეორე ვარიანტი, მოცემულ პირობებში, ერთნაირად დასაშვებია, ოღონდ, აუცილებელია ორივე შემთხვევაში კავატ მეფის სახელის აღდგენა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს შემდეგი: უკვე ამ პირველი ორი სტრიქონის დადგენილი ტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ წარწერაში გამოყენებულია წელთაღრიცხვის მაშინ ფართოდ გაერცვლებული ერთ-ერთი სისტემა – მოვლენის დათარიღება იმ დროის მეფის მეფობის წლების მიხედვით. წელთაღრიცხვის ამ სისტემის მაშინდელ საქართველოში საყოველთაოდ გაერცვლებას იმ დროის ლიტერატურული ძეგლებიც მოწმობენ: „შუშანიკის წამების“ (V ს.) დასაწყისშივე აღნიშნულია: „იყო მერვესა წელსა მრ... სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძმ არშუშადისი“ [109, გვ. 11: 5-6]. დასაბუთებულია, რომ აქ დასახელებული სპარსთა მეფე არის პეროზი [22, გვ. 212-223]; „წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუშნასპისა მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით“ – აღნიშნულია „ეესტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (VI ს.) [50, გვ. 30-5]; „და ესრეთ სიმწნით დაითმინა წმიდამან იზიტ-ბოზიტ მეოცესა წელსა ხუასროდსა მეფისა“ – „წამებაჲ იზიტ-ბოზიტისი“ [1, გვ. 123:21-24].<sup>21</sup>

მოგვიანებით, როდესაც ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში ბიზანტიურმა ორიენტაციამ იმძლავრა, ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება

<sup>21</sup> შუა საუკუნეების საქართველოში წელთაღრიცხვის 6 თუ 7 სისტემა იყო გავრცელებული (მათზე მსჯელობის გამართვის აღგილი, ცხადია, აქ არ არის); ამათგან, მეფობის წლების მიხედვით წელთაღრიცხვა, ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ჩანს. ამ მხრივ დამახასიათებელია ისტორიული საბუთების, იურიდიული აქტების მაგალითები: „დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეოცესა“ – 1057 წ. ბაგრატ IV-ის სიგელი შიომღვიმისადმი [85, გვ. 37]; „დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა ა“ – 1073 წ., გიორგი II-ის სიგელი შიომღვიმისადმი [65, გვ. 48]; „დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა იდ“ – 1170 წ., გიორგი III-ის სიგელი შიომღვიმისადმი [85, გვ. 70]; „წელსა მეფობისა ჩუენისა კა-სა“ – 1177 წ., სიგელი გიორგი III-ისა საქართველოს ეკლესიისადმი [85, გვ. 71] და სხვ.

შემთხვევები მოვლენის, ან ფაქტის ბიზანტიის მეფეების მეფობით, ან მეფობის წლებით დათარიღებისა:

1. ისტორიულ ოძრკედან, აბასთუმნიდან მოღწეულია ჯერის კვარცხლბეკის ფრაგმენტები, რომლის რელიეფურ, ასომთავრულ წარწერაში ჩვენთვის უცნობი პირი (მისი სახელი, როგორც ჩანს, მისივე ბოროტგანმზრახველების მიერ, საგანგებოდ გადაშლილია) აღნიშნავს, რომ მისთვის ქრიზეპოლის ციხის ბოძებისას, ე.ი. სამცხეში მდებარე გრანდიოზული ოქროსციხის ციხისთავად დანიშნისას, აღუმართავს „პატიოსანი ჯვარი“, „იესტინიანე მეფისა [ზე]“. ამ ვრცელი წარწერის ტექსტი სწორედ იმის აღნიშვნით იწყება, რომ ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა იუსტინიანეს მეფობისას (ამ სიტყვების წინ წარწერის ტექსტი გადაშლილია და არ არის გამოორციხული, პირიქით, მოსალოდნელია, რომ ამ ადგილას აღნიშნული იყო იუსტინიანეს მეფობის კონკრეტული წელი – „ამა და ამ წელსა იესტინიანე მეფისა [ზე]“). მიჩნეულია, რომ წარწერაში დასახელებული მეფე არის ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე II (685-695, 705-711) და ამის მიხედვით წარწერა დათარიღებულია 685-711 წწ. [86, გვ. 101-103].

2. სამშვილდის სიონის აღმოსავლეთის ფასადის ვრცელ, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე ნაკლებად და ფრაგმენტულად მოღწეულ წარწერაში აღნიშნულია, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ „წელსა კ მეფობასა კონსტანტინესა“ და დაუმთავრებიათ ლეონის მეფობისას – „წელსა გ ლეონ მეფისა, დღესა ენკენიასა ყო სატფურებაჲ“ [60, გვ. 88-89; 86, გვ. 236]. წარწერაში დასახელებული მეფეები კონსტანტინე და ლეონ, ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით, არიან ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V კოპრონიმე (740-775) და ლეონ IV ხაზარი (775-780). ამ მონაცემების გათვალისწინებით სამშვილდის ტაძრის მშენებლობა, დაწყებული კონსტანტინეს მეფობის მე-20 წელს და დამთავრებული ლეონის მეფობის მე-3 წელს, გაგრძელებულია 19 წელიწადს და მისი კურთხევა („სატფურება“) მომხდარა 777 წლის 13 სექტემბერს [60, გვ. 96-97]. მართალია, ამ დროს სამშვილდის არსებობა ბიზანტიის იურისდიქციაში უსაფუძვლოა, მაგრამ ლ. მუსხელიშვილი ამ ფაქტს – ტაძრის მშენებლობის დათარიღებას ბიზანტიის იმპერატორების მეფობის წლებით – მაინც ქართლის კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციით ხსნის [60, გვ. 97-98].<sup>22</sup>

ძალზე გაერცვლებული ჩანს ტაძრის მშენებლობის დათარიღება ბიზანტიის იმპერატორების მეფობის წლებით ადრე შუასაუკუნეების სომხეთშიც. კერძოდ, ალამნის (637), ბაგავანის (639), მრენის (639/640) წარწერები დათარიღებულია იმპერატორ ჰერაკლეს (610-641) მეფობის, ხოლო არუჭისა – იმპერატორ კონსტანტინე II-ის (641-668) მეფობის სხვადასხვა წლებით [134, გვ. 371-404; 60, გვ. 101, შენ. 3]. ბუნებრივია, აქაც ეს მოვლენა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობითა და ორიენტაციითაა ახსნილი [60, გვ. 101-102,

<sup>22</sup> წარწერის ბოლო პუბლიკაციაში [86, № 123] ტექსტში დასახელებული მეფეები კონსტანტინე და ლეონ მიჩნეულია აფხაზთა მეფეებად – „კონსტანტინე ბაგრატიის-ძედ და მის შვილიშვილ – ლეონ გიორგის-ძედ“, ხოლო ამის მიხედვით სამშვილდის ტაძრის მშენებლობა და მისი წარწერა დათარიღებულია X ს-ის 50-იანი წლებით [86, გვ. 231]. მაგრამ უკანასკნელი დროის გამოკვლევით ეს მოსაზრება, როგორც წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებით, ისე სტილიური მონაცემებით, უარყოფილია და სარწმუნოდ კელაე ლ. მუსხელიშვილის თვალსაზრისით მიღებული [4, გვ. 234].

შენ. 3].

ქართულ ეპიგრაფიკაში ისეთი შემთხვევაც დასტურდება, როდესაც ფაქტის დასათარიღებლად აღნიშნულია ქართველი მეფის მეფობის წელი. მაგ., სამწევრისის ტაძრის წარწერაში აღნიშნულია, რომ „სამწევრისის ჯუარის მამასახლისმან“ დომინოს და გიორგი თუალოსძემ „რუეი მოიღეს“, ე.ი. რუ გამოიყვანეს „ზედა წელსა კ-სა კონსტანტინე მეფისა“. ეს კონსტანტინე მიჩნეულია აფხაზთა მეფედ და მისი მეფობის მე-20 წლის მიხედვით წარწერა დათარიღებულია 912/913 წლით [86, გვ. 223].

მასასადამე, მოვლენის დათარიღება თანადროული მეფის მეფობის წლით შუა საუკუნეების საქართველოში და, საერთოდ, მის მეზობელ ქვეყნებში, დათარიღების ჩვეულებრივ, საყოველთაოდ გავრცელებულ წესს წარმოადგენდა. ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაშიც, ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად, გამოყენებულია წელთაღრიცხვის სისტემა მეფის მეფობის წლების მიხედვით და თარიღები აღნიშნულია სპარსეთის მეფეების პეროზისა და კავადის მეფობის წლებით.

მკვლევართა შორის იმთავითვე, წარწერის აღმოჩენისა და პირველივე პუბლიკაციისას, დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ არის წარწერაში მოხსენიებული მაშინდელი ქართლის (იბერიის) მეფე ვახტანგ გორგასალი, სხვანაირად – რატომ არ არის წარწერაში აღნიშნული მოვლენები დათარიღებული მისი მეფობის წლების მიხედვით.

ლ. მუსხელიშვილის მიერ პირველად დასმული ამ კითხვისათვის დამაჯერებელი პასუხი გაუცია აკად. ს. ჯანაშიას, რომლის არგუმენტაცია დღემდე შეურყეველია: „ვახტანგის მოუხსენებლობა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ბოლნისი V ს-ში საპიტახშოს ფარგლებში შედიოდა, რომელიც უმეშვეოდ ექვემდებარებოდა სპარსეთის მეფეს და ქართველი მეფის იურისდიქციას არ ემორჩილებოდა“ [59, გვ. 327, შენ. 1]. სხვა მოსაზრებით, მართალია, 483-484 წწ. ვახტანგ გორგასლის ხელმძღვანელობით ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დროს, იბერიამ და სომხეთმა მოიპოვეს ერთგვარი დამოუკიდებლობა, მაგრამ მაინც სასანიური მონარქიის ფარგლებში [141, გვ. 13].<sup>21</sup>

უფრო მეტი – V ს. მეორე ნახევარში ქართლის სამეფო სასანიანთა ირანის ვასალი იყო. ქართლის მეფე სამეფო გვირგვინს („გურგუნი ანთრაქოვანი“) ირანის შაჰისაგან იღებდა, ქართლის მეფე სამხედრო ბეგარას უხდიდა ირანს. ის ეალდებული იყო სასანიანთა იმპერიის მომთაბარეთაგან დაცვის მიზნით გაემარებინა ქართლის საზღვრებში შემავალი ჩრდილო კავკასიის გადასასვლელები, მონაწილეობა მიეღო თავისი ლაშქრით იმპერიის სამხედრო ოპერაციებში, გადაეხადა იმპერიისათვის ხარკი“ [48, გვ. 76].

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ბოლნისის წარწერაში ტაძრის მშენებლობის დაწყების და დამთავრების დრო (იხ. ქვემოთ), ისევე, როგორც თარიღები ზოგიერთ მის თანადროულ, ან ქრონოლოგიურად მასთან

<sup>21</sup> არსებობს ბუნდოვანი ახსნაც, რომლის მიხედვით ვახტანგ გორგასალი, როგორც „მონოფიზიტობის გამაგრებელი“, „ქალაქდონური მიმდინარეობის“ ტაძრის წარწერაში არ მოიხსენიეს (?) [54, გვ. 121-128]. შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, ვახტანგ გორგასალი ბოლნისის „არც ერთ წარწერაში“ იმითომ არ არის დასახელებული, რომ „ტაძრის აგების დროს... საქართველოში არ იმყოფებოდა; იგი გაწეული იყო სპარსეთს“ [6, გვ. 4]. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამის მიზეზი სულ სხვა იყო – ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

ახლომდგომ ლიტერატურულ ძეგლებში, აღნიშნეს სუზერენი ქვეყნის მეფის (resp. ირანის შაჰანშაჰის) მეფობის წლებით, რაც მაშინ დათარიღების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა.<sup>4</sup>

V-VII სს. საქართველოში მიღებული ყოფილა არა მარტო წელთაღრიცხვა ირანის შაჰანშაჰების მეფობის წლების მიხედვით, არამედ ირანული კალენდარიც (რომაულ კალენდართან ერთად). როგორც ცნობილია, წყისის წარწერაში თარიღი დასმულია შემდეგნაირად: „ესე ჯუარი... აღჴუმართე... შაჰრამანსა ა, ... ნოენბერსა იჴ“ [86, გვ. 98], რაც, აკად. აკ. შანიძის გამოთვლით, შეესაბამება 616-619 წწ. [99, გვ. 25, 108]. ხოლო შაჰრამანი თვის ირანული სახელია. მაგრამ იქვე, როგორც ვხედავთ, თვის რომაული, იმ დროისათვის უკვე ქრისტიანულ-რომაული, სახელიც არის აღნიშნული.

ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ წარმოვიდგენთ, რომ „ქრისტიანობას და ცეცხლთაყვანისმცემლობას ამ დროის ქართლში ერთნაირი მდგომარეობა აქვთ, ორივე კანონით დაშვებული რელიგიაა და არც ერთის დევნა არ შეიძლება. ქრისტიანი და «ცეცხლმსახურნი ეპისკოპოსნი» სამეფო კარზე ოფიციალურად ერთნაირი პატივით სარგებლობენ“ [47, გვ. 79].

ამდენად, ზოგიერთი მკვლევარის [132, გვ. 94 და სხვ.] მიერ მოხმობილი არგუმენტი იმის შესახებ, რომ ქრისტიანული ტაძრის კედელზე შესრულებულ წარწერაში ცეცხლთაყვანისმცემელი მეფის (იგულისხმება პეროზი) სახელს არ მოათავსებდნენ და აქ მირიან მეფის „თუსი“ ფეროზი უნდა ვიგულისხმოთ (რომელიც იყო თუ არა თვითონ ქრისტიანი კიდევ საკითხავია) საფუძველს მოკლებულია.

ნიშანდობლივია, რომ პეროზის და მისი მემკვიდრის კავად I-ის, ისევე, როგორც სხვა სასანიანი მეფეების მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოში [142]; ხოლო ვახტანგ გორგასლის მონეტა უცნობია. უფრო მეტი, ისიც არ ვიცით აწარმოებდა თუ არა იგი სამონეტო ემისიას. VI ს-ის დასასრულის (!) ერთ-ერთ მონეტაზე, თითქოს, იკითხება „ვახტანგ“ [135, გვ. 20], მაგრამ იქაც ქართული ასომთავრული მონოგრამა („გ-ნ“ და არა „ენგ“, როგორც გამოცემაშია) უნდა გაიხსნას, როგორც „გურგენ“. თითქოს, ერთგვარად სიმბოლურია და ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოში აღმოჩენილი ერთადერთი განძი პეროზის მონეტებისა (29 ერთეული) ნაპოვნია სწორედ ბოლნისში, სასაფლაოს მახლობლად, 1970 წელს [122, გვ. 150-158, ტაბ. XVII-XIX].<sup>5</sup>

მაშასადამე, წარწერის პირველი ორი სტრიქონის წარმოდგენილი აღდგენით გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა დაწყებულია პეროზის მეფობის მე-20 წელს, ანუ 478 წელს და დამთავრებულია 15 წლის შემდეგ, ანუ 493 წელს, როდესაც პეროზი უკვე 9 წლის გარდაცვლილი იყო, ამიტომ, ლოგიკურია, რომ ეს ტექსტიეული „ათხუთმეტ წელსა“ მას არ უნდა მიემართებოდეს – იგი იმ დროისათვის მოქმედ მეფესთან, კავად I-თან (488-531) უნდა იყოს

<sup>4</sup> ანალოგიური ვითარებაა საქართველოს ტერიტორიების ბიზანტიურ სამფლობელოებშიც, ოღონდ, ცხადია, უფრო მოგვიანო დროისათვის (X ს-ის შუა წლები) - კორიდეთის ეკლესიის (ისტორიული ტაო) ერთ-ერთი ბერძნული საბუთი, მიწერილი ამ სოფლის ეკლესიის სახარების ფურცელზე, დათარიღებულია ბიზანტიის იმპერატორის მეფობის წლით: „ზეობასა უფლისა ზუენისა იმპერატორის ფოკასი, თუესა თებერვალსა, ინდიკტიონსა 8“ [45, გვ. 48, №5].

<sup>5</sup> აქედან ორი მონეტა პეროზის და ერთიც კავად I-ის გამოსახულებით, როგორც სიონის საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული პირებისა, აქვე ქვეყნდება (გვ. 49, ტაბ. 21-23). მონეტების ფორტოსურათების მოწოდებისათვის მაღლობას მოეხსენება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების გამგეს ქნ მელვა წოწელიას.

დაკავშირებული. ამის მიხედვით, წარწერის მეორე-მესამე სტრიქონების გადასვლის ადგილებში ტექსტი ასე უნდა აღდგეს: „ათხუთმეტ წლისა [შემდგომად, მეფობასა | კავატისსა, განხეშორა]“, ანუ ტაძრის მშენებლობა დასრულებულია 15 წლის შემდეგ, კავად I-ის მეფობაში.<sup>56</sup>

ნაკლული ადგილის აღდგენის მეორე ვარიანტით, აქ შეიძლება ეიგულისხმობთ, რომ აღნიშნული იყო მშენებლობის დასრულება არა 15 წლის შემდეგ, არამედ კავადის მეფობის მე-15 წელს, რაც, თითქოს, უფრო ლოგიკური ჩანს. მაშინ, ტექსტის ეს ნაკლული ნაწილი ასე შეივსება: „ათხუთმეტ წლისა [კავატ მეფეთა მეფისსა განხეშორა“. ასეთი აღდგენით ტაძრის მშენებლობა დამთავრებულია 503 წელს.<sup>57</sup>

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტექსტის დადგენისათვის იმას, თუ რომელი ტერმინით იყო აღნიშნული ტაძრის მშენებლობის დამთავრება - „განხეშორა“, „აღხეშვნა“, თუ „განხესრულა“.

„განხეშორა“ და „აღხეშვნა“, ცხადია, ხანმეტობის გარეშე, „განიშორა“-ს და „აღაშენა“-ს ფორმით, მრავლად დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს როგორც შატბერდულ, ისე ჭელიშურ რედაქციებში:

1. მირიან მეფემ „მსწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუე მოჲ სამოთხესა შინა“ [55, გვ. 322:21]. 2. მცხეთაში „ეთარცა აღაშენეს ეკლესიაჲ, წარავლინა მოციქული“ მირიან მეფემ [55, გვ. 322:23]. 3. „ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“ [55, გვ. 325:3]. 4. ვარაზ-ბაკურის დროს „აღაშენეს აზნაურთა წმიდაჲ იგი ეკლესიაჲ მცხეთას“ [55, გვ. 325:9]. 5. ელია მთავარეპისკოპოსმან „აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნისს“ [55, გვ. 325:13]. 6. მცხეთაში, „აღაშენა ქუე მოჲ ეკლესიაჲ ეახტანგ მეფემან“ [55, გვ. 325:34] და ა.შ. ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში „აღშენება“ ნიშნავს თანამედროვე „აშენებას“ და ეს ტერმინიც ამ მნიშვნელობით გამოიყენება.

რაც შეეხება „განხესრება“-ს იგი იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში დასტურდება შემდეგ შემთხვევებში:

1. მირიან მეფემ და ყოველმა ერმა ზემო ეკლესია „განიშორეს მეოთხესა წელსა“ [55, გვ. 324:30]. 2. „ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განიშორა ოცდამათხუთმეტესა წელსა“ [55, გვ. 324:40]. 3. „ვიდრე მოსლევადმდე მისა (პერაკლე კეისრისა) ტფილისს სიონი განეშორა მკედრთა“ [55, გვ. 326:36]. 4. „ამან (სტეფანოზ) განიშორა ჯუარისა ეკლესიაჲ“ [55, გვ. 327:8] და სხვ.

„განიშორა“/„განეშორა“-ს საწყისი ფორმაა „განშორება“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა, ილ. აბულაძის განმარტებით, „გასრულება, დამთავრება“ [3, გვ. 74]. მართლაც, სამ შემთხვევაში, როდესაც იგივე ტექსტი

<sup>56</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მეფის სახელად დამკვიდრებულია კავად. წარწერის ტექსტის აღდგენილ ნაწილში აქ. შანიძე მიმართავს ფორმას კავატ, რაც ძველი ტექსტის გამოცემისას უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან ეს სახელი იწერებოდა (მონეტებზე) როგორც kwl.

<sup>57</sup> წარწერის ტექსტის პირველი პუბლიკაციიდან (1938) რამდენმე ხნის შემდეგ (1941) ლ. მუსხელიშვილი წერდა, რომ იგი თავიდან არ ეთანხმებოდა წარწერის აქ. შანიძისეულ აღდგენას, ხოლო „ახალ დაკვირვების შემდგომ მე ვუიქრობ, რომ პატივცემული მეცნიერის ცდა სწორი უნდა იყოს, მაგრამ პ. ინგოროყვას მიერ შემოტანილი არსებით ხასიათის კორექტივის მიხედვით, წარწერა უნდა დათარიღდეს არა 492/3 წ., არამედ 502/3 წ.“ [58, გვ. 12, შენ. 4].

ეუქრობ, რადგან წარწერის თარიღად 502/3 წელზეა საუბარი, როგორც ჩანს, ტექსტში სადღაც (უფრო „ათხუთმეტ წლისა“-ს შემდეგ) კავადის სახელის აღდგენასაც ეარაუდებოდა, ალბათ, პ. ინგოროყვა (შდრ. [19ა, გვ. 165]), რასაც, თითქოს, ლ. მუსხელიშვილიც მიმხრობია და რაც გაზიარებულ იქნა აქ. შანიძის მიერ კარგა ხნის შემდეგ (1975) ტექსტის მისეული აღდგენის ერთ-ერთ ვარიანტში [93].

წარმოდგენილი ჭელიშურ რედაქციაში, „განეშორა“-ს ნაცვლად დასტურდება „განასრულა“ [56, გვ. 91:6,26; გვ. 96:18].

მაშასადამე, ყველა დასახელებულ შემთხვევაში საუბარია ეკლესიის მშენებლობის დამთავრებაზე, მის გასრულებაზე და არა საერთოდ, ზოგადად, მშენებლობაზე, აშენება-აღშენებაზე. ამ განსხვავებას, ვიშეორებ, არსებითი მნიშვნელობა აქვს ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის ტექსტის ნაკლული ადგილის აღდგენისათვის.

ბუნებრივია დავასკვნათ, რომ წარწერის ტექსტში, იქ სადაც აღნიშნულია მშენებლობის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ მომხდარ ფაქტზე, საუბარი იქნებოდა გასრულებაზე, რაც გადმოიცემოდა მაშინ ამის აღსანიშნავად დამკვიდრებული ტერმინით „განეშორა“, ოღონდ, იმდროინდელი ენობრივი ნორმების შესაბამისად, ხანმეტი ფორმით – „განხეშორა“.<sup>13</sup>

წარწერის *მესამე სტრიქონში* „განხეშორა“-სა და ამჟამადაც მოღწეულ ნაწილზე საეხებით ნათლად და უეჭველად წარმოდგენილ „აქა შინა თაყყანისხცეს“ შორის, იკითხება რომელიღაც სიტყვის დასასრული ასო *ჩ ნ*. აღსადგენი ტექსტისათვის საეარაუდო ფართობისა და წარწერის შინაარსის მიხედვით, აქ უნდა აღდგეს „[ე]ინ“, როგორც ეს მიღებულია წარწერის ტექსტის ყველა გამოცემაში. რაც მთავარია, ამასვე უჭერს მხარს წარწერის მომდევნო წინადადების სრულად მოღწეული ნაწილის დასაწყისი – „ეინ ამ[ის...]“.

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „განხეშორა“-ს შემდეგ, ეწერა არა „ეინ“, არამედ „რომელმან“, ოღონდ დაქარაგმებით „რ-ნ“ („რომელმან აქა შინა თაყყანისხცეს“), როგორც ამას ადგილი აქვს მსგავს კონსტრუქციაში ბოლნისის წარწერების თანადროულ ერთ-ერთ წარწერაში (VI ს. დამდეგი) უკანგორიდან: „*რ(ომელმა)ნ* თაყყანისხცეს ლოცვასა მომიკსენეთ“ [77, გვ. 146, შენ. 15]; ასევეა, V-VI სს. ერთ-ერთი სტელის წარწერაში ბოლნისის მახლობლად მდებარე ლამაზი გორიდან: „ეიე ჯუარი ბარნაბაჲსი, *რ(ომელმა)ნ* აღმოიკითხოჲს, ლოცვასა მომიკსენეთ“ [86, გვ. 84]; ასევეა ცოტა მოგვიანო ხანის (VIII ს.) წარწერაში ატენიდან: „*რ(ომელ)თა* აღმოიკითხოთ, მე, ვეჲან ცოდვილი ლოცვასა მომიკსენეთ“ [86, გვ. 107]. მაგრამ, ასევეა ფორმა „ეინ“-იც მოგვიანო ხანის (685-711 წწ.) აბასთუმნის წარწერაში „*ე(ი)ნ* აღმოიკითხოჲს, ლოცვასა მომიკსენეთ“ [86, გვ. 103].

მაშასადამე, ერთიც და მეორეც („ეინ“ და „რომელმან“) ასეთ კონსტრუქციებში, საეხებით ცვლიან ერთმანეთს. რადგან ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაში ერთგან უეჭველად „ეინ“ იკითხება, მეორეგანაც იგივე უნდა აღვადგინოთ. საამშენებლო ტექსტის ამ ადგილას „ეინ“-ის აღდგენის საფუძველად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლნისის უძველესი წარწერების ერთი სტილური თავისებურება – *ტექსტობრივი განმეორებები*; მაგ., დავით

<sup>13</sup> მ. თარხნიშვილისა და ი. მოლითორის მიხედვით აქ უმჯობესია, უფრო მიზანშეწონილია („*ποιუს*“) „განხესრულა“-ს აღდგენა [156, გვ. 249; 133, გვ. 1]. „გასრულება“, როგორც უკვე აღინიშნა, მართლაც გეხედება სამ შემთხვევაში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ჭელიშურ ვარიანტში იქ სადაც შატბერდულში „განეშორა“ (ზემო ეკლესია „განასრულეს მეოცესა წელსა“ [56, გვ. 91:6]; ბაკურმა „დაიწყო წილენისა ეკლესია და განასრულა ოცდამეათხუთმეტესა წელსა, [56, გვ. 96:26] და პერაკლეს „მოსლვადმდე ტფილისს სიონი გაასრულეს“ 56, გვ. 96:26]), მაგრამ, როგორც აღინიშნა, უფრო ძველი და გაერცვლებული ფორმა ჩანს „განეშორა“, რომელიც ერთადერთია X ს-ის ხელნაწერთ მოღწეულ და მაშასადამე, უფრო ძველი შატბერდული რედაქციისათვის (ჭელიშურ-მა, როგორც ცნობილია, მოაღწია XIV-XV სს. ხელნაწერის მიხედვით [71, გვ. 52-54]).



ეპისკოპოსის მემორიალურ წარწერაში „ამას ეკლესიასა შინა“ ორჯერაა ერთსადაიმავე წინადადებაში განმეორებული. ასევე, ამის მაგალითს წარმოადგენს საამშენებლო წარწერის ტექსტის კონსტრუქციები: „წმიდისა ამის ეკლესიასადა“ და „ამის წმიდისა ეკლესიასა“, ან „ოც წლისა პეროზ მეფეთა მეფისსა“ და „ათხუთმეტ წლისა კავატ მეფეთა მეფისსა“ (იხ. ქვემოთ).

ამის შემდეგ მესამე სტრიქონში უეჭველად იკითხება „აქა შინა თაკეანისცეს ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ“.

ამავე, მესამე სტრიქონის მომდევნო ნაწილში, უკვე კონტექსტის მიხედვით, ტექსტის აღდგენა და დადგენა განსაკუთრებულ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, ოღონდ აღდგენილი სიტყვები, უნდა დაიტოვოს მათთვის გამოყოფილმა ქვის ფართობმა.

ადგილზე დარჩენილ ქვის ნაწილში, მე-3 სტრიქონის ბოლოს, ღ. მუსხელიშვილს დაუფიქსირებია „--კლ--“ [59, გვ. 326], რომელიც, ვფიქრობ, სიტყვა „ეკლესიიდან“ დარჩენილი ფრაგმენტი უნდა იყოს; ცხადია, იგი უნდა აღვადგინოთ იმ ფორმით (იმ ბრუნვაში), რომელსაც კონტექსტი მოითხოვს („ეკლესიასადა“). ეს სიტყვა ტექსტში ამ ადგილას აღდგენილია ჯერ კიდევ აკ. შანიძისეული (1938) პუბლიკაციიდან მოყოლებული, ოღონდ სიტყვის ცალკეული ნაწილების სტრიქონებში სხვაგვარი განაწილებით.

ამ სტრიქონის ბოლოს, „ეკლესიასა“-ს წინ, როგორც ჩანს, უნდა ჩაისვას „წ-ისა“, მსგავსად მეორე სტრიქონის დასაწყისი ნაწილისა. ოღონდ, თუ მეორე სტრიქონში არის კონსტრუქცია „წ-ისა ამის ეკლესიასა“, მესამე სტრიქონში მივიღებთ „ამის წ-სა ეკლესიასა“-ს. ორივე საესებით მისაღები წყობაა იმ დროისათვის და თავისუფლად ცვლის ერთმანეთს (შდრ. სამშვილდის 777 წლის წარწერის „წმიდისა ამის ეკლესიასა“ [86, გვ. 236]).

ყველა ამ აღდგენის და ორი დაქარაგმებული სიტყვის („ღ-ნ“, „წ-ისა“) გახსნის შემდეგ, წარწერის მესამე სტრიქონი სხვებზე გრძელი, მეტი ტექსტის შემცველი გამოვიდა. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ქვის ფილის მოღწეულ ფრაგმენტზეც ამ სტრიქონში დანარჩენებზე მეტი ასობია წარმოდგენილი (პირველ სტრიქონშია – 30 ასო, მეორეში – 30 ასო, მესამეში – 38 ასო და მეოთხეში – 30 ასო). თანაც ეს ასოები, შედარებით სხვა სტრიქონებთან, უფრო მიჯრითაა გამოყვანილი, ასე რომ ამ სტრიქონში, როგორც ჩანს, მართლა სხვაზე მეტი ტექსტი ეწერა.

მეოთხე სტრიქონის დასაწყისში, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთარხნიშვილმა პირველმა აღადგინა სიტყვა „მამშენებელსა“ („აამშენებელსა“), რომლის არსებობას წარწერის შინაარსი და აქ წინადადების წყობა ლოგიკურად მოითხოვს; ეს აღდგენა საყოველთაოდ იქნა გაზიარებული და ამჟამადაც ძალაში რჩება. ამ სიტყვამ აქ აღსადგენი 14-15 ასოდან დაიკაო 11 ასოს ადგილი. ამავე სტრიქონში, ქვის ფილის მოღწეული ნაწილის თავში წარმოდგენილი „ეპისკოპოსსა“, ცხადია, რომ უნდა აღდგეს, როგორც „[ე]პისკოპოსსა“. კონტექსტი მოითხოვს, რომ აქ აღდგენილ-იქნეს ეპისკოპოსის სახელი, რომლისთვისაც რჩება ორი, მაქსიმუმ სამი ასოს ადგილი.

წარწერის ტექსტის ყველა გამომცემელი, დაწყებული აკ. შანიძით (ღ. მუსხელიშვილს, როგორც აღინიშნა, წარწერის ნაკლები ადგილები ერთის – დასაწყისში „სახელითა წმიდისა“, გამოკლებით არ აღუდგენია) დაწყებული, ეპისკოპოსის სახელად აქ აღადგენს სიტყვას „დავით“, ოღონდ, ბოლნისის მეორე წარწერის ანალოგიით შუაკვეცილობითი დაქარაგმებით – „ღ-თ“. ქვაზე, მართლაც, დარჩა 2 ასოს ადგილი და „ღ-თ“-ს აღდგენას

არაფერი უშლის ხელს.<sup>15</sup>

ამის შემდეგ ტექსტის წაკითხვა ეჭვს არ იწვევს, თხრობაც დამთავრებულია და საჭიროა დასკვნითი ფორმულის აღდგენა, რომელიც ქვის ფილაზე ასოთა კვადრის მიხედვით, 3-4 ასოთი უნდა ყოფილიყო გადმოცემული. ეს ფორმულა გამოცემებში სხვადასხვა სახითაა აღდგენილი: „ამენ“ [110, გვ. 37-38, შენ. 8; 63, გვ. 153], „იყავნ, იყავნ“ [52, გვ. 20; 86, გვ. 66], „ამმნ“ [144, გვ. 69; 156, გვ. 250; 155, გვ. 1; 37, გვ. 150; 107, გვ. 51]. ტექსტის აღდგენის ორ ბოლო ვარიანტში აკ. შანიძემ იგი საერთოდ არ წარმოადგინა.

რადგან ფილაზე ტექსტის ბოლოს კიდევ რჩება 3-4 ასოს ადგილი, აკ. ალბათ, დასკვნითი ფორმულა „ამენ“ უნდა აღვადგინოთ და არა „იყავნ, იყავნ“, ან „ამენ იყავნ“ (ეს უკანასკნელი დამახასიათებელია X-XI სს. წარწერებისა და საერთოდ, ამ დროს წერილობითი ძეგლებისათვის). შეიძლება ისიც დაუშვათ, რომ ეს ოთხასოიანი „ამენ“ სრულად, დაუქარაგმებლად იქნებოდა გადმოცემული. უძველეს წარწერებში მართლაც დასტურდება ორიოდ შემთხვევა ამ სიტყვის სრულად დაწერისა; იხ. VII ს-ით დათარიღებული წარწერა დამბლუტისწყლის ხეობის (დმანისის რ-ნი) ერთი ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკისა, სადაც ტექსტის ბოლოს ეს სიტყვა დასმულია მ-ს გამოყენებით – „ამმნ“ [86, გვ. 94]. როგორც ჩანს, ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის ბოლოსაც იგი ამ სახით უნდა აღვადგინოთ.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერის ნაკლები ადგილების აღდგენის ორი შესაძლებლობის მიხედვით, ამ წარწერის წაკითხვის ორი ვარიანტი მივიღეთ:

### I ვარიანტი:

[შეწევნითა წ(მიდ)]ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პერო[ზ] მქეფ[თა] მეფისსა დახიდ[ლ]ქა საძირკველი წ(მიდ)ისა] ამის ეკლესიაჲსაჲ და ათხუთმეტ წლისა [შემდგომად, მეფობასა] | [კავატისსა, განხეშორა. ვინ აქა შინა თაყვანისხევს, ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ და ვინ ამ[ის] მაშმნებელსა ღ(ავით) ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწყალ[ენ]; [ამმნ].

ტექსტის ასეთი აღდგენით გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ ირანის მეფეთა მეფის პეროზის (459-484) მე-20 წელს, ე.ი. 478 წელს და დაუმთავრებიათ 15 წლის შემდეგ ე.ი. 493 წელს, ირანში კავადის მეფობის დროს.

### II ვარიანტი:

[შეწევნითა წ(მიდ)]ისა სამებისაჲთა, ოც წლისა პერო[ზ] მქეფ[თა] მეფისსა დახიდ[ლ]ქა საძირკველი წ(მიდ)ისა] ამის ეკლესიაჲსაჲ და

<sup>15</sup> ერთ გამოცემაში [107, გვ. 51] „დავით“ აღდგენილია სრული, დაუქარაგმებელი სახით, ხოლო მეორეში [63, გვ. 153] საერთოდ გამოტოვებულია. ერთიც და მეორეც მცდარია, რადგან, პირველ შემთხვევაში ტექსტის გამომცემელს ამ სიტყვის გაშლილად წარმოდგენა დასჭირდა ნაკლები ადგილის აშკარად ხელოვნურად შესაესებად, ხოლო მეორე შემთხვევაში არ ჩანს, თუ ვის მოსახსენებლად, ვისი ღვაწლის აღსაღნიშნაჲდ გაკეთდა გამომცემლის მიერ წარმოდგენილი ასეთი ვრცელი წარწერა და, ამდენად, აზრიც არ მქონდა ეკლესიაზე მის მოთაქვებას. ამ შემთხვევაში ამ აღდგენის პირველი წინადადების „პეროზ მეფეთა თვისისას“ ხსენება არაფერს შეეღობა, რადგან ტექსტიდან არ ჩანს, თუ ვინ რა „ხიწყო“.

ათხუთმეტ წლისა [კაეატ მეფეთა მეფი][[სსა განხეშორა. ეიქ აქა შინა თაყვანისხცეს, ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ და ეინ ამ[ის წ(მიდ)ისა ეკლე-სიადსა][[მაშმნებელსა ღ(აეთ)თ ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღ(მერთმა)ნ შეიწყალენ; [ამმნ].

ტექსტის ასეთი აღდგენით გამოდის, რომ ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ მეფეთა მეფე პეროზის (459-484) მე-20 წელს, ე.ი. 478 წელს და დაუმთავრებიათ მეფეთა მეფე კავადის (488-531) მე-15 წელს, ე.ი. 503 წელს. შინაარსობრივი კონსტრუქციით აღდგენის ეს მეორე ვარიანტი უფრო მწკობრი და გამართული ჩანს: „ოც წლისა პეროზ მეფეთა მეფისსა დახიდვა საძირკველი“ და „ათხუთმეტ წლისა კაეატ მეფეთა მეფისსა განხეშორა“.<sup>8</sup>


გუიქრობ, წარწერის ტექსტის წაკითხვის და აღდგენის ორივე ვარიანტი, კვლევის ამ ეტაპზე მაინც, ძალაში უნდა დარჩეს.

<sup>8</sup> მიუხედავად ამისა, „ოც წლისა“ და „ათხუთმეტ წლისა“ ფორმები ენობრივ დამახინჯებად და საეჭვოდაა მიჩნეული [39, გვ. 419]; უფრო მეტი, მიუღებელ კონსტრუქციადაც ითვლება [66, გვ. 98]. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეს ფორმები, როგორც არ უნდა აღდგეს წარწერის ნაკლები ადგილები, ტექსტში უეჭველად დასტურდება. ამ ფორმებს ახსნა სჭირდება და არა უარყოფა, მით უმეტეს, რომ უმეფლეს ხანმეტ ტექსტებში (V-VIII სს.) „რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი არსებითთან ერთად ბრუნებისას ბრუნის ნიშანს არ მიიღებს: ათრეამეტ წლითგან“ [68, გვ. 8].

### V. ბოლნისის წარწერების პალეოგრაფიული და ენობრივი დახასიათება

ბოლნისის წარწერებს, როგორც ქართული დამწერლობის უძველეს, მტკიცედ დათარიღებულ წერილობით ძეგლებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული დამწერლობის განვითარების და ქართული ენის შესწავლისათვის. ფაქტობრივად, ქართული პალეოგრაფიის შესწავლა, ქართული დამწერლობის საფუძვრების დადგენა ამ ძეგლებით იწყება.

ბოლნისის სიონის სამ – საამშენებლო, დავით ეპისკოპოსის და ფარნეევან და აზარუხტის წარწერაში წარმოდგენილია ძველი ქართული ასომთავრული ანბანის 38-დან 31 ასო:



Ⴀ Ⴁ, Ⴃ Ⴄ, Ⴅ Ⴆ, Ⴇ Ⴈ, Ⴉ Ⴊ, Ⴋ Ⴌ, Ⴍ Ⴎ, Ⴏ Ⴐ, Ⴑ Ⴒ, Ⴓ Ⴔ, Ⴕ Ⴖ, Ⴗ Ⴘ, Ⴙ Ⴚ, Ⴛ Ⴜ, Ⴝ Ⴞ, Ⴟ.

აკლია შეიდი ასო: Ⴚ Ⴛ, Ⴜ Ⴝ, Ⴞ Ⴟ, Ⴚ Ⴛ, Ⴜ Ⴝ, Ⴞ Ⴟ.

საამშენებლო წარწერაშია ანბანის 28 ასო, დავით ეპისკოპოსის წარწერაში – 22 ასო, ხოლო ფარნეევან და აზარუხტის წარწერაში – 24 ასო. სამი ასო – Ⴚ Ⴛ, Ⴜ Ⴝ და Ⴞ Ⴟ მხოლოდ ფარნეევან და აზარუხტის წარწერაში დასტურდება.

ცხადია, ეს მონაცემები სავსებით საკმარისია V ს-ის ქართული დამწერლობის ზოგადი სურათის წარმოსადგენად მხოლოდ ბოლნისის წარწერების მიხედვითაც.

Ⴀ ა-ს მოხაზულობა თითქმის უახლოვდება მარჯვნივ გახსნილ წრეს, რომელსაც ზემოდან გრძელი, მარცხნივ წრის მოხაზულობიდან გარეთ გასული სწორი, განივი ხაზი ადევს. ზოგჯერ მარჯვნივ გახსნილი რკალი გადაშლილია, ხოლო ზოგჯერ (უმეტესად) ოდნავ ზემოთ აწეული. მარჯვნივ გახსნილ რკალს დავით ეპისკოპოსის წარწერაში ქუსლი აქვს მიდგმული, ხოლო საამშენებლო წარწერაში იგი პატარა მრგვალი ბურთულით ბოლოვდება. ეს იმდენად დამახასიათებელია და მოულოდნელი V ს-ის Ⴀ-ს მოხაზულობისათვის, რომ ამ ნიშნის მიხედვითაც საამშენებლო და დავით ეპისკოპოსის წარწერები სხვადასხვა ხელოსნის შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

Ⴂ Ⴃ. თითოჯერაა საამშენებლო და დავით ეპის-

1 სურ. 24 საამშენებლო წარწერის ასოთა მოხაზულობა (დასაწყისი)



ვერტიკალურ ტარს მარჯვნივ, შუა ადგილის ოდნავ ზემოთ, მიდგმული ჰქონია მარჯვნივ გაზიდული კლაკნილი ხაზი.


ტ. ორჯერაა საამშენებლო წარწერაში, ხუთჯერ – დავით ეპისკოპოსის წარწერაში და რამდენჯერმე ფარნევან და აზარუხტის წარწერაში, სადაც ყველგან გადაცვეთილია. დავით ეპისკოპოსის წარწერაში შემდეგი მოხაზულობისაა: ვერტიკალურ ტარს მარცხნივ მიდგმული აქვს ნახევარწრეზე ოდნავ მეტი მოყვანილობის დიდი ზომის რკალი, ხოლო მარჯვნივ შუა ადგილას – სწორი კუთხით მიდგმული ოდნავ გრძელი, განივი ხაზი. განსაკუთრებით შთაბეჭდავია ორი ასეთი თერთიმეორის გვერდით წარწერის მეოთხე სტრიქონის მარჯვენა მხარეს. ერთ შემთხვევაში (სიტყვაში „ღ-თ“) ასოს მრგვალი ნაწილი ნახევარწრის მოხაზულობისაა. ასევე ოდნავ აღემატება ნახევარწრეს მისი მოხაზულობა საამშენებლო წარწერაში.

ი. ხშირია სამივე წარწერაში. ვერტიკალურ ტარს ზემოდან სწორი კუთხით მიდგმული აქვს მასთან შედარებით მოკლე, ზოგჯერ მისი სიგრძის ნახევრის ზომის (დავით ეპისკოპოსის წარწერის ბოლო ორი ი) სწორი ხაზი.

კ. სამჯერაა დავით ეპისკოპოსის წარწერაში, ორჯერ – საამშენებლოში და ერთხელ – ფარნევან და აზარუხტის წარწერაში. ყველგან შემდეგი მოხაზულობისაა: საშუალო მოხაზულობის წრე დევს ორხაზოვანი, წარმოდგენითი ბადის ქვედა ხაზზე, წრის მარცხნივ მისგან ამართულია გრძელი ვერტიკალური ხაზი, ხოლო წრის მარჯვნივ, გრძელი ხაზის პარალელურად, ჩამოდის მკრად მოკლე ხაზი, თითქმის ქუსლის მოყვანილობისა, რომელიც ბადის ქვედა ხაზს გარეთ გადადის.

ლ. სწორ ვერტიკალურ ტარს ქვემოთ, მარჯვნივდან მიდგმული აქვს ნახევარწრის მოყვანილობის მარყუევი, ზემოდან ადევს პატარა სწორი ხაზი, რომლის მარცხენა კიდედან ჩამოდის ტარის პარალელური მოკლე ხაზი. ლ დავით ეპისკოპოსის წარწერაში რამდენადმე უფრო განიერი, მსხვილი მოყვანილობისაა, ვიდრე საამშენებლო წარწერაში, სადაც იგი უფრო წაგრძელებულია. მაგრამ, ერთსა და იმავე დავით ეპისკოპოსის წარწერაშიც ეს ასო სხვადასხვა იერისაა (შდრ. მეხუთე სტრიქონის ბოლოს და მეშვიდე სტრიქონში – ბოლოდან მეორე). დავით ეპისკოპოსის წარწერის მე-6 სტრიქონში ყურადღებას იქცევს მისი უჩვეულო, მოულოდნელი, თითქოს უფრო მოგვიანო ხანებისათვის დამახასიათებელი მოყვანილობა: თავის მარცხენა კუთხე ცერად არის ჩაჭრილი და ამ ადგილას ასოს თავი მოხრილია. როგორც ჩანს, ეს ხელოსნის შეცდომაა და არა ასოსთვის გამიზნულად მიცემული მოხაზულობა, რადგან ამავე წარწერაში, სადაც ეს ასო ექვსჯერ დასტურდება, ლ-ს თავის ეს ადგილი ყოველთვის სწორი კუთხითაა გადმოცემული.

მ. ასოს ტარს ზემოდან ადევს მასთან სწორი კუთხით დაკავშირებული



სურ. 26 – საამშენებლო წარწერის ასოთა მოხაზულობა (დასასრული)

საქართველოს მემორიალური წარწერის ასოთა მოხაზულობა

სურ. 27 - დავით ეპისკოპოსის მემორიალური წარწერის ასოთა მოხაზულობა

განივი სწორი ხაზი, ხოლო ქვემოთ, ასევე მარცხნივ, მიდგმული აქვს ნახევარწრეზე ოდნავ მეტი მოხაზულობის რკალი. ამ რკალის ზედა ხაზი ასოს ტარის მარჯვნივ გადადის, რამდენიმე შემთხვევაში - განსაკუთრებით დავით ეპისკოპოსის წარწერაში, დიდ ზომაზე.

ჩ. ნ. ამ ასოს მოხაზულობის, მისი სახის განმსაზღვრელი ნაწილები მოთავსებულია ტარის მარჯვნივ. აქ ასოს ევრტიკალურ ტარს ზემოდან ადევს სწორი კუთხით მასთან დაკავშირებული, მარჯვნივ გაზიდული, პატარა, სწორი ხაზი. ტარის შუა ნაწილიდან გამოდის ჯერ სწორი კუთხით, ხოლო შემდეგ მომრგვალებით, ძირს, ტარის ბოლომდე სწორ ხაზად დაშეებული მარყუევი. დავით ეპისკოპოსის წარწერაში ამ მარყუევის ბოლო ქვემოთ ოდნავ მორკალულია, ასოს ტანის შიგნით შეკეცილია, მაშინ, როდესაც საამშენებლო წარწერაში, სადაც იგი ოთხჯერ დასტურდება (ხოლო დავით ეპისკოპოსის წარწერაში - ხუთჯერ), ყოველთვის ასოს ტარის პარალელურად ჩამოდის და ქვემოთკენ მომრგვალებული არაა. ეს ნიშანიც, ეფიქრობ, ორივე წარწერის სხვადასხვა ხელოსნის მიერ შესრულების მაჩვენებელია.

კ. მ. მხოლოდ საამშენებლო წარწერაშია, მაგრამ - სამჯერ. ნახევარი წრის მოხაზულობის რკალი მარცხნივაა გახსნილი. ქვემოთ ოდნავ აკეცილია და, თითქოს, პატარა ბურთულით მთავერდება, როგორც ა-ს შემთხვევაში, ოღონდ აქ რკალი მარჯვნივაა გახსნილი. ზემოდან, გახსნის ადგილას, ნახევარწრეს ადევს პატარა ევრტიკალური ხაზი, რომელიც პირველ სტრიქონში ოდნავ შეიმჩნევა, როგორც ჩანს, აქ იგი ხელოსანს დაუზიანდა. სამაგიეროდ, კარგადაა დაფიქსირებული ორ სხვა შემთხვევაში სიტყვაში „ეკლესიაჲსაჲ“.

ღ. თ. სწორი მოხაზულობის წრეს ქვემოთკენ, მარჯვნივ მიდგმული აქვს ზემოთ გახსნილი პატარა მარყუევი. დავით ეპისკოპოსის წარწერაში ეს პატარა მარყუევი ასოს ტანისათვის ოდნავ ზემოთაა მიდგმული, მაშინ როდესაც საამშენებლო წარწერაში ყოველთვის ასოს ტანის ძირიდან გამოდის. ეფიქრობ, ეს ნიშანიც ამ წარწერების სხვადასხვა ხელოსნების მიერ შესრულების მაჩვენებელია.

ს. პ. ორი ევრტიკალური პარალელური ხაზი ქვემოდან შეერთებულია მომრგვალებით. მარცხენა ხაზს თავთან სწორი კუთხით მიდგმული აქვს განივი სწორი ხაზი. ეს ხაზი განსაკუთრებით მკაფიოდაა დაფიქსირებული საამშენებლო წარწერის პირველ სტრიქონში („პეროზ“).

ჟ. ე. არ არის არც ერთ წარწერაში.

ბ. რ. არის სამივე წარწერაში - ერთხელ საამშენებლოში (პირველი სტრიქონის სიტყვაში „პეროზ“), სამჯერ - დავით ეპისკოპოსის წარწერაში (მეოთხე ადგილას, მე-7 სტრიქონის დასაწყისში. ქვის ატეკციის

გამო, გადასულია), ორჯერ – ფარნევან და აზარუხტის წარწერაში. მოხაზულობა ასეთი აქვს: ვერტიკალური ტარი ქვემოთკენ მთავრდება მარცხნივ ძლიერ მორკალურ, ნახევარწრესე ოდნავ მეტი მოხაზულობის მარყუერით. ტარს მარჯვნივ, შუა ნაწილის ზემოთ, მიდგმული აქვს ასევე ძლიერ მორკალური, მაგრამ პირველზე ნაკლები ზომის, ნახევარწრიული მარყუერი, რომელიც ქვემოთ გახსნილია. დავით ეპისკოპოსის წარწერის რაბში ეს მარყუეები უფრო მეტად შეკეცილია, მომრგვალებულია, კიდრე საამშენებლო წარწერაში.

ს ს. ასოს ვერტიკალური ტარი ქვემოთკენ მომრგვალებით მარჯვნივ ადის და წყდება ტარის ზომის ნახევრის ქვემოთ. ცალკეულ შემთხვევაში მომრგვალების ბოლო შეკეცილია ასოს ტარისკენ.

ტ ტ. თითოჯერაა საამშენებლო წარწერასა და ფარნევან და აზარუხტის წარწერაში. ორივეგან გადმოცემულია განსხვავებული მოხაზულობით. ფარნევან და აზარუხტის წარწერაში ვერტიკალურს ტარს ზემოთ, მარჯვნივ სწორი კუთხით მიდგმული აქვს ნახევარწრიული მოხაზულობის თავი. ეს თავი საამშენებლო წარწერაში წრიული მოხაზულობისაა, მრგვალადაა ზემოდან გამოყვანილი. ვფიქრობ, აქ ხელოსანს დაუზიანდა ასო, როგორც ეს არაერთხელ მოსვლია და შემდეგ გადაუფხეკია ამ წარწერაში, მაგრამ ტ დაუტოვებია ისეთივე მოხაზულობით, როგორითაც მიიღო გამოქანდაკების შემდეგ. ტ-ს რომ თავი მარჯვნიდან უნდა მიედგას ნახევარწრიული მოხაზულობით და თანაც ასოს ტანთან კუთხური მიერთებით, ეს ჩანს ამ ასოს მოხაზულობით, როგორც ფარნევან და აზარუხტის წარწერის, ისე სხვა, მაგ., მცხეთის ჯვრის (VI-VII სს. მიჯნა) წარწერების მიხედვით (იხ. სტეფანოს პატრიკოსის წარწერის ფოტო – [86, ტაბ. 56-1]). ქვემოთ ასოს ტარს მარჯვნიდან სწორი კუთხით მიდგმული აქვს მოკლე ხაზი, რომელიც ძირს დაშვებული პატარა ქუსლით მთავრდება.

ყ კ. წარმოდგენილია როგორც ცალკე, ისე ასო ო-სთან კომბინაციაში უ-ს გადმოცემისას (ოკ). ვერტიკალურ ტარს მარცხნივ, შუა ადგილას, მიდგმული აქვს ნახევარწრის (დავით ეპისკოპოსის წარწერაში – ნახევარწრესე ოდნავ მეტი) მოყვანილობის მარყუერი ორივე ბოლოს ტართან მიერთებით.

ც<sup>1</sup> ოკ (უ). ყველა შემთხვევაში გადმოცემულია ო-ს და კ-ს კომბინაციით და ის ნიშნები, რომლებიც მათ შესახებ აღინიშნა ცალ-ცალკე, ცხადია, მათაც მიეკუთვნება.

ფ ფ. თითოჯერაა საამშენებლო წარწერასა და ფარნევან და აზარუხტის წარწერაში. ვერტიკალურ ტარს, ზემოთ, თავთან, ორივე მხარეს მიდგმული აქვს თითო ნახევარწრე. ტარის ქვედა ბოლო ორხაზოვანი ბადის დაბლა ჩამოდის. ნახევარწრეები საამშენებლო წარწერაში ზემოდან მომრგვალებულია, ხოლო ქვემოდან სწორი ხაზითაა შეერთებული; ფარნევან და აზარუხტის წარწერაში ნახევარწრეები ქვემოთაც ოდნავ შეკეცილია და ორი დამოუკიდებელი ნახევარწრის სახითაა გადმოცემული. ვფიქრობ, ესეც წარწერების სხვადასხვა ხელოსნის მიერ შესრულების მანქანებელია.

ქ ქ. სამივე წარწერაშია თითოჯერ (ფარნევან და აზარუხტის წარწერაში გადასულია). ვერტიკალურ ტარს, შუა ადგილის ოდნავ ზემოთ, სწორი კუთხით კვეთს მასთან შედარებით პატარა ზომის განივი ხაზი.

ღ ღ. მხოლოდ საამშენებლო წარწერაშია, ორჯერ, ერთსა და იმავე სიტყვებში – „ღ-ღ“. ორი პარალელური ვერტიკალური ხაზი შეერთებულია ზემოდან მომრგვალებით.



ყ ყ. საამშენებლო და დაეით ეპისკოპოსის წარწერებშია – ორ-ორჯერ თითოეულში. ვერტიკალურ ტარს, ზემოთ, მარცხნივ, თაეთან მიდგმული აქვს მასთან შეკრული მარყუეი ნახეარწრის ზომისა. დაეით ეპისკოპოსის წარწერის მეხუთე სტრიქონის დასაწყისში, სადაც ეს ასო დაზიანებულია, ნახეარწრის ტართან შეერთების ადგილი, ზემოთკენ, ოდნავ გახსნილია.

ჟ შ. სამივე წარწერაშია – ერთხელ ფარნევეან და აზარუხტის წარწერაში და რამდენჯერმე დანარჩენ ორში, რომელთა შესახებ შედარებით დაწერილუბით უნდა იქნეს აღნიშნული. საქმე ის არის, რომ ამ წარწერებში ეს ასო, თითქმის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსხვავებული მოხაზულობითაა წარმოდგენილი. ზოგადად მისი მოხაზულობა ასეთია: ვერტიკალურ ტარს თაეთან და ძირთან, მარცხნიდან, მიდგმული აქვს თითო ნახეარწრიული მარყუეი, რომელიც მასთან ხან შეკრულია და ხან გახსნილია.

დაეით ეპისკოპოსის წარწერაში შ დასტურდება ექვსჯერ. აქედან ორი – მე-7 და მე-8 სტრიქონში, ამ უკანასკნელში სტრიქონის დასაწყისთან, მეორე სიტყვის („შინა“) თაეში, გადასულ-გადაშლილია. წარწერის მე-3 სტრიქონში („შინა“) ბოლნური ჯერის წრის მარჯვნივ, მისი ორივე მარყუეი ასოს ტართან შეკრულია (ზედა მარყუეის შეერთების წეერი, თითქოს, ოდნავ უფრო წერილად არის გადმოცემული). ამავე სტრიქონში, სიტყვაში „უნდა“, ქვედა მარყუეი შეკრულია, ზედა გახსნილია. მე-6 სტრიქონში („შეიწყალენ“) გახსნილია, როგორც ზედა, ისე ქვედა მარყუეები; მე-8 სტრიქონში („შეხვიე“), მართალია, ასო დაზიანებულია და ოდნავ გადათლილი, მაგრამ, აშკარაა, რომ ზედა მარყუეი გახსნილია.

საამშენებლო წარწერაში შ გვხვდება სამჯერ. მე-2 სტრიქონში („შინა“, „შეიწყალენ“) ზედა მარყუეი შეკრულია, ქვედა გახსნილია; მე-4 სტრიქონში („შეიწყალენ“) – ორივე მარყუეი გახსნილია.

ფარნევეან და აზარუხტის წარწერაში, სადაც ერთხელ გვხვდება („შეხუაბთ“) – ქვედა მარყუეი შეკრულია, ზედა გახსნილია. ამ მოხაზულობით იგი დაეით ეპისკოპოსის წარწერების შ-ს დაწერილობასთან უფრო ახლოს დგას. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ეს ორი წარწერა და საამშენებლო წარწერა სხვადასხვა ხელოსნების შესრულებულია.

მაშასადამე, ბოლნისის სიონის წარწერების მიხედვით შ-ს მარყუეებთან დაკავშირებით განზოგადებული დასკვნის გაკეთება არ ხერხდება და ისინი ერთი და იმავე დროის წერილობით ძეგლებში შეიძლება შეგვხვდეს როგორც შეკრული, ისე გახსნილი სახით [შდრ. 144, გვ. 72 შენ. 1].

ჩ ჩ. ერთხელაა მხოლოდ ფარნევეან და აზარუხტის წარწერაში („ჩუენთათუს“) და იქაც მთლიანად გადასულია.

ც ც. სამივე წარწერაშია – თითოჯერ ფარნევეან და აზარუხტის და დაეით ეპისკოპოსის წარწერებში და სამჯერ საამშენებლო წარწერაში. ჩვეულებრივ, ეს არის მარჯვნივ გახსნილი წრე, რომელსაც ქვემოთ, გახსნის ადგილას, დახრილი ქუსლი აქვს მიდგმული. ეს ქუსლი პირველ ორ წარწერაში მეტად მოკლეა, დაეით ეპისკოპოსის წარწერაში ოდნავ არის აღნიშნული, ხოლო საამშენებლო წარწერაში, ორ შემთხვევაში, მესამე და მეოთხე სტრიქონებში, თითქმის ერთიმეორის ზემოთ („თაჯვანისხცეს“ და „ხულოცოს“), საქმაოდ გრძელი ხაზით არის გადმოცემული. ამ ნიშნითაც ეს წარწერები სხვადასხვა ხელოსნის მიერ ჩანს შესრულებული.

რაც შეეხება კიდევ ერთ შემთხვევას ამ ასოს დაწერილობისა საამშენებლო წარწერის პირველ სტრიქონში („ოც“), აქ იგი საერთოდ ქუსლის გარეშეა გადმოცემული. მისი მოხაზულობა შემდეგია: მარჯვნივ

გახსნილი წრე, რომლის ბოლოები გახსნის ადგილას ისეთივე ბურთულებით მთავრდება, როგორებიც ა-სდა მ-ს აქვთ დასმული სხვა შემთხვევებში. იმ მოხაზულობის ასო, როგორიც აქ წერია, ქართულ ანბანში უცნობია. მაგრამ, აქ მაინც ც უნდა წავიკითხოთ, რადგან, ჯერ ერთი, თავისი მოხაზულობით ყველაზე მეტად იგი ც-ს ჰგავს (აკლია მხოლოდ ქუსლი, რომელიც ითვლება, რომ ხელოსანმა შეცდომით ჩამოთალა [52, გვ. 11]) და მეორე, შინაარსითაც (რიცხვითი სახელია გადმოსაცემი, რადგან მას მოსდევს სიტყვა „წლისა“) სხვა ასოს აღდგენა შეუძლებელია; სულ ორი რიცხვითი სახელია, რომელიც ორი ასოსაგან შედგება და ო-თი იწყება – „ორ“, „ოც“. ამათგან, „ორ“ ამ შემთხვევებში ანგარიშში არ ჩაითვლება, რადგან ბოლნისის წარწერაში ო-ს შემდეგ გამოსახული ნიშანი ნამდვილად არ არის რ. ამიტომ, ეს თავისებური მოხაზულობის ასო აქ უნდა წავიკითხოთ, როგორც ც (დამატებით იხ. ქვემოთ).

ბ დ. არ არის არც ერთ წარწერაში.

ბ ვ. სამივე წარწერაშია. აქედან, ფარნევან და აზარუხტის წარწერაში – ერთხელ, მაგრამ აქაც მთლიანად გადასულია. დანარჩენი წარწერებიდან – ორჯერაა დავით ეპისკოპოსის წარწერაში და ოთხჯერ საამშენებლო წარწერაში. ამ ასოს მოხაზულობებიც ორივე წარწერაში თავისებურებებით ხასიათდება, რაც ამ წარწერების სხვადასხვა ხელოსნის მიერ შესრულების კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ყველა შემთხვევაში ასოს ვერტიკალურ ტარს, რომელიც ორხაზოვანი ბადიდან გრძლად ჩამოდის ქვემოთ, მარჯვნიდან მიდგმული აქვს ორი მარყუვი, ტარის თავთან და მეორე, შუა ადგილას. თავის მარყუვი ყოველთვის გადმოცემულია ნახევარწრეზე მეტი მოხაზულობით და ორივე ბოლოებით შეკრულია ტართან. ხოლო შუა მარყუვი – საამშენებლო წარწერაში, ორ შემთხვევაში (მეორე სტრიქონი „წლისა“ და მესამე სტრიქონი – „შეიწყალენ“) ქვემოთ ოდნავ გახსნილია, ხოლო მესამე შემთხვევაში (მეოთხე სტრიქონი – „შეიწყალენ“) ტართან შეკრულია. თუ როგორ იყო კიდევ ერთ შემთხვევაში, პირველ სტრიქონში („წლისა“) გაურკვეველია, რადგან ამ სოს ადგილას ქვის ზედაპირი ატკეცილია.

დავით ეპისკოპოსის წარწერაში ორივე ადგილას (მეექვსე სტრიქონი – „შეიწყალენ“, მერვე სტრიქონი – „შეხეწიე“) ქვის ფილა ქვედა მარყუვების ადგილას ატკეცილია და მათი მიმართება ასოს ტართან გაურკვეველია. წ-ს თავი დავით ეპისკოპოსის წარწერაში ბევრად უფრო დიდი მოხაზულობისაა ვიდრე მისი ქვედა მარყუვი, იმდენად, რომ ეს ასო ამ წარწერაში ერთგვარად თავკომბალა მოყვანილობისაა. რამდენადმე ემსგავსება მას საამშენებლო წარწერის ერთი წ მეორე სტრიქონის სიტყვაში „წლისა“.

ბ ჰ. არ არის არც ერთ წარწერაში.

ბ ხ. სამივე წარწერაშია – სამჯერ საამშენებლოში და თითოჯერ დავით ეპისკოპოსის და ფარნევან და აზარუხტის წარწერებში. ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა, რომელზედაც ქვემოთ შეგჩერდები, მისი მოხაზულობა ერთნაირია: ვერტიკალურ ტარს მარჯვნივ, ძირში სწორი კუთხით მიდგმული აქვს პატარა, განივი ხაზი; ასეთივე ხაზი მიდგმული აქვს შუა ადგილას, რომლის ბოლოზე აღმართულია პატარა ვერტიკალური ხაზი ტარის სიგრძის ნახევრის ზომისა. საამშენებლო წარწერაში, ერთ შემთხვევაში (მეოთხე სტრიქონი – „ხულოცოს“) ტარს მარჯვნივ, თავთან პატარა განივი წანაზარდი აქვს, თითქოს, შემსრულებელს აქ ქვის ამოკოდვა გამოჩნა. შეიძლება ასეთივე წანაზარდი იყო დავით ეპისკოპოსის წარწერის ბ-ანშიც („შეხეწიე“),

მაგრამ აქ ქვის ზედაპირი ისეა დამუშავებული, რომ მისი კვალიც არ ჩანს. ანბანის დანარჩენი ასოები ყ ვ, ჯ, ზ, კ, ზ მ – არ არის არც ერთ წარწერაში.

ცხადია, ბოლნისის სიონის წარწერების პალეოგრაფიული ნიშნები და მარყუჟიანი ასოების თავისებურებანი ადრეც იყო შემჩნეული და კლასიფიცირებული. მაგ., აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, „VI ს-ის დამდგენის ძეგლებში ხუცური ასომთავრული დამწერლობის ნიშანდობლივ თავისებურებას თავშეკრული „ბ“, „ჟ“ და „ყ“ შეადგენენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია თავშეკრული „შ“, რომელსაც ბოლოკიდურიც ძალზე მოკაუჭებული აქვს“ [117, გვ. 185]; ან კიდევ „ამგეარად ირკვევა, რომ „ბ“, „ვ“, „ჟ“ და „შ“ VI საუკუნის დამდგენიდან და, რასაკვირველია, უწინარესადაც თავშეკრული იწერებოდა და გამოსახებოდა და ასეთი მოხაზულობა „ბ“-ანს მთელი საუკუნის განმავლობაში შეუნარჩუნებია“ [117, გვ. 186].

მოგვიანებით ნ. შოშიაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ქართული დამწერლობის განვითარების ადრეული საფეხურები და მარყუჟიანი ასოთა განვითარების დაწერილობითი სქემა წარმოადგინა [102, გვ. 139-142]. ცხადია, ამ სქემებში სათანადო აღგული აქვს დათმობილი ბოლნისის სიონის წარწერებსაც, ხოლო მათი კომპლექსური განხილვა, თითოეული ასოს მოხაზულობა და თავისებურებანი პირველად აქ არის წარმოდგენილი.

მათი აღწერის შედეგად მივიღეთ, რომ ბოლნისის სიონის წარწერების საერთო პალეოგრაფიული ნიშნებია:

1. ასოების, ძირითადად, დაბალი დუქტუსი (იერი).
2. ასოების, ძირითადად, მოთავსება ორხაზოვან ბადეში; მაგრამ, ბადის ქვედა ხაზის ქვემოთ ჩამოდის შემდეგი ასოების ნაწილები: გ-ს ქუსლის ქვედა საფეხური, კ-ს ქვედა, პატარა ვერტიკალური ხაზი, ვ, ფ, ქ, ყ, წ ასოების ტარი, ც-ს ქუსლი.
3. ბ, ვ, ყ ასოების მარყუჟები და წ-ს თავი ასოს ტართან შეკრულია (ერთგან ყ-ს მარყუჟი ასოს ტართან შეიძლება დაცილებულად ჩაითვალოს).
4. შ-ს მარყუჟების შეკერის არათანმიმდევრობა, იშვიათად ორივე მარყუჟის შეკრულად გადმოცემა.
5. განკვეთილობის ნიშნების არ გამოყენება და არც სიტყვების დაცილება ერთმანეთისაგან.
6. ქარაგმის ნიშნებად ოდნავ მოგრძო, განივი, სწორი ხაზის დასმა.
7. სიტყვათა მინიმალური დაქარაგმება (დაქარაგმებულია მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „ღ-ნ“, [„წისა“], „ღ-თ“, „იი“), რაც საერთოდ დამახასიათებელია უძველესი წერილობითი ძეგლებისათვის [111, გვ. 117-128; 143, გვ. 434-439].

8. რიცხვების გადმოცემა სიტყვიერად და არა ასოებით.

საერთოდ, რიცხვების სიტყვიერი ჩაწერა, ზოგადი პალეოგრაფიის მიხედვითაც, ყველაზე ადრეულად ითვლება [მსპ, 11, გვ. 232]. გარდა ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერისა, რიცხვების სიტყვიერი ჩაწერა დასტურდება ადრეული ხანის ქართულ წერილობით, ლიტერატურულ ძეგლებში: „იყო მერვესა წელსა“, „და არს დასაბამი ტანჯუათა... მერვესა თუსასა, კუალად ტანჯუამ ეარდობისა თთუესა ათცხრამეტსა“ – „მარტვლობამ შუშანიკისი“ [109, გვ. 11, 28-29]; „წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა“ – „მარტვლობამ ევსტათი მცხეთელისა“ [50, გვ. 30]; „ხოლო აღესრულა იგი (კონსტანტი-კახამ)... დასაბამითგანნი წელიწადნი იყვნეს ექუს ათას ოთხას ორმოც და ათიჯდმეტ, ხოლო ზედა წელსა ისმაიტელთასა ორას ოც და

ათორმეტსა“ – „მარტვლობად კონსტანტი-კახაიის“ [ქქალძე, I, გვ. 170].<sup>40</sup> ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობები: წმ. ნინოჲ „მიიძინა ძილი იგი სანატრელი ქართლს მოსლენითგან მისით ოც და მეთათხუთმეტსა წელსა და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდა ათურამეტსა წელსა, დასაბამითგან ხუთი ათას რეაას ოცდა მეთურამეტსა წელსა“ – ჭელიშური რედაქციით, ხოლო შატბერდულით ყველაფერი ეს ჩაწერილია შემდეგნაირად: „შეჰვედრა სული თჳსი ჳელთა ღმრთისათა ქართლად მოსლენითგან მეთათხუთმეტსა წელსა და ქრისტეს ამაღლებითგან ტლმ წელსა, დასაბამითგან ჳელმ წელსა“ [56, გვ. 90].

ჩვენი საკითხისათვის უფრო საინტერესოა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რიცხოზობრივი ჩანაწერები, უფრო ზუსტად, წესი მათი გადმოცემისა, რომელიც ეკლესიათა მშენებლობას შეეხება: „ზემორე ეკლესია... განასრულეს მეოცესა წელსა და მეოცდაერთესა წელსა მოკუდა მირიან მეფე“ [56, გვ. 91:6-8]; „ამან ბაკურ, ძემან რევისმან, დაიწყო წილკნისა ეკლესია, და განასრულა ოცდამეთერთმეტსა წელსა“ [56, გვ. 91:25-26] და სხვ.

მაშასადამე, რიცხვების სიტყვიერი ჩაწერა, თუ ერთადერთი არა, დამახასიათებელი მოვლენა იყო ადრეული ხანის ქართული წერილობითი ძეგლებისთვისაც. თუმცა, უკვე ძალიან მალე, 616-619 წწ. წყისეს წარწერაში, რიცხვების ჩასაწერად ქართული ანბანის ასოებია გამოყენებული: „შაჰრამანსა ა... ნოენბერსა იზ“ – აღნიშნულია ამ წარწერაში მიწის შეწირვის, თუ მოსახსენებლის დაწესების თარიღად [86, გვ. 98].

ამდენად, ბოლნისის სიონის საამშენებლო წარწერაში თარიღის გადმოცემისას რიცხვების სიტყვიერი ჩაწერა („ოც“, „ათხუთმეტ“) ერთადერთი და კანონზომიერი მოვლენაა იმ დროის წერილობითი ძეგლებისათვის. ამიტომ, დავით ეპისკოპოსის წარწერის ბოლოს თუ თარიღია აღნიშნული – „ინდიკტიონსა ი“, ანუ ინდიკტიონსა 10-ს, როგორც ზოგიერთი მეკლევარი მიიჩნევდა, მაშინ მისი რიცხვითი მნიშვნელობა სიტყვიერად იქნებოდა ჩაწერილი. ხოლო ეს, როგორც ვხედავთ, ასე არ არის, რაც კიდევ ერთი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ამ წარწერის ბოლოს დასმული იო აღნიშნავს არა თარიღს, არამედ შემოკლებულად გადმოსცემს ტექსტის დასასრულის ფორმულას – „იყავნ, იყავნ“, როგორც ეს გაარკვია აკად. კ. კეკელიძემ [39, გვ. 420].

### X X X

ქართული ასომთავრული ანბანის შექმნა ივარაუდება ახ.წ. IV ს-ში [23, გვ. 196]. ამდენად, V ს-ის მიწურულის, თუ VI ს-ის დამდგვის ბოლნისის სიონის წარწერები არ შეიძლება იყოს და არც არის ქართული ასომთავრული დამწერლობის პირველი ძეგლები. მათზე დაახ. ნახევარი საუკუნით ადრინ-

<sup>40</sup> „მარტვლობად კონსტანტი-კახაიის“-ს ყველა გამოცემაში, ხელნაწერთა მონაცემების მიხედვით, ნაცვლად „ზედა წელსა ისმაიტელთასა“ წარმოდგენილია „ზედაწერილსა ისმაიტელთასა“. ამ კონიექტურის შესახებ იხ. [78, გვ. 113-121, განსაკ. გვ. 118].

დელია (თარიღდება 430-იანი წლების დასაწყისით [110, გვ. 28] ე.წ. პალესტინის წარწერები და დაახ. ერთი საუკუნით გვიანდელია (თარიღდება VI-VII სს. მიჯნით, 595-605 წწ. [86, გვ. 35, 95-96]) მცხეთის ჯვრის წარწერები. ეს არის მტკიცედ დათარიღებული სამი ჯგუფი (თითოეულში რამდენიმე წარწერაა) უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებისა, რომელთა პალეოგრაფიული მონაცემები დასაყრდენია ქართული ასომთავრულის თავდაპირველი მოხაზულობის დასადგენად.

ბოლნისის წარწერები რომ ქართული ასომთავრული დამწერლობის პირველი ნიმუშები არ არის და, ამასთანავე, ამ დამწერლობას მათი შესრულების დროისათვის განვითარების გარკვეული ეტაპი უნდა ჰქონდეს გაეღილი, ამის მაჩვენებელია ამ წარწერებში ერთი და იმავე ასოების სხვადასხვა მოხაზულობით გადმოცემის შემთხვეველი (იხ. ზემოთწარმოდგენილი აღწერილობანი შ შ, კ რ, ჟ ე და სხვა ასოებისა).

